განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

საქართველოს ისტორია 7

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი



ჯაბა სამუშია, გიორგი სოსიაშვილი, ლერი თავაძე

საქართველოს ისტორია 7

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

საქართველოს ისტორია
VII კლასი
მოსწავლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026

ავტორები:
ჯაბა სამუშია, გიორგი სოსიაშვილი, ლერი თავაძე

სამეცნიერო რეცენზენტი: როინ მეტრეველი
ექსპერტ-კონსულტანტები: დავით მალაზონია, ნიკოლოზ გურგენიძე, ნინო მიმინოშვილი, ლალი მექერიშვილი
ფსიქოლოგ-მეთოდისტი: მზია წერეთელი
რედაქტორი: ნათელა დვალი
ილუსტრატორი: მარიამ ებრალიძე
დამკაბადონებელი: თამარ სტეფნაძე
რუკების ავტორი: მანანა შეყილაძე
რუკების დიზაინერები: ალექსი კახნიაშვილი, რატი შოთაშვილი

სახელმძღვანელო განკუთვნილია მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის; საქართველოს ეროვნული მუზეუმის (ეროვნული მუზეუმის): სიმონ ჯანაშიას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, ვანის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის; სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის; საქართველოს სასახლე-მუზეუმების გაერთიანების: ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმის, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის; ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის; აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის; სიღნაღის მუზეუმის; ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის; ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ექსპონატები, ფოტოები და საარქივო მასალა.
ასევე ფოტოები ჯაბა სამუშიას, გიორგი კალანდიას, ლერი თავაძის პირადი არქივებიდან.
ცალკეული ფოტოილუსტრაციები შექმნილია/დამუშავებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.


სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი;
მოსწავლის რვეული;
მასწავლებლის წიგნი.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8928-8

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები - დროშა, გერბი და ჰიმნი





თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეკელიძემ

სარჩევი

I. ჩვენი სამშობლო – საქართველო 8

1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა 11
2. მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში 14

II. რით ვსწავლობთ ძველ ისტორიას 20

3. ქრონოლოგია 22
4. მიწაში დამარხული ისტორია 28
5. წერილობითი წყაროები 32

III. ქვის ხანის ეპოქის ადამიანის თავგადასავალი 36

6. უძველესი ადამიანის ნაკვალევი დმანისიდან 38
7. ქვის ხანა საქართველოში 42
8. ნეოლითური რევოლუცია 46
9. ხორბლისა და ღვინის უძველესი კერები საქართველოში 50

IV. ქვიდან ლითონამდე 54

10. ადრე ბრინჯაოს ხანა საქართველოში – მტკვარ-არაქსის კულტურა 56
11. შუა ბრინჯაოს ხანა – „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ 60
12. გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა 64
13. ციკლოპური ციხე-ქალაქები 68
14. ქართველი ერის წარმოშობა, ანუ ეთნოგენეზი 72

V. უძველესი ქართული სახელმწიფოები 76

15. კოლხური კულტურა და კოლხას სამეფო 78
16. კოლხური სამყარო და არგონავტების მითი 82

17. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები 86
18. აქემენიანთა ირანი, ძველი ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო 90
19. მშენებლობა ძველ საქართველოში 94

VI. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო 98

20. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა და დიადოხოსები 100
21. ფარნავაზი და აზო 104
22. ქართლის სამეფოს შექმნა 108
23. ფარნავაზის მიერ ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობა 112
24. რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ 116
25. ქართლის სამეფო ფარნავაზ მეფის მემკვიდრეების დროს 120

დანართი 1. საქართველოს ფიზიკური რუკა 124
დანართი 2. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების რუკა 125
დანართი 3. ქართული ორიგინალის ადაპტირებული ტექსტები 126

ისტბოტი

რუკების საძიებელი

1. საქართველო ევროპის რუკაზე 10-11

2. საქართველოს ფიზიკური რუკა 12

3. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები.....14

4. ძველი და შუა ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე 42

5. ნეოლითისა და ენეოლითის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე 46

6. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე 56

7. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება წინა აზიაში 58

8. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი 79

9. არგონავტების ლაშქრობა ძველ კოლხეთში 84

10. საქართველო და გარესამყარო ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე 86

11. ბერძნული კოლონიზაცია შავიზღვისპირეთში ძვ. წ. VIII-VI სს. 91

12. ელინისტური სახელმწიფოები ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე 102-103

13. ქართლის სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფა მეფე ფარნავაზის დროს 112-113

14. ქალაქები და გზები ელინისტური ხანის საქართველოში 120

დანართი 1. საქართველოს ფიზიკური რუკა 124

დანართი 2. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების რუკა 125

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები

სახელმძღვანელოს შინაარსის გასაცნობად ქვემოთ იხილეთ მისი სტრუქტურა, მასში წარმოდგენილი პირობითი ნიშნებითა და მათი განმარტებებით.

მოსწავლის წიგნი შედგება ექვსი თავისგან, რომლებიც დაყოფილია ოცდახუთ პარაგრაფად. თითოეულ პარაგრაფში წარმოდგენილია შემდეგი რუბრიკები:



წყარო

ამ რუბრიკაში თქვენ გაეცნობით ისტორიულ წყაროებს. ეს არის ძველი მწერლების ცნობები, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან საქართველოს ისტორიის შესახებ. ძირითადად ამ ავტორთა ცნობების საფუძველზე თანამედროვე ისტორიკოსები წერენ სამეცნიერო წიგნებსა და სახელმძღვანელოებს. ქართული წყაროების, „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართლის ცხოვრების“, ორიგინალი ტექსტების ადაპტირებული ვერსიები შეგიძლიათ იხილოთ დანართში 3.



მეცნიერის თვალსაზრისი

აქ თქვენ იხილავთ ცნობილი ან ახალგაზრდა ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოლოგებისა და სხვა სამეცნიერო დარგის წარმომადგენლების მოსაზრებებს ისტორიული წყაროებისა თუ წარსულში მომხდარი ამბების შესახებ. სწორედ მეცნიერთა კვლევის მიხედვით იწერება სახელმძღვანელოებიც.



ლექსიკონი

აქ განმარტებულია მოსწავლეებისთვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ტერმინები, რომლებიც სახელმძღვანელოში არის გამოყენებული.



ეს საინტერესოა

ამ რუბრიკაში თქვენ გაეცნობით წარსულში მომხდარ საინტერესო მოვლენებს, რომლებიც კონკრეტულ პარაგრაფში მოცემულ ისტორიულ ეპოქას უკავშირდება.

კითხვა

აქ წარმოდგენილი იქნება კონკრეტულ პარაგრაფში მოცემული შესაბამისი სასწავლო მასალის ირგვლივ დასმული კითხვები.

დავალება

კონკრეტული პარაგრაფის ბოლოს მოცემულია შესაბამისი სასწავლო მასალის დავალებები.

I. ჩვენი სამშობლო – საქართველო

პირველ თავში თქვენ შეისწავლით საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეებსა და მათ გამორჩეულ როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე უნიკალურია. აქ ნაჩვენები იქნება მათი მრავალფეროვნება. უფრო კონკრეტულად კი, საქართველოს რეგიონებში არსებული ისტორიული ძეგლები, ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები, ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა და ტურისტული ღირსშესანიშნაობები.

თქვენ გაეცნობით კავკასიის რეგიონის დამაკავშირებელ გზებსა და მათ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში. ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო სტატუსს დიდწილად სწორედ მასზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტები განაპირობებს.







რუკა 1. საქართველო ევროპის რუკაზე

1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა



საქართველო კავკასიის რეგიონში მდებარეობს. ჩრდილოეთიდან მას რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან – აზერბაიჯანი, სამხრეთიდან – სომხეთი, სამხრეთ-დასავლეთიდან – თურქეთი, დასავლეთით კი – შავი ზღვა.

საქართველოს ფართობია 69,700 კმ^2. მიუხედავად ამისა, ტერიტორიის მიხედვით იგი მსოფლიოს 195 ქვეყნიდან 119-ე ადგილზეა, ხოლო ევროპის 49 სახელმწიფოდან მას 27-ე ადგილი უკავია.

საქართველოს სახელწოდება სხვადასხვა ეპოქაში

საქართველო, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, რამდენიმე მხარედ, ანუ კუთხედ იყოფა. დღეისათვის საქართველოში 21 ისტორიულ მხარეს განარჩევენ. თითოეულ მათგანს თავისი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მახასიათებელი აქვს.

ძველად ჩვენს სამშობლოს სხვადასხვა სახელით იხსენიებდნენ: დასავლეთ საქართველოს კოლხეთს, ეგრისს უწოდებდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს კი – იბერიას, ქართლს. X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ქვეყნის გაერთიანების პროცესთან ერთად, აუცილებელი გახდა ერთიანი ქვეყნის აღმნიშვნელი სახელის შემოღება. ასეთ ტერმინად იქცა „საქართველო“. XV საუკუნეში, ქვეყნის დაშლის შემდეგ, მართალია, აღარ არსებობდა ერთიანი საქართველო, მაგრამ ქართველისათვის კახეთი, ქართლი, მესხეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია-აჭარა, აფხაზეთი, სვანეთი და სხვა კუთხეები ქართულ სამეფო-სამთავროებად აღიქმებოდა.

საქართველოს უცხოელები სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, მაგრამ ამ დასახელებებს ერთი ფუძე აქვს. ძველმა სპარსელებმა საქართველოს უწოდეს „მგლის ქვეყანა“ –

? კითხვა

1. ახსენით, რამ განაპირობა X-XI საუკუნეების მიჯნაზე ერთიანი სახელწოდების – „საქართველოს“ – შემოღება.

კითხვა

2. როგორ გავრცელდა საქართველოს სახელწოდება ევროპულ ენებში?

3. იმსჯელეთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბუნებრივმა და გეოგრაფიულმა გარემომ ქვეყნის განვითარებაზე?

4. ახსენით, რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის კავკასიონისა და ლიხის ქედებს?


5. რომელი ფაქტორები განაპირობებს საქართველოს უნიკალურ გეოგრაფიულ მდებარეობას?

„გურგ“ სპარსულში მგელს ნიშნავს. აქედან უნდა მომდინარეობდეს „გურჯისტანი“. სპარსელებისაგან შეითვისეს ეს სახელი არაბებმა, მაგრამ, ვინაიდან არაბულს არა აქვს „გ“ ასო, სპარსული „გურგ“ „ჯურჯ, ჯურზ“-ად იქცა. ევროპულ ენებში გავრცელებული საქართველოს სახელი – „ჯორჯია“ – სწორედ არაბულის გავლენით დამკვიდრდა.

საქართველოს გეოგრაფიული დარაიონება

საქართველოს ტერიტორია, ძირითადად, კავკასიონის ქედის სამხრეთითაა განლაგებული. იგი სამ ზონად იყოფა: კავკასიონის მთიანეთი, შუა ზოლი – მთათაშორისი ბარი და სამხრეთი ზონა – მცირე კავკასიონი. კავკასიონისა და მცირე კავკასიონის დამაკავშირებელია ლიხის, ანუ სურამის ქედი, რომელიც საქართველოს ყოფს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. საუკუნეების განმავლობაში ლიხის ქედი წარმოადგენდა საზღვარს დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართულ სახელმწიფოებს შორის.

საქართველოს ტერიტორიის 2/3 მთაგორიანია. ქვეყნის მთელი ჩრდილოეთი ზონა კავკასიონის მთიანეთს უკავია. უძველესი დროიდან კავკასიონი ყოველთვის იყო საქართველოს ბუნებრივი ჩრდილოეთი საზღვარი. ის იცავდა სამხრეთ კავკასიას აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიაზე მომთაბარე ტომებისაგან. სამხრეთიდან შემოსევის შემთხვევაშიც საქართველოს მოსახლეობა კავკასიონის მთიანეთს აფარებდა თავს.



რუკა 2. საქართველოს ფიზიკური რუკა

ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასიის დამაკავშირებელი გზები

როგორ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ადამიანები უძველეს დროში? მაღალი მთების მიუხედავად, კავკასიონზე რამდენიმე ვიწრო გადასასვლელი არსებობდა. სწორედ ამ გზების გავლით შემოდიოდნენ საქართველოში უცხოელი ვაჭრები, დაქირავებული მეომრები თუ სხვა ქვეყნის ელჩები. სწორედ ამიტომ ქართულ წყაროებში ასეთ გადასასვლელებს ეწოდება „კარი“. აქედან წარმოდგება „დარიალის კარი“, „დვალეთის კარი“. ამ გადასასვლელების ჩაკეტვა ქართველ მეფეთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. თავის მხრივ, კავკასიაში გაბატონების მოსურნე დიდი სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობდნენ კავკასიონის ქედზე გამავალი გზების გაკონტროლებას.

ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასიის დამაკავშირებელი ყველაზე ცნობილი გზა არაგვისა და თერგის ხეობებზე გადიოდა. სწორედ აქ მდებარეობს „დარიალის კარი“. მეორე მნიშვნელოვან გადასასვლელს წარმოადგენდა „დვალეთის კარი“, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას შიდა ქართლთან და დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე იყო ასევე „გზაი აფხაზეთისაი“. იგი ქლუხორის უღელტეხილით გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში.



ლექსიკონი

ალანები – ირანულენოვანი მომთაბარე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლებმაც შექმნეს სახელმწიფო ალანია. მათ მემკვიდრეებად მიიჩნევიან თანამედროვე ოსები.

კითხვა

6. ახსენით, რატომ წარმოადგენდა კავკასიონის გადასასვლელების კონტროლი ქართველი მეფეების უპირველეს საზრუნავს. დაასახელეთ ორი მთავარი მიზეზი.

7. შეადარეთ დარიალისა და დვალეთის გადასასვლელები: რა ჰქონდათ მათ საერთო და რით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან?



მეცნიერის თვალსაზრისი

სახელწოდება „დარიალი“ წარმოდგება სპარსული „დარ-ი ალანისაგან“ (ალანთა კარი). ეს სახელი იმიტომ შეერქვა, რომ მისი გავლის შემდეგ მოგზაური ჩრდილოეთ კავკასიაში, ალანთა ტერიტორიაზე შედიოდა. ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში ის იხსენიება როგორც იბერიის კარი, არაგვის კარი, კავკასიის კარი, დარიალი და სხვა.

დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირის მაღალ კლდოვან მთაზე, რომლის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხარე მიუდგომელია, ხოლო დასავლეთით მთის ყელი კედლებით არის გადაკეტილი, მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი – დარიალის ციხე.

პროფესორები: ქეთევან ჯაყელი, ჯონდო გვასალია, პარმენ ზაქარაია

დავალება

1. რუკის დახმარებით შეადგინეთ საქართველოს „გეოგრაფიული პასპორტი“: მდებარეობა, მეზობელი ქვეყნები, გასასვლელი ზღვაზე, უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო დერეფნები.
2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

2. მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში



რუკა 3. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები

დასავლეთი საქართველო

დასავლეთი საქართველო თავდაპირველად კოლხეთად, შემდეგ ეგრისად იწოდებოდა. VIII საუკუნიდან მას აფხაზეთად მოიხსენიებდნენ იქ ჩამოყალიბებული დასავლეთქართული პოლიტიკური ერთეულის – „აფხაზთა სამეფოს“ – გამო. XI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს „ლიხთ-იმერეთს“ უწოდებდნენ. თანდათან ეს ტერმინი ერთი კონკრეტული კუთხის – იმერეთის – სახელად შემორჩა.

დავიწყოთ თხრობა **აფხაზეთიდან**. ის საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. აფხაზეთში საუკუნეების განმავლობაში ქართველები და აფხაზები ერთად ცხოვრობდნენ. დღეისათვის ეს ტერიტორია რუსეთის ფედერაციის ჯარების მიერ არის ოკუპირებული. აფხაზეთში უამრავი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლია (ბიჭვინთის ციხე-ქალაქი და კათედრალი, ბედიის, ილორის, მოქვის ტაძრები, ახალი ათონის სვიმონ კანანელის სახელობის ეკლესია, კელასურის კედელი და სხვა). მომავალში ქართველები და აფხაზები აუცილებლად იცხოვრებენ ერთად და თქვენ მოგიწევთ დაუვიწყარი მოგზაურობა ამ ულამაზეს მხარეში.

კითხვა

1. ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების რუკის გამოყენებით მიუთითეთ, საქართველოს რომელი კუთხეები მოიაზრებოდა ისტორიულ კოლხეთად/ეგრისად და იბერიად/ქართლად?
2. დაასახელეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები, რუკა 3-ისა და დანართების 1 და 2 დახმარებით დაადგინეთ თითოეული მხარის ცენტრი, რომელს ესაზღვრება შავი ზღვა? კავკასიონის ქედი?

აფხაზეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება **სამეგრელო**. იგი მდიდარია ხუროთმოძღვრული ძეგლებით. უძველესი ციხე-ქალაქი ციხეგოჯი, ანუ ნოქალაქევი, ეგრისის ერთ-ერთ პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. არქეოლოგები დღესაც ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებენ ციხეგოჯის ტერიტორიაზე.

სამეგრელოს ჩრდილოეთით ესაზღვრება **სვანეთი** – მთიელი ქართველებით დასახლებული კუთხე. იქაურ ეკლესიებში დაცულია ძველი ქართული სიწმინდეები, საქართველოს საგანძური – ჯვრები და ხატები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდი მოწიწებით უვლის. სვანეთში არქიტექტურის უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს თავდაცვითი ნაგებობები – სვანური კოშკები. ისტორიულად სვანეთში 3500-ამდე კოშკი იდგა. უშგულის თემის სვანური კოშკები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაშია შეტანილი.



მოქვის საკათედრო ტაძარი.
X საუკუნე. აფხაზეთი



სვანური კოშკები

ლექსიკონი

კათედრალი – ქრისტიანული ეკლესიის მთავარი ტაძარი, რომელიც წარმოადგენს ეპისკოპოსის სამყოფელს.

იუნესკო – გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია. იგი განსაზღვრავს მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების სიას.

ნოქალაქევი – ციხეგოჯი. ძვ. წ. III საუკუნიდან ეგრისის პოლიტიკური ცენტრი. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს.



კითხვა

3. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი რომელი ძეგლები მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და კონკრეტულად რომელ მხარეშია თითოეული მათგანი?



კაცხის სვეტი. იმერეთი.
იქ აშენებულია V-VI საუკუნეების ორი ეკლესია.



ნიკორწმინდის ტაძარი.
XI საუკუნე. რაჭა

პეტრა-ციხისძირის ციხესიმაგრე. VI საუკუნე. აჭარა

სამეგრელოს აღმოსავლეთით ესაზღვრება **იმერეთი**. მდინარე ცხენისწყალი სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარია. იმერეთში მდებარეობს ქუთაისი – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ბაგრატის ტაძარი და იქ არსებული სამეფო სასახლე კი ჩვენი წარსულის ქვაში გაცოცხლებული მატიანეა. ამავე რეგიონშია უძველესი ქალაქი ვანი, რომლის ნაქალაქარი დღესაც აოცებს მნახველებს.

იმერეთს სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება **გურია**, რომელიც ბუნებით გამორჩეული მხარეა. ადგილობრივთა მრავალხმიანი სიმღერები ჩვენი ერის ნამდვილი საგანძურია. გურიის სამხრეთით მდებარეობს **აჭარა** – ჩვენი ქვეყნის ყველაზე ცნობილი ტურისტული რეგიონი. აჭარა მდიდარია ისტორიული ძეგლებით. გონიოსა და პეტრა-ციხისძირის ციხეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ისტორიაში.

დასავლეთ საქართველოში კიდევ ორი მნიშვნელოვანი მხარე დარჩა გასაცნობი. ესენია **ლეჩხუმი** და **რაჭა**. ძველად ამ ორ რეგიონს ერთი სახელით – „თაკვერით“ – იხსენიებდნენ. XI საუკუნეში ჩამოყალიბდა რაჭის საერისთავო და „თაკვერი“ ერთხანს მხოლოდ ლეჩხუმის სახელად დარჩა. ლეჩხუმშია სოფელი ლაილაში, სადაც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ ებრაელები. ამ სოფელში აღმოჩნდა X საუკუნის უნიკალური ებრაულენოვანი ბიბლია. ლეჩხუმის დასავლეთით მდებარეობს რაჭა. აქაა XI საუკუნის კათედრალი ნიკორწმინდა, რომელიც ქართული არქიტექტურის უნიკალური ძეგლია.

კითხვა

4. დაასახელეთ დასავლეთ საქართველოს ერთი ღირსშესანიშნაობა და ახსენით, რა არის მისი ისტორიული ან კულტურული მნიშვნელობა?



აღმოსავლეთი საქართველო


დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ლიხის ქედით იყოფა. მისი გადალახვის შემდეგ დასავლეთ საქართველოდან **შიდა ქართლში** აღმოჩნდებით. ოდითგანვე შიდა ქართლის განუყოფელი ნაწილია ცხინვალის რეგიონი და ქსნის ხეობა, რომელიც დღეს რუსეთის მიერაა ოკუპირებული. აქ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქართველები და ოსები. შიდა ქართლი მოიცავს ვრცელ ტერიტორიას ლიხის ქედიდან ვიდრე თბილისამდე. ამ რეგიონში შეხვდებით კულტურული მემკვიდრეობის უამრავ ძეგლს: რუისის, ურბნისის, ყინწვისის, ატენის, ნიქოზის, სამთავისის, რკონის ტაძრებს. ღია ცის ქვეშ მუზეუმია – უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი. შიდა ქართლში შედის მცხეთის ისტორიული ძეგლები, რომლებიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალში.

მცხეთიდან გზა მდინარე მტკვრის გრძელ ხეობას მიუყვება, სადაც მდებარეობს საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

მსოფლიოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანის საცხოვრისის აღმოჩენას, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ევროპის კონტინენტზე. მას **ქვემო ქართლში**, ქალაქ დმანისთან ახლოს მიაკვლიეს.

საქართველო უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანაა. აქ 8000 წლის წინ მოჰყავდათ ვაზი და ხორბალი. ეს უნიკალური აღმოჩენები სწორედ ქვემო ქართლში დადასტურდა და ჩვენში ვაზისა და ღვინის არსებობის, ასევე, ხორბლის გავრცელების მტკიცებულებად იქცა.

ქვემო ქართლის დასავლეთით მდებარეობს **თრიალეთი**. ეს კუთხე უძველესი დროიდან იყო დასახლებული. სწორედ



წულრუღაშენი. XIII საუკუნე.
ქვემო ქართლი



ლექსიკონი

მატიანე – ისტორია, წარსული.

ოკუპირებული – სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ უკანონოდ დაკავებული ტერიტორია, ქვეყანა, რეგიონი.

მცხეთა.
მტკვრისა და არაგვის შესართავი





კლდეკარი. ამ ადგილას სამხრეთიდან აღმოსავლეთ საქართველოსკენ მიმავალი გზა გადიოდა. აქვე იყო აღმართული კლდეკარის ციხე

აქ არის შემონახული უძველესი მხატვრობის ნიმუშები, რომლებზედაც გამოსახულია ქვის ხანის მშვილდით შეიარაღებული მონადირეები. თრიალეთში მდებარეობდა ცნობილი კლდეკარის ციხე, რომელიც სამხრეთიდან მომავალ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და სამხედრო გზას იცავდა.

საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი რეგიონია **კახეთი**. ის რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოიქმნა. კახეთი თავდაპირველად მდინარეების – ივრისა და ალაზნის – ზემოწელს ეწოდებოდა (დღევანდელი თიანეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები). თანდათანობით კახეთის საერისთავომ, ხოლო შემდეგ სამეფომ, მოახერხა მეზობელი მხარეების შეერთება, მათ შორის იყო სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ყველაზე დიდი პროვინციები – კუხეთი და ჰერეთი. საბოლოოდ, XVI-XVIII საუკუნეებიდან ტერმინი „კახეთი“ (კახეთის სამეფო) აღნიშნავს იმ ტერიტორიას, რომელსაც ის დღესაც მოიცავს.

აღმოსავლეთ საქართველოს ულამაზესი კუთხეებია **ფშავი** და **მთიულეთ-გუდამაყარი**, რომლებიც მდინარე არაგვის ხეობაში მდებარეობს და ისტორიული ძეგლებით მდიდარ მხარეს წარმოადგენს. ფშავის სამხრეთითაა ერწო-თიანეთი, რომელიც ძველად კახეთის ნაწილი იყო. იქ მდებარეობდა კახეთის სამეფოს დედაქალაქი თიანეთი, თუმცა მოგვიანებით ერწო-თიანეთიც ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარედ ჩამოყალიბდა.

კითხვა

5. რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქვემო ქართლს, კერძოდ, დმანისის ნაქალაქარს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ევროპის ისტორიისთვის?

6. როგორ ჩამოყალიბდა კახეთი თანამედროვე საზღვრებში. რომელი ისტორიული მხარეები გაერთიანდა მასში დროთა განმავლობაში?



ალავერდი.
XI საუკუნე. კახეთი



შატილი. ხევსურეთი. შუა საუკუნეების დასახლება, რომელიც გამაგრებულ სოფელს წარმოადგენდა.

ჩრდილოეთი საქართველო

საქართველოს სამი რეგიონი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს. მდინარე არაგვის ხეობიდან ჯვრის უღელტეხილით გადავდივართ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში, **ხევში**, სადაც უძველესი დროიდან უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა გადიოდა. ხევშია ცნობილი „დარიალის კარი“. ხევის აღმოსავლეთით გადაჭიმულია **ხევსურეთი**, რომელიც ორ ნაწილად იყოფა: კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე პირიქითა ხევსურეთი მდებარეობს, ხოლო სამხრეთით – პირაქეთა ხევსურეთი. რაც შეეხება **თუშეთს**, ის კახეთის ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედის გადაღმაა გაშლილი.

სამხრეთი საქართველო

საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს მცირე კავკასიონის ოლქი, რომელიც ისტორიულ მესხეთს – **სამცხესა** და **ჯავახეთს** – მოიცავს. შიდა ქართლსა და მესხეთს კი თორის პატარა პროვინცია (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) აკავშირებს. აქაა ბორჯომის ცნობილი მინერალური წყლის საბადო. სამცხე-ჯავახეთი უძველესი დროიდან საქართველოს „პურის ბეღელს“ წარმოადგენდა. სამცხეშია ცნობილი საფარისა და ზარზმის ტაძრები. ჯავახეთში კი მდებარეობს ვარძიის ცნობილი სამონასტრო კომპლექსი.

? კითხვა

7. რა საერთო ბუნებრივ-გეოგრაფიული ნიშნით გაერთიანდა ხევი, ხევსურეთი და თუშეთი ჩრდილოეთ საქართველოში? რომელი საზღვრით გამოიყოფა ისინი სხვა კუთხეებისგან?

! დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ უცხოელ თანატოლს მასპინძლობთ. აირჩიეთ საქართველოს სამი ისტორიული მხარე, სადაც აუცილებლად წაიყვანთ მას. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.
2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.



ვარძია. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი. XII-XIII საუკუნეები. ჯავახეთი

II. რით ვსწავლობთ ძველ ისტორიას

ჩვენს სამშობლოს, საქართველოს, აქვს მდიდარი ისტორიული წარსული, რომელიც პერიოდებად იყოფა. მეორე თავში შეისწავლით საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას.

თქვენ გაეცნობით იმ არქეოლოგიურ მასალასა და წერილობით წყაროებს, რომელთა საფუძველზე მეცნიერები საქართველოს ისტორიას სწავლობენ.

საინტერესო იქნება ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებებიც არქეოლოგიური წყაროებისა და თავად არქეოლოგიის შესახებ.





3. ქრონოლოგია



ქვის ხანის იარაღი

ეპოქებად დაყოფილი ისტორია

ნებისმიერ ისტორიულ ფაქტზე საუბრისას გვაინტერესებს, როდის მოხდა ის. ისტორია დროში მოგზაურობაა. ამიტომაც ისტორიკოსებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, ისე დაეყოთ წარსული, რომ ადამიანებს გაადვილებოდათ ისტორიული პროცესების აღქმა. ამისათვის მეცნიერებმა კაცობრიობის ისტორია დაანაწილეს გარკვეულ პერიოდებად. მაგრამ ისტორიის ეპოქებად დაყოფა ხელოვნურად არ მომხდარა. მაგალითად, ისტორიის ყველა პერიოდი ერთსა და იმავე დროს არ მოიცავს. მეცნიერებისათვის დიდი ეპოქების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი იყო ეჩვენებინათ, რა გამორჩეული ნიშან-თვისებით ხასიათდებოდა კონკრეტული ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში.

უძველესი დროიდან დღემდე ისტორია იყოფა ორ ძირითად პერიოდად: წინარეისტორიულ და ისტორიულ ხანად.

წინარეისტორიულ ხანას მეცნიერები უწოდებენ იმ პერიოდს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი დამწერლობა.

ისტორიული პერიოდი კი იწყება დამწერლობის გაჩენისა და პირველი სახელმწიფოების წარმოქმნის შემდეგ. ტერმინი „წინარეისტორია“ პირველად გამოიყენეს ინგლისელებმა. წინარე ისტორიული ეპოქა, ძირითადად, მოიცავს ქვის ხანასა და ენეოლითს. იმდროინდელი ადამიანების ყოფასა და სამეურნეო საქმიანობაზე წარმოდგენა გვექმნება არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მასალის დახმარებით.

მსოფლიო ისტორიის ყველაზე ხანგრძლივი ეპოქაა ქვის ხანა. რატომ მოვიხსენიებთ მას ამ სახელით? პასუხი მარტივია. პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში ქვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ადამიანის სამეურნეო იარაღები მზადდებოდა ქვისგან. ეს ეპოქა მოიცავს სამ დიდ პერიოდს: პალეოლითს (ძველი ქვის ხანას: „პალეოს“ ბერძნულად ნიშნავს ძველს, „ლითოს“ კი – ქვას), მეზოლითს (შუა ქვის ხანას: „მეზოს“ ბერძნულად ნიშნავს შუას) და ნეოლითს (ახალი ქვის ხანას: „ნეოს“ ბერძნულად ნიშნავს ახალს).

ლექსიკონი

ეპოქა – დროის დიდი მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული თვისებებით ან მნიშვნელოვანი მოვლენებით.

პირველყოფილი ადამიანი – კაცობრიობის განვითარების უძველეს, საწყის ეტაპზე მცხოვრები ადამიანი.

ქვის ხანა			ენეოლითის ხანა
პალეოლითის ხანა (ძველი ქვის ხანა)	**მეზოლითის ხანა** (შუა ქვის ხანა)	**ნეოლითის ხანა** (ახალი ქვის ხანა)	**ენეოლითის ხანა** (სპილენძ-ქვის ხანა)
უძველესი დროიდან – ძვ. წ. XII ათასწლეულამდე	ძვ. წ. XII-VIII ათასწლეულები	ძვ. წ. VIII ათასწ.-ძვ. წ. V ათასწ. დასასრული	ძვ. წ. V ათასწ. დასასრული-ძვ. წ. IV ათასწ. დასასრული

ქვის ხანიდან ლითონის ხანაზე გარდამავალ პერიოდს ენეოლითი ეწოდება („ენეოს“ ლათინურად სპილენძს ნიშნავს, „ლითოს“ კი ბერძნულად – ქვას). ამდენად, მეცნიერებმა ამ ორი სიტყვის გაერთიანებით მოგვცეს ახალი ეპოქის, სპილენძ-ქვის ხანის სახელწოდება – ენეოლითი.

მსოფლიო ცივილიზაციის საინტერესო პერიოდია ბრინჯაოს ხანა. ამ დროს ადამიანები სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღს ბრინჯაოსგან აკეთებდნენ.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან კაცობრიობის ისტორიაში იწყება ახალი ეპოქა, რომელსაც რკინის ხანა ეწოდება. ვითარდება მეტალურგია. ბევრ მეცნიერს მიაჩნია, რომ რკინის დამუშავება პირველად სამხრეთ კავკასიასა და ანატოლიაში დაიწყეს.

ისტორიულ წიგნებში ხშირად ახსენებენ ტერმინს – „მსოფლიოს ძველი ისტორია“. ამ სახელით ისტორიკოსები აღნიშნავენ დედამიწაზე პირველი სახელმწიფოების გაჩენიდან შუა საუკუნეების ეპოქის დასაწყისამდე პერიოდს.

საქართველოს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ძველ საბერძნეთთან, რომთან და ამ კულტურის ქვეშ მოქცეულ სამყაროსთან. ამიტომაც ამ ეპოქის გაცნობისას შეიძლება შეგხვდეთ ტერმინი – „ანტიკური ეპოქა“. ეს ტერმინი წარმოიშვა ლათინური სიტყვისგან, რომელიც ძველს ნიშნავს.



ლექსიკონი

მეტალურგია – საქმიანობა, როცა წიაღისეული ნედლეულისგან იღებენ ლითონს და მისგან ამზადებენ შენადნობებს.

ანატოლია – დიდი ნახევარკუნძული აზიის დასავლეთ ნაწილში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, იგივე მცირე აზია).



ძველი ათენის აკროპოლისი თანამედროვე ქალაქის ცენტრში

ბრინჯაოს ხანა			რკინის ხანა
ადრე ბრინჯაოს ხანა	შუა ბრინჯაოს ხანა	გვიანი ბრინჯაოს ხანა	რკინის ხანა
ძვ. წ. IV ათასწ. დასასრული-ძვ. წ. III ათასწ. დასასრული	ძვ. წ. III ათასწ. დასას.-ძვ. წ. II ათასწ. შუა	ძვ. წ. II ათასწ. შუა-ძვ. წ. I ათასწ. დასაწყისი	ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან



რომის კოლიზეუმი

იგი გამოიყენება საბერძნეთისა და რომის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დომინანტობის პერიოდის აღსანიშნავად.

ანტიკურ ეპოქას ცვლის შუა საუკუნეები. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპაში, ბიზანტიასა თუ საქართველოში იწყება განვითარების ახალი ეპოქა, რომელიც გამოიხატა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი გარდაქმნებით. ის გრძელდება XVI-XVIII საუკუნეებამდე. მოგვიანებით შუა საუკუნეები ახალმა ეპოქამ შეცვალა. XX საუკუნის დასაწყისიდან კი იწყება უახლესი პერიოდი.

კითხვა

1. რა პრინციპით დაყვეს მეცნიერებმა კაცობრიობის ისტორია წინარეისტორიულ და ისტორიულ ხანებად? დაასახელეთ ის მთავარი ნიშანი, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ამ ორ პერიოდს.
2. ახსენით, რა გავლენა იქონია იარაღის ცვლილებამ ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაზე?
3. ზოგი მეცნიერის აზრით, რკინის დამუშავება პირველად სამხრეთ კავკასიაში დაიწყო. რატომ არის მნიშვნელოვანი ასეთი აღმოჩენები ჩვენი სამშობლოს ისტორიისთვის?

ერა და მისი სახეები

„ერა“ ეწოდება წელთაღრიცხვის საწყის მომენტს. ასეთ თარიღად ხშირად გამხდარა ცნობილი რელიგიური მოღვაწეების დაბადების წელი ან მათი ბიოგრაფიის ესა თუ ის მნიშვნელოვანი დეტალი, სამეფო დინასტიის დაარსება და ა.შ.

ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულია წელთაღრიცხვის ორი სისტემა, ანუ ერა: ქრისტიანული (ანუ ქრისტეს


შობიდან) და ისლამური (ანუ ჰიჯრა). პირველ შემთხვევაში საწყისად აღებულია იესო ქრისტეს დაბადების თარიღი. მეორე შემთხვევაში კი – მუჰამედის მექადან მედინაში გადასვლის დრო – 622 წლის 16 ივლისი. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ბუდისტური ერა, რომლის საწყისად მიჩნეულია ბუდას გარდაცვალება – ძვ. წ. 544-543 წლები.

დღეს მსოფლიოში წელთაღრიცხვის სისტემად ქრისტიანული ერაა გავრცელებული. საწყისად აღებულია ქრისტეს შობა. ამიტომაც ხშირად შეხვდებით გამონათქვამს ქრისტეს წინარე (ქ. წ.) ან ქრისტეს შობიდან (ქ. შ.), სხვაგვარად – ძველი წელთაღრიცხვით (ძვ. წ.) ან ახალი წელთაღრიცხვით (ახ. წ.). როდესაც ვამბობთ, რომ ესა თუ ის მოვლენა მოხდა 1991 ან 2020 წელს, ამოსავალია სწორედ ქრისტეს დაბადება.

საუკუნეები და წლები ქრისტეს შობამდე (ქრისტეს წინარე პერიოდში) თანდათან იკლებს (ძვ. წ. X-IX-VIII-VII-VI-V-IV-III-II-I საუკუნეები ან 10-9-8-7-6-5-4-3-2-1 წელი და სხვა) და მოდის საწყისამდე, ანუ ქრისტეს დაბადებამდე. აქედან კი იწყება ახალი წელთაღრიცხის ათვლა უკვე აღმავალი ხაზით (ქ. შ-იდან, ანუ ახ. წ. 1-2-3-4-5-6-7-8-9-10 წელი ან I-II-III-IV-V-VI-VII-VIII-IX-X საუკუნეები, ვიდრე დღევანდელ დღემდე).



იესო ქრისტეს გამოსახულება ჯრუჭის ოთხთავის მინიატიურაში. XII-XIII საუკუნეები. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



კითხვა

4. შეადარეთ სამი ერა – ქრისტიანული, ისლამური და ბუდისტური. რა საერთო პრინციპით განისაზღვრება მათი საწყისი თარიღი? რომელი მათგანი უკავშირდება დაბადებას, ისტორიულ მოვლენას ან გარდაცვალებას?

5. ახსენით, რას ნიშნავს თარიღი ქრისტეს წინარე V საუკუნე და ქრისტეს შობიდან V საუკუნე? რომელია მათ შორის უფრო ძველი და რატომ?

6. ახსენით, რას ნიშნავს თარიღი ძველი წელთაღრიცხვით (ძვ. წ.) III საუკუნე და ახალი წელთაღრიცხვით (ახ. წ.) III საუკუნე? რა წლებს მოიცავს თითოეული მათგანი?



ასტროლოგიური ნაშრომი „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“. XII საუკუნის ძველი ქართული თარგმანი. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

როდის იწყებოდა წელიწადი საქართველოში

საქართველოში, საუკუნეების განმავლობაში, ახალი წლის დაწყების თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა. ძველი ქართული კალენდრით, ახალი წელი 6 აგვისტოს იწყებოდა. ამის გამო კალენდრის პირველ თვეს „ახალწლისაი“ ეწოდებოდა.

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ დამკვიდრდა „სექტემბრის წელიწადი“. ახალი წელი 1-ელ სექტემბერს იწყებოდა.

X საუკუნიდან საქართველოში შემოდის „იანვრის წელიწადი“, რომელიც დღესაც მიღებულია. ახალი წელი 1-ელ იანვარს იწყება.

ასტროლოგიურ თხზულებაში „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ გამოსახულია თვეების მიხედვით ზოდიაქოს ნიშნები და იქვე მოცემულია ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულთა დახასიათება

თვეების დასახელება ძველ საქართველოში

ძველ საქართველოში თვეების დასახელება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდებოდა. მაგალითად, ივნისს თიბათვე ეწოდებოდა, ივლისს – მკათათვე, ოქტომბერს – ღვინობისთვე.





საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ ქართულ კალენდარში თვეების სახელწოდებები შეიცვალა. გაჩნდა ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული სახელები. იოანე ნათლისმცემლის შობის დღის გამო ივნისს ივანობისთვე ეწოდა; მარიამობის დღესასწაულის გამო აგვისტოს – მარიამობისა; გიორგობის დღესასწაულის გამო ნოემბერს გიორგობისთვე შეერქვა; 25 დეკემბერს, ქრისტეშობის დღესასწაულიდან გამომდინარე, ამ თვეს ქრისტეშობისთვე ეწოდა.

დღეს მსოფლიოში, ძირითადად, რომაული თვეების სახელებია გავრცელებული. მაგალითად, იანვარი ცისა და სინათლის ღმერთის – იანუსის – პატივსაცემად დაერქვა; თებერვალი მომდინარეობს მიცვალებულთა ღმერთის, ფებრუსისგან; ივნისი უკავშირდება ქალღმერთ იუნონას სახელს; ივლისი ეწოდა იულიუს კეისრის პატივსაცემად და ა.შ.



ზოდიაქოს ნიშნები
სვეტიცხოვლის ფრესკაზე

? კითხვა

7. რასთან იყო დაკავშირებული თვეების ძველი ქართული სახელწოდებები და რისი მანიშნებელია ეს ყოველივე?

8. იმსჯელეთ, რაზე მიუთითებს თვეების ქრისტიანული სახელწოდებების გაჩენა ძველ ქართულ კალენდარში.

9. რატომ უკავშირდება დღევანდელი კალენდრის თვეების სახელწოდებების უმრავლესობა რომაულ კულტურას?

! დავალება

1. დაალაგეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: ახალი წელთაღრიცხვით (ახ. წ.) III საუკუნე; ძველი წელთაღრიცხვით (ძვ. წ.) VII საუკუნე; ახალი წელთაღრიცხვით (ახ. წ.) I საუკუნე; ძველი წელთაღრიცხვით (ძვ. წ.) II საუკუნე.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.





4. მიწაში დამარხული ისტორია



აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი არმაზის არქეოლოგიურ ექსპედიციაში

არქეოლოგთა საქმიანობა

საქართველოს ძველ ისტორიას, ძირითადად, არქეოლოგიური, ანუ ნივთიერი მასალის მეშვეობით ვიკვლევთ. არქეოლოგებმა გააცოცხლეს ისეთი ეპოქები, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია. არქეოლოგიური მასალის დახმარებით აღვადგენთ უძველესი ადამიანის ყოფას. ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ და რას საქმიანობდნენ ძველად საქართველოში. „არქეოლოგია“ ძველი ბერძნული სიტყვაა და სიძველეთმცოდნეობას აღნიშნავს.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიცია გრაკლიანის გორაზე

XX საუკუნის პირველ ნახევარში არქეოლოგები უძველესი ადამიანის ნეშტის აღმოჩენისას მხოლოდ მისი ვიზუალური აღწერით შემოიფარგლებოდნენ. მოგვიანებით მათ კვლევებში სხვა სამეცნიერო მიმართულებების, განსაკუთრებით კი, სამედიცინო და საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევების გამოყენება დაიწყეს. ნამარხი ძვლისგან აღებული დნმ-ის ნიმუშით, შესაძლებელია მოლეკულურ დონეზე შევისწავლოთ საუკუნეების წინ მცხოვრები ადამიანის წარმომავლობა, დაავადებები, ნათესაური კავშირები და სხვა. ლაბორატორიულ პირობებში ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები სამარხიდან აღებული მასალით აღადგენენ ძველი ეპოქების ფლორასა და ფაუნას, ადამიანის გარშემო არსებულ ცოცხალ სამყაროს. არქეოლოგები ასევე აქტიურად იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, აეროფოტოგრაფიას და სხვა.



წყალქვეშა არქეოლოგია



მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნი მასალა: ა) ვერცხლის ჯამი მამაკაცის გამოსახულებით; ბ) ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს ყელსაბამი; გ) ოქროს ნივთები: საყურეები, გულსაკიდი, მედალიონი, დიადემა; დ) ოქროს სამაჯურები; ე) ვერცხლის ჯამი ქალღმერთ ფორტუნა-ტიხეს გამოსახულებით ყანწით ხელში; ვ) ვერცხლით მოჭედილი საწოლის ფეხები. მასალა დაცულია ეროვნულ მუზეუმში.

? კითხვა

1. რატომ არის არქეოლოგია მნიშვნელოვანი იმ ეპოქების შესასწავლად, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება?
2. რატომ არის მნიშვნელოვანი მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემების გამოყენება არქეოლოგიური კვლევისთვის?
3. ყურადღებით დააკვირდით სამარხსა და მასში აღმოჩენილ ნივთებს. რას გეუბნებათ ეს აღმოჩენები მასში დაკრძალული ადამიანის სოციალურ სტატუსზე?



მეცნიერის თვალსაზრისი

მიწაში ჩამარხული ძეგლები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: საცხოვრებელი, თავდასაცავი, სამეურნეო თუ სამლოცველო ნაგებობების ნანგრევ-საძირკვლები, სამარხები, ცალკეული მიმობნეული საგნები თუ მათი ნამსხვრევები და სხვა...

მიწიდან ამოთხრილი, მომცრო და მცირე საგნები, უმთავრესად, წარმოადგენს სამუშაო ხელსაწყო-იარაღს, საბრძოლო იარაღ-საჭურველსა და სამკაულს ტანსაცმლის ზოგიერთი ნაწილითურთ; ხელოვნების ნაწარმოებებსა და სარწმუნოებრივი კულტის საგნებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი გვხვდება მონეტები, რომელთა მიხედვით უფრო დანამდვილებით ითქმის, თუ რა დროს ეკუთვნის მათი შემცველი სამარხი, ნანგრევი, ან სხვა რამ კულტურული ნაშთი. ფული (მონეტა) შედარებით იშვიათად გვხვდება, თუნდაც იმიტომ, რომ იგი გვიან გამოიგონა ადამიანმა.

არქეოლოგი გიორგი (გოგი) ლომთათიძე

კითხვა

4. რა ტიპის ნივთიერი მასალა შეიძლება აღმოაჩინოს არქეოლოგმა მიწაში? რა წარმოდგენას გვიქმნის ეს მასალა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ?

5. რატომ მიიჩნევს გიორგი ლომთათიძე მონეტებს არქეოლოგიური ნაშთებიდან განსაკუთრებით ღირებულად?

6. რატომ გვხვდება მონეტები შედარებით იშვიათად ძველ სამარხებში?

თანამედროვე კვლევები და არქეოლოგია

XXI საუკუნეში არქეოლოგიური კვლევები წარმოუდგენელია სხვადასხვა დარგთან თანამშრომლობის გარეშე. ნამარხ მასალაში მეცნიერები უამრავი ცოცხალი ორგანიზმის ნაშთს პოულობენ. მათი შესწავლის შედეგად შეგვიძლია გავარკვიოთ, როგორი იყო იმ პერიოდის ბუნება, მეურნეობის რა დარგებს მისდევდნენ ადამიანები, რას ჭამდნენ, როგორ ეცვათ, რა სამკურნალო მცენარეებს იყენებდნენ და ა.შ.

არქეოლოგები საჭირო მასალას იღებენ როგორც საოჯახო ინვენტარიდან (ჭურჭელი, საფქვავები), ისე მოსავლის შესანახი სათავსებიდან. ამ სახის კვლევები კიდევ უფრო გაფართოვდა და ახლა უკვე შესაძლებელია საუკუნეებისა და ათასწლეულების წინ გარდაცვლილი ადამიანის ნეშტიდან აღებული მასალით იმის დადგენა, თუ რა საკვები მიიღო მან სიცოცხლის ბოლო დღეებში.



მეცნიერის თვალსაზრისი

ზედა პალეოლითური ხანის ადამიანი საკვებად იყენებდა, პირველ ყოვლისა, ხორცს, რადგან ყველა გამოკვლეულ გამოქვაბულში ძვლოვანი მასალა მდიდრულადაა წარმოდგენილი. რაც შეეხება მცენარეულ საკვებს, იგი იყენებდა ბევრი მცენარის ნაყოფს, ყლორტებს, ფოთლებს... ქვის ხანის ადამიანმა უკვე იცოდა სამკურნალო მცენარეების 32 სახეობა. ნეოლითურ ხანაში უმჯობესდება ადამიანის კვების რაციონი, რადგან ამ დროს მან დაიწყო მარცვლოვნებისა და სხვა მცენარეების მოყვანა. ვითარდება მებაღეობა და მევენახეობა. ჩნდება სელის ზეთი და ღვინო. ნეოლითურ ხანაში ხალხური მედიცინა უფრო ვითარდება. ზედა პალეოლითურთან შედარებით, ნეოლითურმა ადამიანმა გაცილებით მეტი სამკურნალო მცენარე შეისწავლა და მოიხმარდა მას. ნეოლითური ფენებიდან სულ განისაზღვრა 56 სამკურნალო მცენარის მტვერი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე პალეოლითურში.

მკვლევარი ინგა მარტყოფლიშვილი

კომპიუტერულ-გრაფიკული მეთოდით სამგანზომილებაში ექსპონატის აღდგენა



საქართველოში ყორღანების გათხრისას ჭურჭელში ნაპოვნია უძველესი თაფლის ნაშთი, ასევე, ხორბლის, ქერის, წაბლის, თხილის, ვაზის, მაყვლის, ასკილისა და სხვა მცენარეთა მტვრის მარცვლები. ცხადია ხდება, რომ ჯერ კიდევ ქვის ხანის ადამიანმა იცოდა სხვადასხვა მცენარის თვისებები და მათი სამკურნალო დანიშნულება.



მეცნიერის თვალსაზრისი

2007 წელს ძუძუანას მღვიმეში გაკეთებულმა აღმოჩენამ მსოფლიო მედიის ყურადღება მიიპყრო. მას არაერთი მასალა მიეძღვნა. „საიენსმა“, „ლე ფიგარომ“, „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ და სხვა გავლენიანმა გამოცემებმა გამოაქვეყნეს სტატიები: „მსოფლიოს პირველი მკერავები“, „უძველესი ძაფი და უნიკალური აღმოჩენა საქართველოში“. ამ მოვლენის შესახებ მოგვითხრობს არქეოლოგი თენგიზ მეშველიანი: „ძუძუანას მღვიმეში სამუშაოებისას, ძირითადად, ქვისა და ძვლის ნივთებს მივაკვლიეთ. ხე და ორგანული ნივთიერებები კი, მოგეხსენებათ, არ ინახება და შესაძლოა მხოლოდ მტვრის სახით იყოს დარჩენილი. სწორედ ამ მტვერში აღმოჩნდა სელისგან დამზადებული ძაფის ნაშთები. პალეონტოლოგმა ელისო ყვავაძემ ახალ ტექნოლოგიას მიაგნო და მძლავრი მიკროსკოპით დაინახა დართული ძაფის ბოჭკოს უმცირესი ნაწილაკები. აღმოჩენებში, სელის გარდა, შალის ბეწვიც არის დაგრეხილი. სელის ბოჭკო ტექნოლოგიურად დაჭეჭყილია, მერე დაძეძგილი და შემდეგ – მოქსოვილი“.


ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი,“ 2012, აგვისტო.

კითხვა

7. ინგა მარტყოფლიშვილის კვლევაზე დაყრდნობით, შეადარეთ პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ადამიანის კვების რაციონი. რა ახალი საკვები გაჩნდა და მეურნეობის რომელი დარგი განვითარდა ამ ეპოქებში?

8. ნეოლითის ხანის ფენებში ორჯერ მეტი სამკურნალო მცენარის მტვერია აღმოჩენილი, ვიდრე პალეოლითში. რას გვეუბნება ეს ფაქტი ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების შესახებ?






ექსპედიციის წევრები ძუძუანას მღვიმეში მუშაობისას და იქ აღმოჩენილი სელის ბოჭკოები. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი მღვიმევი

დავალება

1. აუხსენით მეგობარს, რას ნიშნავს გამოთქმა „არქეოლოგია მიწაში დამარხული ცოცხალი ისტორიაა“. მოამზადეთ მოკლე ტექსტი, პოსტერი ან პრეზენტაცია და კონკრეტული მაგალითებით აჩვენეთ, როგორ ეხმარება არქეოლოგიური აღმოჩენები ისტორიკოსებს წარსულის ადამიანთა ცხოვრების შესწავლაში.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

5. წერილობითი წყაროები



არმაზის ბილინგვა (შესრულებული ბერძნულად და არამეულად). ქართველი დიდებული ქალის, სერაფიტას, საფლავის ქვა, რომელშიც იხსენიება იმ ეპოქის სხვა წარჩინებული პირებიც. II საუკუნე. დაცულია ეროვნულ მუზეუმში.



ლექსიკონი

რეკონსტრუქცია – რაიმეს აღდგენა, განახლება ან თავდაპირველი სახის დაბრუნება.

სტელა – ქვის სვეტი.

დავათის სტელა – ერთ-ერთი უძველესი ქვასტელა. ორ მთავარანგელოზს, მიქაელსა და გაბრიელს, ხელში უჭირავს ეტრატი (პერგამენტი), რომელზედაც ამოკვეთილია ასომთავრული ასოები.

არამეული – ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ენა, რომელიც ძველად „საერთაშორისო ენა“ იყო.

პალესტინაში აღმოჩენილი ქართული ასომთავრული მოზაიკური წარწერა

წერილობითი წყარო მრავალგვარია. ისტორიკოსები მათი ანალიზის საფუძველზე აღადგენენ საუკუნეების წინანდელ მოვლენებს. საქართველოს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა გარე სამყაროსთან, ამიტომაც ხშირად უცხოურ წყაროებში შეხვდებით ცნობებს ქართველთა შესახებ. მეცნიერები ამ მასალას აგროვებენ, სწავლობენ და კონკრეტულ ეპოქაში მიმდინარე მოვლენების რეკონსტრუქციისათვის იყენებენ.

საქართველოს ძველი ისტორიის აღწერისას, არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, მეცნიერები ეყრდნობიან ეპიგრაფიკულ მასალას (სტელებზე, ციხეებზე, ეკლესიებზე გაკეთებულ წარწერებს), ისტორიულ დოკუმენტებს (მეფეების, დიდებულების, ეკლესიის მიერ გაცემულ სიგელებს, სავაჭრო გარიგებებს, სახელმწიფო დაწესებულებათა დოკუმენტაციას და სხვა), საისტორიო თხზულებებს (ქართულ წყაროებს – „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართლის ცხოვრებას“), ასევე, ბერძენ და რომაელ მემატიანეთა ცნობებს, მხატვრულ ნაწარმოებებს (მაგ., „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“).

ეპიგრაფიკული წყაროები

ქვაზე, ლითონზე, ხესა და სხვა მყარ მასალაზე გაკეთებულ წარწერებს ეპიგრაფიკა შეისწავლის. ამ დარგმა უდიდესი როლი შეასრულა ძველი სამყაროს ისტორიის აღდგენაში, რადგან ეგვიპტის, შუამდინარეთის, ხეთების, ასურეთის, ურარტუსა და სხვა ადრეული ცივილიზაციების შესახებ ინფორმაციას, ძირითადად, სწორედ ეპიგრაფიკული მასალა გვაწვდის.

ცნობები ქართული ტომების შესახებ აღმოჩენილია ასურულ და ურარტულ წარწერებში. ეს ნაწერები რაღაც მოვლენის აღსანიშნავად კეთდებოდა სტელაზე ან ქვაზე. საქართველოში შემონახულია ასევე ურარტული, ბერძნული, არამეული, ლათინური ეპიგრაფიკა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ქრისტიანულ ტაძრებზეც ჩნდება ქართული წარწერები.





ბოლნისის სიონის წარწერა. მეცნიერთა დიდი ნაწილი წარწერას ათარიღებს V საუკუნის მიწურულით. ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის შესრულებულია IV საუკუნის II ნახევარში



მეცნიერის თვალსაზრისი

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები შესრულებულია ქართული დამწერლობის ყველა სახეობით: ასომთავრულით, ნუსხურით, მხედრულით. შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით ძველი ქართული წარწერები ასე ჯგუფდება: სააღმშენებლო, მემორიალური (მოსახსენიებელი), ეპიგრაფიკული საბუთები, მომლოცველთა, მაგიური, საღმრთო წერილის ციტატები, ლექსები, გამოსახულებათა (ფრესკული სცენების ან ცალკეული პირების) განმარტებითი, საყოფაცხოვრებო შინაარსისა და სხვა.

პროფესორი ვალერი სილოგავა

ჩვენამდე მოღწეული ვრცელი ძველი ქართული წარწერებიდან უადრესი V საუკუნით თარიღდება და აღმოჩენილია იერუსალიმის მახლობლად, პალესტინის (იორდანიის) უდაბნოში. უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე კი ყველაზე ძველ თარიღიან ეპიგრაფიკულ ძეგლად ბოლნისის სიონის წარწერა ითვლება, რომელიც V საუკუნის მიწურულს, 493-494 წლებს, მიეკუთვნება. ერთ-ერთ უძველეს ქართულ ეპიგრაფიკულ ნიმუშად მიიჩნევენ დავათის სტელასაც, რომელზეც გამოსახულია ქართული ასომთავრული ანბანი.

ისტორიული დოკუმენტები

უძველესი დროიდან ქართველი მეფეები, მთავრები უამრავ დოკუმენტს გასცემდნენ, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის ჩვენამდე მოღწეული. მტრების შემოსევებმა გაანადგურა სამეფო არქივები. საქართველოში ამ სახის ყველაზე ძველი დოკუმენტი IX საუკუნით თარიღდება.

კითხვა

1. რას ნიშნავს ეპიგრაფიკული წყარო და როგორ მასალაზე კეთდებოდა ასეთი წარწერები? ჩამოთვალეთ ის ენები, რომელთა ეპიგრაფიკული ძეგლებიც აღმოჩენილია საქართველოში.

2. წარმოიდგინეთ, რომ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძველი ქვის სტელა უცნობი წარწერით. თქვენი აზრით, რა სახის ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება ეს აღმოჩენა ისტორიკოსებს?



წყაროსთავის მეორე სახარება. მახარებლის მინიატიურა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი

საისტორიო თხზულებები

უძველესი დროიდან საქართველოში არაერთი საისტორიო ნაწარმოები შეიქმნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ჩვენამდე არ მოუღწევია. ქართლის სამეფოს ძველი ისტორია გადმოცემულია მოგვიანებით შექმნილ საისტორიო თხზულებებისგან შემდგარ ორ კრებულში, ესაა: „მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრება“.

„მოქცევაი ქართლისაი“

„მოქცევაი ქართლისაი“ პირველი სამოქალაქო-საისტორიო მატიანეა. იგი IX საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი და ეძღვნება საქართველოს გაქრისტიანებას („მოქცევას“). „მოქცევაი ქართლისაი“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში მოცემულია მოკლე ისტორიული ცნობები უძველესი დროიდან IX საუკუნემდე. მეორე ნაწილში კი წმინდა ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანებაა მოთხრობილი. ნაწარმოების ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია შატბერდში გადაწერილი ხელნაწერის სახით. თხზულების, „მოქცევაი ქართლისაი“, ავტორი უცნობია. იგი, სავარაუდოდ, შატბერდის მონასტერში (კლარჯეთის ისტორიული მხარე, თურქეთის რესპუბლიკა) მოღვაწეობდა.

„ქართლის ცხოვრება“

„ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის შესწავლის ძირითადი წყაროა. ასე ეწოდება წიგნს, რომელიც თავისი შემადგენლობით სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებთა კრებულია. მასში მოთხრობილია ქართველი ერის ისტორია უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამდეგამდე. საუკუნეების განმავლობაში კრებულს ახალ-ახალი თხზულებები ემატებოდა: იგი XI-XII საუკუნეებში 7 სხვადასხვა ნაწარმოებით შეივსო, ხოლო XIII-XIV საუკუნეებში კიდევ რამდენიმე თხზულება დაემატა. ამის შემდეგ, „ქართლის ცხოვრებისთვის“ ახალი ნაწარმოები აღარ მიუმატებიათ.

მიიჩნევა, რომ „ქართლის ცხოვრება“ XI საუკუნეში უნდა დაწერილიყო და მას ლეონტი მროველის სახელს უკავშირებენ. 1957 წელს მეცნიერთა და მოყვარულ მთამსვლელთა ჯგუფმა შიდა ქართლში, სოფელ თრეხვის მახლობლად, კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები შეისწავლა. მათ იქვე აღმოაჩინეს XI საუკუნის 60-იანი წლებით დათარიღებული წარწერიანი სტელა, რომელზეც რუისის ეპისკოპოსი ლეონტი მროველი იხსენიება. ისტორიკოსებმა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი და სტელაზე მოხსენიებული ლეონტი მროველი სამართლიანად გააიგივეს და დაადგინეს, რომ ჩვენი მემატიანე XI საუკუნეში მოღვაწეობდა.

კითხვა

3. რომელ საუკუნეშია შედგენილი „მოქცევაი ქართლისაი“, რა მთავარ მოვლენას ეძღვნება ის და რას მოგვითხრობს პირველ და მეორე ნაწილში?

4. რატომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ თხზულების უცნობი ავტორი შატბერდის მონასტერში მოღვაწეობდა? რომელი მინიშნება გვაძლევს ამ ვარაუდის საფუძველს?

5. რატომ იყო საქართველოს გაქრისტიანება ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მას განსაკუთრებული თხზულება მიუძღვნეს?

ლექსიკონი

მროველი – რუისის ეპისკოპოსის ტიტული, რომლის კათედრა სოფ. რუისში (შიდა ქართლი) მდებარეობდა.

ჟანრი – სახეობა, სისტემა, რომელსაც ერთიანი სტრუქტურული, შინაარსობრივი თუ სტილისტური ნიშნები აქვს.

კრებულში ლეონტი მროველს ეკუთვნის თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ („მეფეთა ცხოვრება“), რომელიც ასახავს ამბებს უძველესი დროიდან V საუკუნემდე. ამ ტექსტებშია მოქცეული დამოუკიდებელი თხზულება – „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“.

V საუკუნის საქართველოს ისტორიის საინტერესო მოვლენებია აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ კიდევ ერთ ნაწარმოებში – „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. მის ავტორად, ტრადიციულად, VIII საუკუნის ისტორიკოსი ჯუანშერ ჯუანშერიანი მიიჩნევა, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ჯუანშერს XI საუკუნის მემატიანედ თვლის.

ახალი ჟანრი ქართულ მწერლობაში

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ქართულ მწერლობაში ახალი ჟანრი გაჩნდა. ბიოგრაფიული სახის თხზულებები, რომლებშიც გადმოცემულია ქართველ წმინდანთა ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაწარმოების მთავარი გმირის გარშემო განვითარებული მოვლენების ფონზე ჩანს ეპოქის სურათი და პოლიტიკური ისტორია. წმინდანების „მარტვილობა“ (წამება) და „ცხოვრება“ უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს, ხშირად ნაწარმოების ავტორი უშუალოდ მომსწრეა იმ ვითარებისა, რომელსაც აღწერს. ამ ჟანრის ყველაზე ძველი ქართული წერილობითი ძეგლი, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, არის „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“. მასში V საუკუნის ამბებია აღწერილი.



წყარო

ქარელის რაიონში, სოფ. თრეხვის მიდამოებში არის ძველი გამოქვაბულები, სადაც მიაკვლიეს ამ წარწერას: „მე, ლეონტი მროველმან დიდი გაჭირვებით ავაშენე ეს ქვაბი ღვთისათვის და გაჭირვების შემთხვევაში რუისისა საყდრის შვილთათვის მაშინ, როდესაც ალფ-არსალან სულტანი ქვეყანას აოხრებდა...“. ქვაჯვარი აღმართულია 1066 წელს.



კითხვა

6. როგორ დაადგინეს ისტორიკოსებმა, რომ ლეონტი მროველი XI საუკუნის ავტორი იყო?

7. თრეხვის წარწერაში ნახსენებია, რომ „ალფ-არსალან სულტანი ქვეყანას აოხრებდა“. რას გვეუბნება ეს ფრაგმენტი XI საუკუნის საქართველოს მდგომარეობაზე?

8. რომელი ახალი ჟანრი გაჩნდა ქართულ მწერლობაში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ? ვის ცხოვრებას აღწერდა ამ ჟანრის ნაწარმოები?

9. ახსენით, რატომ მიიჩნევა „მარტვილობა“ და „ცხოვრება“ განსაკუთრებით ღირებულ პირველწყაროებად ისტორიკოსისთვის. რას აძლევს მკვლევარს ის ფაქტი, რომ ავტორი ხშირად აღწერილი მოვლენების მომსწრე იყო?

დავალება

1. დაასახელეთ წერილობითი წყაროების სახეობები, რომლებითაც ისტორიკოსები საქართველოს წარსულს სწავლობენ და თითოეულს დაურთეთ კონკრეტული მაგალითი.

2. წარმოიდგინეთ, რომ ისტორიკოსი ხართ და თანამედროვე მოვლენის შესახებ წერთ. დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება გახდეს თქვენი ნაშრომი მომავალში ჩვენი ეპოქის შესწავლის წყარო?

3. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

III. ქვის ხანის ეპოქის ადამიანის თავგადასავალი

მესამე თავში თქვენ გაეცნობით საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ქვის ხანის ძეგლებს. დმანისი გახდა მნიშვნელოვანი აღმოჩენების ადგილი, სადაც აფრიკის კონტინენტიდან, აზიის გავლით, ევროპაში წამოსული ჰომინინების უძველესი ნაშთებია მიკვლეული. აქვე განხილული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ზედა პალეოლითის ეპოქის ძეგლები, როდესაც ჩვენს სამშობლოში გონიერი ადამიანის (ჰომო საპიენსის) საქმიანობის კვალი იკვეთება.

ამ თავში შეისწავლით მეზოლითის პერიოდში მოსახლე ადამიანის ისტორიას, ნეოლითის პერიოდში მომხდარ რევოლუციურ ცვლილებებს, როდესაც ადამიანმა დაიწყო დასახლებების შექმნა, მიწათმოქმედება და მეცხოველეობა.

ნეოლითისა და ენეოლითის (სპილენძ-ქვის ხანის) ეპოქებში საფუძველი ჩაეყარა უძველეს კულტურას საქართველოში. ჩვენი სამშობლო გახდა პურის ხორბლისა და ვაზის მოშენების უძველესი კერა დედამიწაზე. არქეოლოგიური მასალების მიხედვით, სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე პირველად მოიყვანეს რამდენიმე ჯიშის ხორბალი და გააშენეს ვაზი. ამის გამო საქართველო მეღვინეობისა და პურის ხორბლის უძველეს კერად ითვლება მსოფლიოში.



2-1,8 მილიონი წლის წინ – აფრიკაში ბინადრობს ჰომოერექტუსი

1,8 მილიონი-**40** ათასი წლის წინ – ქვედა და შუა პალეოლითი საქართველოში

1,8 მილიონი წლის წინ – დმანისში ბინადრობს ევრაზიაში გამოვლენილი ერთ-ერთი უძველესი ჰომინინი, ჰომოგეორგიკუსი

40-12 ათასი – ზედა პალეოლითი საქართველოში



ძვ. წ. **XII-VIII** ათასწლეულები
– მეზოლითი საქართველოში

ძვ. წ. **V** ათასწლეულის დასასრული-
ძვ. წ. **IV** ათასწლეულის დასასრული –
ენეოლითი საქართველოში

ძვ. წ. **VIII** ათასწლეული-ძვ. წ. **V** ათასწლეულის
დასასრული – ნეოლითი საქართველოში

6. უძველესი ადამიანის ნაკვალევი დმანისიდან

კითხვა

1. ტექსტის მიხედვით, ადამიანის რომელი სახეობა გასცდა პირველად აფრიკის ფარგლებს და რატომ იყო მნიშვნელოვანი მისი სხვა კონტინენტებზე გავრცელება?

2. თქვენი აზრით, რა სირთულეების დაძლევა მოუწევდა მას გადაადგილების დროს?

მილიონობით წლის განმავლობაში აფრიკის კონტინენტზე ადამიანის ევოლუციის უწყვეტი პროცესი მიმდინარეობდა. დაახლოებით 2-1.8 მილიონი წლის წინ ჩამოყალიბდა ადამიანის უშუალო წინაპარი – ჰომო ერექტუსი, რომელმაც აფრიკის ფარგლებს გარეთ დაიწყო განსახლება: ჯერ აზიაში, ხოლო შემდეგ – ევროპაში. სწორედ ამ პროცესმა განაპირობა პირველყოფილი ადამიანის დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრება.

ევროპაში, აზიის გავლით, აფრიკიდან წამოსული ჰომო ერექტუსის ერთ-ერთი ყველაზე ძველი კვალი საქართველოში, დმანისის ტერიტორიაზეა ნაპოვნი. ამ აღმოჩენამ მეცნიერებს საშუალება მისცა, ემსჯელათ, თუ როგორ მოხდა ადამიანის მიგრაცია აფრიკიდან ევრაზიის კონტინენტზე.

დმანისის აღმოჩენა, რომელმაც შეცვალა ევროპის ისტორია

1991 წელს ქვემო ქართლში, უძველესი ციხე-ქალაქის, დმანისის ტერიტორიაზე, უდიდესი რამ აღმოაჩინეს – არქეოლოგებმა ჰომინინების ქვედა ყბა იპოვეს. ამ ადგილის ინტენსიური არქეოლოგიური შესწავლა 1960 წლიდან დაიწყო. მეცნიერები შუა საუკუნეების ქალაქს იკვლევდნენ. დასაწყისში არავინ ფიქრობდა, რომ საუკუნეების წინანდელი ნამოსახლარების ქვეშ დიდი საიდუმლო ინახებოდა. 1982 წელს არქეოლოგებმა მარტორქის კბილს მიაკვლიეს. მომდევნო წელს ქვის იარაღიც აღმოჩნდა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ შუა საუკუნეების ქალაქი უძველესი ადამიანის ნამოსახლარზე იყო აგებული.

ლექსიკონი

ევოლუცია – განვითარება, პროგრესი.

ჰომინინი – ადამიანების გადაშენებული უშუალო წინაპარი და ნათესავი სახეობა.

ჰომო ერექტუსი – გამართულად მოსიარულე ადამიანი. ჰომინინთა ერთ-ერთი სახეობა.



ადამიანის ევოლუცია. თანამედროვე რეკონსტრუქცია



ჰომინინების მიგრაცია აფრიკის
კონტინენტიდან ევრაზიაში



მეცნიერის თვალსაზრისი

ვინაა დმანისელი ჰომინინი? მისი წინაპრების ნაშთები მხოლოდ აფრიკაშია ნაპოვნი. საქართველოში ისინი მახლობელი აღმოსავლეთის გავლით მოხვდნენ. მისი შთამომავლები საქართველოდან გავრცელდნენ როგორც ევროპის, ასევე აზიის მიმართულებით. როგორ გამოიყურებოდა იგი? მდედრის სიმაღლე იყო 150 სანტიმეტრი (გამოთვლილია დმანისში ნაპოვნი ტერფის ძვლის მიხედვით). თავის ქალა მორფოლოგიურად ნაკლებად განვითარებულია და ტვინის მოცულობაც ადამიანისას ორჯერ ჩამოუვარდება.

„საქართველო – პირველი ევროპელის სამშობლო“



კითხვა

3. რომელი აღმოჩენებიდან გახდა ნათელი, რომ შუა საუკუნეების ქალაქი უძველეს ნამოსახლარზე იყო აშენებული?

4. რა ფაქტი ხდის 1991 წლის აღმოჩენას განსაკუთრებით საინტერესოს?

5. რომელი მეთოდებით დაადგინეს მეცნიერებმა აღმოჩენილი ქვედა ყბის ფრაგმენტის ასაკი? რით არის მნიშვნელოვანი ეს ფაქტი ევროპის ისტორიისთვის?

დიდი ხნის განმავლობაში დმანისში პალეოლითის ეპოქის ნამარხი ცხოველების ძვლებსა და ქვის იარაღებს პოულობდნენ. 1991 წლის 25 სექტემბერს, ექსპედიციის ერთერთ ბოლო სამუშაო დღეს (სექტემბრის მიწურულს ველზე სამუშაოები უნდა შეწყვეტილიყო და არსებული გათხრები მომავალი წლისათვის უნდა დაკონსერვებულიყო), არქეოლოგებმა ქანში შენიშნეს უჩვეულო მოყვანილობის ქვედა ყბა, რომლის გამოტანისა და შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის ჰომინინს ეკუთვნოდა. ძვლების შემცველი შრეების მეცნიერულმა შესწავლამ აჩვენა, რომ ქვედა ყბა აღმოჩნდა იმ ფენაში, რომლის ასაკია 1,8 მილიონი წელი.



არქეოლოგიური გათხრები დმანისში

ახალი აღმოჩენები დმანისში

1999 წლისთვის ევროპაში უძველესი ადამიანის ნაშთები დმანისში მხოლოდ ქვედა ყბის ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი. 1999 წლის მაისში, ძლიერი წვიმების შედეგად, არქეოლოგების მიერ გაკეთებული ერთ-ერთი ჭრილი ჩამოიშალა და მეცნიერებმა მიწაში უძველესი ადამიანის თავის ქალა შენიშნეს, რამაც კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება, რომ დმანისი ევროპის ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის უადრეს ნასახლარს წარმოადგენდა.



ჰომინინის პირველი ქვედა ყბის აღმოჩენა დმანისში. ქართველი მეცნიერები: მედეა ნიორაძე, დავით ლორთქიფანიძე, ჯუმბერ კოპალიანი, აბესალომ ვეკუა

იმავე წლის 22 ივლისს არქეოლოგებმა კიდევ ერთი, კარგად შემონახული თავის ქალა აღმოაჩინეს. ამ დროისთვის დმანისში უძველესი ადამიანის 5 თავის ქალა, რამდენიმე ქვედა ყბა და ჩონჩხის სხვადასხვა ფრაგმენტია ნაპოვნი. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება დმანისში აღმოჩენილ ამ ჰომინინებს ჰომო გეორგიკუსს (ქართველ ადამიანს) უწოდებს. მისი საშუალო სიმაღლე 1,5 მეტრს აღწევდა, ხოლო ტვინის მოცულობა, დღევანდელი ადამიანის ტვინთან შედარებით, 2-ჯერ პატარა იყო, თუმცა მათ უკვე შეეძლოთ პირველყოფილი ქვის იარაღის დამზადება და გამოყენება.





დმანისელი ჰომინინების საქმიანობა

დმანისელ ადამიანთა შორის, როგორც ჩანს, უკვე არსებობდა სოციალური ურთიერთობების ყველაზე მარტივი ფორმა – პირველყოფილ ადამიანთა ჯოგი. თითოეულ ჯოგში 20-30 წევრი იყო გაერთიანებული. მათ უმთავრეს საქმიანობას ნადირობა და შემგროვებლობა წარმოადგენდა. ჯოგის შიგნით არავითარი ქონებრივი დაყოფა (მდიდრები და ღარიბები) არ არსებობდა. ჯოგის წევრები ერთად ცხოვრობდნენ და საკვებს ინაწილებდნენ.





მეცნიერის თვალსაზრისი

დმანისელი ადამიანი საკვებად ცხოველის მხოლოდ ლეშს კი არ იყენებდა, არამედ, შესაძლოა, უკვე ნადირობდა კიდეც. ზოგიერთი მცენარის თესლის აღმოჩენის საფუძველზე, ასევე, ვარაუდობენ დმანისელი ადამიანის საქმიანობაში საკვების შემგროვებლობას. ადამიანი, რომელმაც დმანისში აღმოჩენილი ქვის იარაღი შექმნა, ევრაზიის (ევროპა და აზია ერთად) ერთ-ერთ უძველეს ჰომინინადაა აღიარებული.

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე




დმანისში აღმოჩენილი უძველესი ჰომინინების თავის ქალები

! დავალება

1. ახსენით დმანისის ნაქალაქარის ჰომინინების აღმოჩენის მნიშვნელობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ისტორიის შესასწავლად?
2. იმსჯელეთ, რას გვეუბნება ეს აღმოჩენა ადამიანის აფრიკიდან სხვა კონტინენტებზე გადასახლების გზების შესახებ?
3. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

7. ქვის ხანა საქართველოში



რუკა 4. ძველი და შუა ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე



ქვის იარაღის დამზადება. თანამედროვე რეკონსტრუქცია

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი ქვის ხანაა. საქართველოში ის იწყება 1.8 მილიონი წლის წინ და იყოფა სამ დამოუკიდებელ პერიოდად: **პალეოლითი** (ძველი ქვის ხანა), **მეზოლითი** (შუა ქვის ხანა), **ნეოლითი** (ახალი ქვის ხანა). თავის მხრივ, ძველი ქვის ხანა იყოფა სამ საფეხურად: ქვედა (ადრინდელი), შუა და ზედა (გვიანდელი) პალეოლითად.

კითხვა

1. გაიხსენეთ საქართველოს გეოგრაფიული რეგიონები და რუკის მიხედვით განსაზღვრეთ, საქართველოს რომელ რეგიონშია ნაპოვნი ქვის ხანის ძეგლები?
2. აღმოჩენილი ძეგლები დააჯგუფეთ ქვის ხანის ეპოქების მიხედვით.

მეცნიერის თვალსაზრისი

პირველყოფილი ადამიანის მეურნეობა მთელი პალეოლითის სიგრძეზე შემგროვებლობითი ხასიათისა იყო. საზრდოდ აგროვებდნენ მწერებს, ლოკოკინებს, მცენარეთა ნაყოფს, თხრიდნენ საკვებად ვარგის ძირკვებს, ნადირობდნენ ცხოველებზე. შეგროვებისა და ნადირობისათვის საჭირო იარაღებს აკეთებდნენ ხისაგან, კაჟის ქვისა და ვულკანური მინისაგან, რომელსაც სხვანაირად, ობსიდიანსაც უწოდებენ. ხის იარაღმა, ცხადია, ჩვენს დრომდე ვერ მოაღწია, კაჟისა და ობსიდიანის ნაკეთობებს კი დიდი რაოდენობით პოულობენ.

პროფესორი გერმანე გობეჯიშვილი

ქვედა და შუა პალეოლითი

საქართველოში პალეოლითის პერიოდის ადამიანის უძველეს საცხოვრისებში აღმოჩენილია სხვადასხვა სახის საჩეხ-საჭრელი იარაღი: სახოკები, დანები, საფხეკები, ხელცულები.

ქვედა პალეოლითის ხანაში ადამიანმა ისწავლა ქვის ბასრწვერიანი იარაღის – შუბის – დამზადება. ჯოხის თავზე მაგრდებოდა წაწვეტებული კაჟის ქვის ან ობსიდიანის ბასრი პირი. შუბის გრძელი ტარი საშუალებას იძლეოდა, ახლო მანძილზე არ მიეშვათ თავდამსხმელი ან ნადირი. შუბის სროლისას კი შესაძლებელი იყო შორ მანძილზე მსხვერპლის ან ცხოველის დაშავება.

დღეს ქვედა პალეოლითის 250-ზე მეტი ძეგლი აღმოჩნდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: აფხაზეთში, იმერეთში (რიონ-ყვირილას აუზი), შიდა ქართლში (ქალაქ ცხინვალის მიდამოები), ქვემო ქართლში, ჯავახეთში, კახეთში (იორ-ალაზნის აუზი).

ზედა პალეოლითი

40 ათასი წლის წინ საქართველოში დაიწყო ზედა პალეოლითის ეპოქა, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 12 ათას წლამდე. ეს პერიოდი მეტად მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. თანამედროვე ადამიანის ტიპი – ჰომო საპიენსი (გონიერი ადამიანი) – სწორედ ზედა პალეოლითში ჩამოყალიბდა. ამასთანავე, პირველყოფილმა ადამიანმა მნიშვნელოვნად განავითარა ქვის დამუშავების ტექნოლოგია. ზედა პალეოლითის ეპოქაში გაჩნდა პრიმიტიული ყუნწგამოყვანილი ისრის წვერები, რომლებიც მშვილდ-ისრის ხმარებაზე უნდა მიანიშნებდეს.

ზედა პალეოლითში ადამიანებმა დაიწყეს დაყოფა ოჯახებად, გვარებად და ერთიან გვაროვნულ თემში გაერთიანდნენ.

ზედა (გვიან) პალეოლითში საქართველოში კლიმატი მკვეთრად გაუარესდა. ძლიერმა სიცივეებმა აიძულა ადამიანი, მიეტოვებინა მაღალმთიანი ადგილები და საცხოვრებლად ზღვისპირა რეგიონი ან შედარებით ზომიერი კლიმატის ადგილები აერჩია. აქ ის პოულობდა საჭირო საკვებს. მის ძირითად საქმიანობას კვლავინდებურად წარმოადგენდა შემგროვებლობა, ნადირობა და თევზაობა. ზედა პალეოლითელი ადამიანი ნანადირევის ტყავისგან ამზადებდა სამოსს, საცხოვრებლებს კი ცხოველთა ქონისგან დამზადებული ჭრაქით ანათებდა.

ზედა პალეოლითის ეპოქაში ჩამოყალიბდა ადამიანის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, რომელთა თავდაპირველ ფორმასაც ტოტემიზმი წარმოადგენდა.



ქვის ხანის იარაღი. თანამედროვე რეკონსტრუქცია



ლექსიკონი

ტოტემიზმი – რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები, რომელიც ეფუძნება ადამიანების მისტიკურ კავშირს რომელიმე ცხოველთან, მცენარესთან, საგანთან ან ბუნების მოვლენებთან, რომელსაც ტოტემი ეწოდება.

კითხვა

3. რა ცვლილება განიცადა ადამიანმა ზედა პალეოლითში? რომელი ახალი იარაღი აღმოჩნდა ამ დროის ნამოსახლარებში?

4. რა გავლენა მოახდინა კლიმატურმა ცვლილებებმა ზედა პალეოლითში ადამიანის ცხოვრებაზე? რომელი რეგიონები აირჩია მან საცხოვრებლად და რატომ?

ლექსიკონი

პეტროგლიფი – ქვაზე, კლდეზე ან გამოქვაბულის კედელზე ამოკვეთილი ან ამოფხეკილი გამოსახულება.

ამ დროს ადამიანი თაყვანს სცემდა კონკრეტულ ცხოველს ან მცენარეს – მასთან აიგივებდა საკუთარ თავს და მიიჩნევდა, რომ მისი არსებობა ამ ტოტემზე იყო დამოკიდებული. თითოეულ გვარს საკუთარი ტოტემი ჰყავდა. თანდათან დაიწყო ტოტემისადმი მიძღვნილი რიტუალების ჩამოყალიბებაც.

მეცნიერის თვალსაზრისი

ქართველთა უძველესი რელიგიური წარმოდგენების შესახებ

ხე ჩვენში, წინაპრების წარმოდგენით, ცოცხალი არსება იყო. მას თავისი საკუთარი სული გააჩნდა... ხისა და სხვა მცენარეების კულტთან ერთად ძველ საქართველოში ფართოდ იყო წარმოდგენილი ცხოველთა თაყვანისცემაც. გარეულ ცხოველთა თაყვანისცემის უადრეს საფეხურად შეიძლება მივიჩნიოთ პერიოდი, როდესაც თაყვანისცემის ობიექტად გამოდის თითქმის ყველა ცხოველი. ეს საფეხური ტოტემისტურად მიიჩნევა. ტოტემური ცხოველებიდან საქართველოში, კერძოდ, სვანეთში, მგელია დადასტურებული. მგლის ტოტემიდან მომდინარეობს სვანური დროშის სახელი – ლემ.

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია

კითხვა

5. რას ნიშნავს ტოტემიზმი? მოიყვანეთ საქართველოში შემორჩენილი მისი ერთი მაგალითი და ახსენით, როგორ აისახა ტოტემური წარმოდგენები სვანურ დროშაზე?

მეზოლითის ეპოქა საქართველოში

ზედა პალეოლითის დასრულების შემდეგ იწყება მეზოლითის ეპოქა, რომელიც დაახლოებით 4 ათასი წელი მიმდინარეობდა. მეზოლითის დროს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადამიანმა მჭიდროდ დასახლება დაიწყო. ამის გამომწვევი მიზეზი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მეზოლითის ეპოქის დასაწყისი დაემთხვა საყოველთაო დათბობას.

ადამიანს, პალეოლითის ეპოქასთან შედარებით, უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ჰქონდა. სწორედ ამიტომაც პირველყოფილმა ადამიანმა დატოვა გამოქვაბული

მეზოლითის ხანის ადამიანი ფორმას აძლევს ქვის იარაღს



და ღია სადგომის შექმნა დაიწყო. საქართველოში მეზოლითური ნასახლარები გვხვდება როგორც მღვიმეებში, ასევე ზეგნებსა და ტერასებზე.



ნეოლითური ხანის ქვის ჩაქუჩი. რეკონსტრუქცია

მშვილდ-ისრის პირველი გამოსახულება საქართველოში

საქართველოში მშვილდ-ისრის პირველი გამოსახულება მეზოლითის ხანიდან გვხვდება. მდინარე პატარა ხრამის ვიწრო ხეობაში, კლდოვან ზედაპირზე ამოკაწრულია სხვადასხვა სახეობის ცხოველები, მითოლოგიური არსებები და მშვილდოსანი მამაკაცები. აქ ნაპოვნ პეტროგლიფებში ადამიანის სამი ფიგურაა გამოსახული და სამივეს გვერდით მშვილდ-ისარია დახატული, რაც ადასტურებს, რომ ამ პერიოდიდან ეს იარაღი ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის განუყრელი ატრიბუტი იყო.



პატარა ხრამის პეტროგლიფები (უძველესი კლდის მხატვრობა საქართველოში). აღმოჩენილია წალკიდან 12 კილომეტრში, მდინარე ქციის ერთ-ერთი შენაკადის ხეობაში, წალკის მუნიციპალიტეტი



? კითხვა

5. რა გავლენა მოახდინა დათბობამ მეზოლითის ხანის ადამიანის ცხოვრებაზე? როგორ შეიცვალა მისი საცხოვრებელი ადგილები პალეოლითთან შედარებით?


6. სად აღმოჩნდა მშვილდ-ისრის უძველესი გამოსახულება საქართველოში? რას გვეუბნება პატარა ხრამის ხეობაში აღმოჩენილი კედლის მხატვრობა მეზოლითის ხანის ადამიანის ცხოვრებაზე?

! დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ მეზოლითის ხანის მონადირე ხართ და პატარა ხრამის ხეობის კლდეზე ცხოველებისა და მშვილდოსნების გამოსახულებებს ხედავთ. დაწერეთ მოკლე ტექსტი: რისთვის შექმნეს ადამიანებმა ეს გამოსახულებები და რას ნიშნავს ისინი თქვენთვის, როგორც მონადირისთვის?

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

8. ნეოლითური რევოლუცია



რუკა 5. ნეოლითისა და ენეოლითის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე



ნეოლითური ხანის საყოფაცხოვრებო ნივთები. თანამედროვე რეკონსტრუქცია

მიწათმოქმედების დასაწყისი

მეზოლითის დასრულების შემდეგ, დაახლოებით ძვ. წ. VIII ათასწლეულში, დაიწყო ნეოლითის ეპოქა, რომელიც ძვ. წ. V ათასწლეულამდე გაგრძელდა. ამ დროიდან იწყებს ადამიანი მიწის დამუშავებასა და საქონლის მოშინაურებას. ბუნებაზე დაკვირვების შემდეგ ერთი რამ აღმოაჩინა ადამიანმა – სხვადასხვა მცენარის თესლს თუ ჩააგდებდა მიწაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ ის ნაყოფს იძლეოდა. იმ შემთხვევაში, თუ ნათესს მოუვლიდა, დაამუშავებდა, სარეველა ბალახისგან გაწმენდდა, მოსავალი ორმაგდებოდა.

ზოგიერთ მცენარეს მორწყვა სჭირდებოდა, ამიტომ საჭირო იყო მდინარის სიახლოვეს მისი დათესვა, რათა არხების მეშვეობით ადვილად მიეყვანათ წყალი ნათესებამდე. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ადამიანი ერთ კონკრეტულ ადგილს – თავის სახნავ-სათეს მიწებს – მიაჯაჭვა. იმავდროულად, ამ პროცესმა ბიძგი მისცა სამეურნეო იარაღების სრულყოფასაც.

მიწათმოქმედების გაჩენამ უბიძგა ადამიანს, აეთვისებინა ახალ-ახალი ტერიტორიები. კაცობრიობის ისტორიაში, ნეოლითის ხანაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამიტომაც ამ პერიოდს ისტორიკოსები „ნეოლითურ რევოლუციას“ უწოდებენ.

მოყვანილი საკვების (მაგალითად, პურეული მცენარეების) დასამუშავებლად იყენებდნენ ფილთაქვას, ხელსაფქვავებსა და ქვის სხვა იარაღებს. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია სხვადასხვა სახის ხილისა თუ ბალახოვანი მცენარეების თესლები.



ქვის იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა როგორც ნადირობისას, ასევე სამეურნეო დანიშნულებით.რეკონსტრუქცია

კითხვა

1. რატომ ეწოდება ნეოლითის ეპოქას „ნეოლითური რევოლუცია“. რა რევოლუციური ცვლილებები მოხდა ადამიანის ცხოვრებაში ამ პერიოდში?
2. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ნეოლითის ხანის ადამიანი. აქამდე თქვენი წინაპრები მუდმივად გადაადგილდებოდნენ საკვების საძებნელად. რატომ აიძულა მიწათმოქმედებამ ადამიანი დასახლებულიყო ერთ ადგილას?

მიწის დამუშავება, მარცვლეულის აღება (მკა) და ხელით დარჩევა ნეოლითის ეპოქაში. ამ პროცესის დროს გამოიყენებოდა ხის ტარზე დამაგრებული ქვის თოხის პირი და მორკალური ხის ნამგალი, რომელსაც ბასრი კაჟის ქვის კბილები ჰქონდა ჩასმული. თანამედროვე რეკონსტრუქცია





ნეოლითური
პერიოდის კავი, რომლითაც მიწას ხნავდნენ

მიწათმოქმედებასათან ერთად უძველესი ადამიანის საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი ეკავა მესაქონლეობას. ამ პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი მოშინაურებულ ცხოველთა ძვლები, ასევე, ქვის დანები, რომლებსაც ცხოველის ხორცის დასამუშავებლად იყენებდნენ.



მეცნიერის თვალსაზრისი

მიწის დასამუშავებელ იარაღთაგან დიდ ინტერესს იწვევს ნეოლითის დროინდელ ნამოსახლარზე აღმოჩენილი კეთილშობილი ირმის რქა 67 სანტიმეტრი სიგრძისა და საგანგებოდ გაპრიალებული. ფიქრობენ, რომ იგი პრიმიტიული სახვნელი იარაღის ფუნქციას ასრულებდა. ეს იყო კავი... ასეთი იარაღით ამუშავებდნენ (ხნავდნენ) მიწის მეტ-ნაკლებად დიდ ფართობს. მას შემდეგ კი, რაც ნიადაგს წინასწარ სხვადასხვა ტიპის ძვლის ან რქის თოხებით გააფხვიერებდნენ... ხორბლისა და ქერის სამკელად იყენებდნენ ძვლისა და ხის ნამგლებს.

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე

კითხვა


3. რა მასალისგან ამზადებდა ნეოლითის ხანის ადამიანი მიწის დასამუშავებელ იარაღს? დაასახელეთ ორი მაგალითი.

4. რატომ ფიქრობენ მეცნიერები, რომ ირმის რქა მარტივი სახვნელი იარაღი იყო?

5. რატომ იყო საჭირო სხვადასხვა იარაღის გამოყენება მიწის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე?

ნეოლითური საცხოვრებელი. შუაში კერა იყო მოწყობილი. სინათლე ჭერში გაკეთებული ღია საკვამურიდან აღწევდა. საცხოვრებლის ერთ კუთხეში მოწყობილი იყო საოჯახო ნივთების კუთხე. თანამედროვე რეკონსტრუქცია სახლის ნახაზის მიხედვით





ნეოლითური საცხოვრებელი სახლის ნახაზი

ენეოლითის ეპოქა

ნეოლითის ეპოქის ბოლოს, დაახლოებით ძვ. წ. V ათასწლეულის დასასრულს, ადამიანმა ისწავლა ლითონის გამოყენება. ქვისა და ხის პარალელურად გაჩნდა სპილენძის იარაღებიც. თავდაპირველად ბუნებაში მოპოვებულ სპილენძის კრისტალებს ადამიანი ისევე ამუშავებდა, როგორც ქვას – გვერდებს ჩამოუთლიდა და სასურველ ფორმას აძლევდა. სამეურნეო საქმიანობაში ქვისა და ლითონის ერთდროულად გამოყენების პერიოდს სპილენძ-ქვის ხანა, ანუ ენეოლითი ეწოდება.

დროთა განმავლობაში ადამიანმა სპილენძის კიდევ ერთი თვისება აღმოაჩინა: მაღალ ტემპერატურაზე იგი დნებოდა და სითხედ იქცეოდა, ხოლო ყალიბში ჩასხმისას, გაცივების შემდეგ, ფორმას ინარჩუნებდა. ამ აღმოჩენამ კაცობრიობის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა – საფუძველი ჩაეყარა მეტალურგიას. უძველესი მეტალურგიის ცენტრები წინა აზიაშია აღმოჩენილი. საქართველოში ლითონის დამუშავება ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისიდან იწყება.



ლექსიკონი

ყალიბი – ღრუ ფორმის საგანი, რომელშიც ასხამენ თხევად მასას (მაგალითად, გამდნარ ლითონს) სასურველი ფორმის მისაცემად.

ცივად ჭედვა – ლითონის დამუშავება გაცხელების გარეშე.

წინა აზია – იგივე დასავლეთ აზია. ამ რეგიონს, ასევე, ეწოდება ახლო აღმოსავლეთი ან მახლობელი აღმოსავლეთი. ის მოიცავს თურქეთის, ირანის, ერაყის, სირიის, ლიბანის, ისრაელის, იორდანიის ტერიტორიებსა და არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებს.



მეცნიერის თვალსაზრისი

ენეოლითი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ დროს ადამიანი იწყებს ლითონის გამოყენებას, ლითონის პირველი ნივთები თვითნაბადი სპილენძისგანაა ნაკეთები ცივად ჭედვის წესით, მაგრამ ლითონის ნივთები ჯერ კიდევ მეტად იშვიათია და ამ პერიოდის მასალა ძირითადად წარმოდგენილია კერამიკით, კაჟისა და ქვის იარაღებით და სხვ.

უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ამიერკავკასიაში გამოვლენილ იქნა მძლავრი ენეოლითური კულტურა... ეს კულტურა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული. საქართველოში ენეოლითური კულტურის ძეგლები აღმოჩენილია კიკეთში, თბილისში, თრიალეთში, ზემო ავჭალაში, ტყვიავში, ურბნისში, დაბლაგომსა და ოჩამჩირეში და სხვა.

არქეოლოგები: ცისანა აბესაძე, რუსუდან ბახტაძე, თამარ დვალი, ოთარ ჯაფარიძე

კითხვა

6. რას ნიშნავს „ენეოლითი“? რატომ ეწოდა ამ ეპოქას სპილენძ-ქვის ხანა?

7. შეადარეთ სპილენძის კრისტალებისა და ქვის დამუშავების ხერხები, რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავ მათ შორის?

8. რომელი მნიშვნელოვანი აღმოჩენით დასრულდა ნეოლითის ეპოქა? ახსენით ამ აღმოჩენის მნიშვნელობა კაცობრიობის შემდგომი განვითარებისთვის.

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ენეოლითის ხანაში ცხოვრობთ და შემთხვევით შეამჩნიეთ, რომ ცეცხლში მოხვედრილი სპილენძი დნება და ფორმას იცვლის. იმსჯელეთ, როგორ შეცვლის ეს აღმოჩენა თქვენი თემის ყოველდღიურ ცხოვრებას – შრომას, იარაღებისა და სამკაულების დამზადებას.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

9. ხორბლისა და ღვინის უძველესი კერები საქართველოში

კითხვა

1. რას გვიჩვენებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი ნეოლითური ნასახლარები იმ ეპოქის კულტურის გავრცელებისა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შესახებ?
2. რას გვეუბნება ნეოლითის ხანის ადამიანის სასოფლო-სამეურნეო ცოდნაზე არუხლოს აღმოჩენები?
3. რას მიანიშნებს ხორბლის ველური და კულტურული ჯიშების ერთად არსებობა?

ნეოლითის ეპოქის მეურნეობა

ნეოლითის ეპოქის ნიმუშებით მდიდარია საქართველოს მთელი ტერიტორია. სამოსახლოებზე გვხვდება სასოფლო-სამეურნეო იარაღები: ირმის ძვლისგან დამზადებული თოხები, ნამგლის ტიპები, საფქვავები და სხვა ტიპის იარაღი. ეს არტეფაქტები აქტიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის დასტურია.

საინტერესო მასალა აღმოჩნდა ქვემო ქართლის ძვ. წ. VI-V ათასწლეულის ნასახლარებში – არუხლოს, შულავერის, იმირის, ხრამის დიდი გორების ნეოლითური პერიოდის ფენებში. მიწათმოქმედებისთვის საჭირო ქვისა და ძვლის იარაღების პარალელურად, აღმოჩნდა ხორბლისა და ქერის მარცვლები. მაგალითად, არუხლოს ტერიტორიაზე (ბოლნისის მუნიციპალიტეტი) იპოვეს ხორბლის 8 სახეობა როგორც ველური, ისე ხანგრძლივი ხალხური სელექციის შედეგად მიღებული კულტურული ჯიშები; მიაკვლიეს გალეწილი მარცვლეულის კვალსაც.

ლექსიკონი

არტეფაქტი – არქეოლოგის მიერ აღმოჩენილი ნივთი, რომელიც ადამიანის მიერ იყო დამზადებული.
სელექცია – მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანა.

ვაზის ზვარი საქართველოში



ხორბლისა და ვაზის უძველესი ნიმუშები

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული ხორბლის 20 სახეობიდან საქართველოში გვხვდება და აღწერილია 15 სახეობა, რომელთაგან 5 ენდემურია და სრულიად უცნობია სხვა ქვეყნებისათვის.

ბოლო დროს არქეოლოგიური გათხრებისას ქვემო ქართლში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, ე.წ. „დანგრეული გორის“ ნასახლარზე, აღმოჩნდა ძვ. წ. VI ათასწლეულის ვაზის რამდენიმე წიპწა. სოფ. შულავერთან, „ხრამის დიდ გორაზე“ კი – ნეოლითური ხანის (ძვ. წ. VI-V ათასწლეულები) თიხის დიდი ზომის საღვინე ჭურჭელი, რომელშიც ვაზის კულტურულ სახეობებს მიაკვლიეს. ახალმა არქეოლოგიურმა მასალამ აჩვენა, რომ ქართული ღვინო მსოფლიოში უძველესია და მის წარმოებას, სულ მცირე, 8 ათასი წლის ისტორია აქვს. საქართველოში ვაზის დაახლოებით 530-ამდე ჯიშია ცნობილი. ეს ერთგვარი საბუთია იმისა, რომ კავკასია და, კერძოდ, საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა. 8-ათასწლიანმა ღვინის დაყენების უწყვეტმა ტრადიციამ მეღვინეობის დიდი ისტორია შექმნა.



უძველესი ქვევრი, რომელშიც აღმოჩნდა ნეოლითის ეპოქის წიპწის (ყურძნის კურკის) ნაშთები. ეროვნული მუზეუმი



ლექსიკონი

ენდემური – მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული ტერიტორიისთვის დამახასიათებელი სახეობა.


კითხვა

4. რომელ რეგიონებში აღმოაჩინეს მსოფლიოში ყველაზე ძველი ვაზის წიპწა და ღვინის ჭურჭელი? რომელი ათასწლეულით თარიღდება ეს აღმოჩენა? რა მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში ხორბლის 20 სახეობიდან საქართველოში 15 გვხვდება, აქედან კი 5 ენდემურია?

5. რატომ ვამბობთ, რომ საქართველოში მეღვინეობის „უწყვეტი ტრადიცია“ არსებობს?

პურის ყანა საქართველოში





სოფელ იმირის მახლობლად არსებული „გადაჭრილი გორის“ არქეოლოგიური მუზეუმი. საცხოვრისის ნაშთი, რომელზეც კარგად ჩანს შესასვლელი (1) და კერა (2). მარნეულის მუნიციპალიტეტი. 2017 წელს აქ აღმოჩენილი ღვინის უძველესი ნაშთები ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალმა „Archaeology“ მსოფლიოს 10 უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას შორის დაასახელა.



მეცნიერის თვალსაზრისი

ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში მიკროსკოპს თეთრხალათიანი ქალბატონი ჩასცქერის. ის მთელი ყურადღებით აკვირდება რამდენიმე მარცვალს. ცოტა ხნით მიკროსკოპს სწყდება და გვესალმება. ეს მორიდებული, სანდომიანი ადამიანი ნანა რუსიშვილი გახლავთ. იგი მოგვითხრობს: „გადაჭრილი გორისა და შულავერის გორის მასალის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ... პურის ხორბლის წარმოშობა დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიასთან და, შედეგად, საქართველო წარმოადგენს პურის ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთ დამოუკიდებელ კერას“.

ამონარიდი ჟურნალ “National Geographic”-იდან



წყარო

UNESCO-მ ქართული ხორბალი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა.

კითხვა

6. რა მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა მკვლევარმა გადაჭრილი გორისა და შულავერის გორის მასალების შესწავლისას?

7. როგორ გესმით ფრაზა „წარმოშობის დამოუკიდებელი კერა“? ახსენით, რატომ არის ის მნიშვნელოვანი მცენარის ისტორიის შესასწავლად?

8. UNESCO-მ „ქართული ხორბლის კულტურა“ შეიტანა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. თქვენი აზრით, რატომ არის ხორბალი და ღვინო ჩვენი ქვეყნისთვის უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ „საკვები და სასმელი“?



წყარო

ძვ. წ. V საუკუნეში ქართულ ტომებში არსებულ ღვინის კულტურაზე მოგვითხრობს ამბების თვითმხილველი ძველი ბერძენი მეომარი და მემატიანე ქსენოფონტი: „ელინების (ბერძნების) მთელმა [ლაშქარმა] ერთად მოიყარა თავი და განლაგდა მრავალრიცხოვან და მშვენიერ სახლებში, რომელიც სავსე იყო სურსათით. იქ ღვინო ისე ბევრი იყო, რომ სილით ამოლესილ ორმოებში ჰქონდათ [შენახული]“.



მეცნიერის თვალსაზრისი

შუაგულ კახეთში არქეოლოგებმა გათხრების დროს მოღუნული ბრინჯაოს დანები იპოვეს. მათ მაინცდამაინც არ გასძნელებიათ პატარა ნამგლისებური იარაღის დანიშნულების გამოცნობა. ამგვარ რკინის დანას უკანასკნელ ხანებამდე ვაზის სასხლავად იყენებდა კახელი მევენახე. ბრინჯაოს იარაღის ასაკი დაახლოებით სამი ათასი წლით განისაზღვრა.

კლდეში ნაკვეთი საწნახლებია მიკვლეული უფლისციხეში. აქაა ანტიკური ხანის შიდაქალაქი. გათხრების დროს არქეოლოგთა ყურადღება მიიქცია კლდეში გამოკვეთილმა რამდენიმე ვეებერთელა აუზმა. თითოეული მათგანი ვიწრო ღარით იქვე უფრო პატარა აუზს უკავშირდება. დიდი აუზი ყურძნის საწნახელია, მცირე კი – „სატკბილე“ – გამოწურული წვენის, ტკბილის დასალექი. საწნახლებს ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუახანებს მიაკუთვნებენ.

მკვლევარი ანდრია ლეკიაშვილი



შუა საუკუნეების საწნახელი იყალთოს მონასტერში. თელავის მუნიციპალიტეტი

კითხვა

9. რა ინფორმაციას გვაწვდის ქსენოფონტი საქართველოში მევენახეობის, ღვინის დაყენებისა და შენახვის შესახებ?

10. ტექსტში მოყვანილ ორ მაგალითზე დაყრდნობით ახსენით, როგორ ადგენენ მეცნიერები უძველესი ნივთებისა და ნაგებობების დანიშნულებას.

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ მოგზაურობთ უფლისციხეში და უცხოელ სტუმრებს უნდა მოუყვეთ ქართული მევენახეობის უძველეს ისტორიაზე. დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც გამოიყენებ გაკვეთილიდან მიღებულ ცოდნას – არქეოლოგიური აღმოჩენების, საწნახლის, სამეურნეო იარაღისა და მევენახეობის შესახებ.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

IV. ქვიდან ლითონამდე

მეოთხე თავში თქვენ შეისწავლით ბრინჯაოს ხანის ეპოქაში განვითარებულ მოვლენებს საქართველოში.

ადრეული ბრინჯაოს ხანა აღმოსავლეთ საქართველოსა და კავკასიის რეგიონის ძირითად ნაწილში მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების პერიოდია. მტკვარ-არაქსის კულტურა თავისი დროის მოწინავე ცივილიზაციების თანადროულია და მასშტაბებით არ ჩამოუვარდება იმდროინდელი მსოფლიოს წამყვან კულტურებს.

აქ მოთხრობილი იქნება შუა ბრინჯაოს ხანის საქართველოს უნიკალური კულტურის შესახებ, რომელიც „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ სახელით არის ცნობილი. ამ პერიოდს უკავშირდება უძველესი ტომობრივი გაერთიანებების წარმოქმნა საქართველოში. თქვენ შეისწავლით ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურებს, ამავე პერიოდის ციკლოპურ ნაგებობებს, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი.

ამ თავში მოცემული იქნება ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ არსებული სხვადასხვა თვალსაზრისი და ყველა ზემოთ განხილული საკითხის შესახებ ცნობილი მეცნიერების მოსაზრებები.



ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული–ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული – ადრე ბრინჯაოს ხანა, მტკვარ-არაქსის კულტურა საქართველოში

ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარი – საერთოქართულს გამოეყო სვანური

ძვ. წ. IV ათასწლეული – პროტოქართველური ერთობის გაჩენა




ძვ. წ. II ათასწლეულის
დასაწყისი – ქართული და
მეგრულ-ჭანური ერთობის დაშლა

ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული-
ძვ. წ. II ათასწლეულის შუა – შუა ბრინჯაოს ხანა,
თრიალეთის დიდი ყორღანების
ბრწყინვალე კულტურა საქართველოში

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა-
ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი –
გვიანი ბრინჯაოს ხანა
საქართველოში

10. ადრე ბრინჯაოს ხანა საქართველოში – მტკვარ-არაქსის კულტურა



რუკა 6. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე



ადრე ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულისპირები.
ასეთ ცულს ტარის დასაგები მილის ფორმისა ჰქონდა, რის გამოც მას „ყუამილიანს“ უწოდებენ. ისინი ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და განმასხვავებელი ელემენტი იყო.
ეროვნული მუზეუმი

ბრინჯაოს აღმოჩენა

ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს საქართველო კულტურული განვითარების ახალ საფეხურზე გადადის. ეს გარდამტეხი მომენტი დაკავშირებულია ბრინჯაოს აღმოჩენასთან. სპილენძი რბილი ლითონია. მისგან დამზადებული იარაღები ადვილად კარგავდა ფორმას, მაგრამ, თუ სპილენძს მის მსგავს სხვა ლითონს შეურევთ და ერთად გამოადნობთ, მისი თვისებები მნიშვნელოვნად უმჯობესდება – იგი გაცილებით მკვრივი და მტკიცე ხდება. სწორედ ამ აღმოჩენამ დაუდო სათავე ბრინჯაოს წარმოებას. ბრინჯაო ბუნებაში თვითნაბადი სახით არ არსებობს, მას ვიღებთ სპილენძთან კალის, დარიშხანის ან ანთიმონის შერევით. ამასთანავე, ბრინჯაოს დამუშავება გაცილებით ადვილი იყო, ის ლღვება 700-900 გრადუსზე, მაშინ, როცა სპილენძის დნობას 1100 გრადუსი სჭირდება.

? კითხვა

1. რა იყო სპილენძის იარაღის მთავარი ნაკლი, რატომ აღარ აკმაყოფილებდა ის ადამიანის საჭიროებებს და როგორ გადაჭრა ეს პრობლემა უძველესმა ადამიანებმა?
2. თქვენი აზრით, როგორ შეცვლიდა ბრინჯაოსგან დამზადებული უფრო მყარი იარაღი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობას?


ბრინჯაოს დამზადება პირველად წინა აზიასა და კავკასიაში ისწავლეს. ბრინჯაოს ხანის დასაწყისში, სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, ორი მდინარის – მტკვრისა და არაქსის – არეალში, ცხოვრებისა და კულტურის სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. ეს ახალი მიმდინარეობა მალე მთელ კავკასიაში გავრცელდა. მეცნიერები ამ პერიოდს „მტკვარ-არაქსის კულტურას“ უწოდებენ, ეს არის იგივე ადრე ბრინჯაოს ხანა საქართველოში.



მეცნიერის თვალსაზრისი

მეტალურგები ამ დროს ჩანს, უკვე საკმაოდ ჭარბ პროდუქციას აწარმოებდნენ. იზრდება ეკონომიკური კავშირები როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის რეგიონებთან. ლითონის იარაღის მეურნეობასა და საერთოდ ყოფაში ფართოდ გამოყენებამ უთუოდ აამაღლა შრომის ნაყოფიერება, ბრინჯაოს საომარმა იარაღმა კი საგრძნობლად გაზარდა მოსახლეობის საბრძოლო პოტენციალი. ამან შეუწყო ხელი ალბათ ამ კულტურის მატარებელი ტომების ფართოდ განფენას. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ხელოსნობის ცალკე დარგად ჩამოყალიბდა მეთუნეობა... ამ კულტურის თიხის ჭურჭელი მკვეთრად ჩამოყალიბებული თავისებურებით ხასიათდება და გავრცელების ფართო ტერიტორიაზე თითქმის ყველგან ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სახეს.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე



სოფელ ურბნისთან აღმოჩენილი ნამოსახლარის სქემა (ა) და მისი სქემატური რეკონსტრუქცია (ბ).



ქვემოთ ამ ნამოსახლარის თანამედროვე რეკონსტრუქცია

მტკვარ-არაქსის ეპოქის არქიტექტურა

არქიტექტურა და სამშენებლო ტექნიკა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურასთან მსგავსებას ამჟღავნებს. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია წრიული და ოთხკუთხა გეგმარების სახლები.

სამშენებლო მასალად, თიხასა და ალიზ-აგურთან ერთად, აქტიურად იყენებდნენ ხესა და დამუშავებულ ქვას.

კითხვა

3. რა შეცვალა ბრინჯაოს იარაღების გამოგონებამ სამეურნეო და სამხედრო საქმეში? ხელოსნობის რომელი დარგები განვითარდა და რატომ იყო ის მნიშვნელოვანი?

კითხვა

4. როგორი დაგეგმარების სახლები იყო დამახასიათებელი მტკვარ-არაქსის კულტურისთვის?

5. ჩამოთვალეთ სამშენებლო მასალები, რომლებსაც მტკვარ-არაქსის კულტურის ხანის ადამიანი იყენებდა. რაზე მიგვანიშნებს მათი მრავალფეროვნება?

6. როგორ ადგილებს ანიჭებდა უპირატესობას მიწათმოქმედი მოსახლეობა და რატომ?



მტკვარ-არაქსის ეპოქის შავპრიალა ჭურჭელი. ეროვნული მუზეუმი


დროთა განმავლობაში, მტკვარ-არაქსის კულტურის შუა პერიოდიდან, წრიული ნაგებობების ნაცვლად, წამყვანი გახდა სწორკუთხა შენობები. ამ ეპოქის კერამიკას ახასიათებდა შავპრიალა ზედაპირი, ხოლო შიგნიდან ნაწარმი წითელი ან მოვარდისფრო იყო.

ადრე ბრინჯაოს ხანაში განვითარდა ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, მათ შორის ოქრომჭედლობა. ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დასახლებები უკვე აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში. მაგალითად, ირანიდან შემოჰქონდათ კალა, აქედან კი გაჰქონდათ სპილენძი, კერამიკული ნაწარმი და სხვა.

მოსახლეობა თანდათან ითვისებდა საქართველოს დაუსახლებელ ტერიტორიას, რის გამოც ადრე ბრინჯაოს ხანაში დასახლებული პუნქტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ხალხი, ძირითადად, ნაყოფიერ ადგილებში სახლდებოდა და აქტიურად მისდევდა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება

ადრე ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიას მხოლოდ არქეოლოგიური მასალით აღვადგენთ. როგორც ითქვა, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე სამხრეთ კავკასია ერთ დიდ კულტურულ არეალს წარმოადგენდა (იხ. რუკა 6 და რუკა 7). „მტკვარ-არაქსის კულტურა“ სამხრეთით



რუკა 7. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება წინა აზიაში

საკმაოდ შორს ვრცელდებოდა და თანამედროვე თურქეთისა და ირანის ტერიტორიებსაც მოიცავდა.

ამ ეპოქაში მტკვრისა და არაქსის მცხოვრებ ადამიანებს ერთნაირი ცხოვრების წესი ჰქონდათ – ისინი ამზადებდნენ ერთნაირ ჭურჭელს და თითქმის იდენტურ საცხოვრებლებს აგებდნენ. ამ პერიოდის დასაწყისში მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო ქონებრივად დაყოფილი, თუმცა ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან უკვე მკვეთრად იჩინა თავი სოციალურმა და ქონებრივმა განსხვავებამ.



მეცნიერის თვალსაზრისი

მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება ბევრად სცილდება მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთს; დასავლეთ საქართველოს გარდა, მან მოიცვა აღმოსავლეთ ანატოლია, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთი ირანი; მისი გავრცელების საზღვარი გასცდა აგრეთვე კავკასიონს და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიას დაუკავშირდა; უფრო მეტიც, გამოირკვა, რომ ჩნდება მსგავსი ან კიდევ ამ კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა ცენტრალურ ანატოლიაში, მის სამხრეთ რაიონებში და ბოლოს ჩრდილო სირიისა და პალესტინის ტერიტორიაზედაც კი... კავკასიის სამხრეთითაც მდ. არაქსის სათავეებთან და მის მოსაზღვრე რაიონებში – აღმოსავლეთ ანატოლიაში – გათხრილია მრავალფენიანი სამოსახლოები, სადაც მოპოვებულ მრავალრიცხოვან შავპრიალა კერამიკასთან ერთად სხვა მასალაც ადასტურებს, რომ ეს ტერიტორია მთლიანად მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ფარგლებში ექცევა.

პროფესორი ტარიელ ჩუბინიშვილი



წყარო



წნორში აღმოჩენილი ოქროს ლომის ქანდაკება ადრე ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობის გამორჩეული ნიმუშია. სურათი მოცემულია ნატურალური ზომით – სიმაღლე 4,1 სმ; სიგრძე 5,1 სმ; წონა 71,24 გრამი. თავისი მცირე მასშტაბის მიუხედავად, ფიგურა ხასიათდება საოცრად დახვეწილი რელიეფური დეტალიზაციით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფაფარი და სახის ნაკვთები – პატარა ოქროს ბურთულები სიმეტრიულადაა განლაგებული ოქროს ფირფიტაზე. დამზადებულია ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. დღეს ის გამოსახულია ქართულ ფულზე. დაცულია ეროვნულ მუზეუმში.

კითხვა

7. რატომ ეწოდა ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურას მტკვარ-არაქსის კულტურა და რომელ თანამედროვე ქვეყნებამდე ვრცელდებოდა?

8. მეცნიერის მოსაზრებაზე დაყრდნობით, ჩამოთვალეთ ის რეგიონები, რომლებიც აითვისეს მტკვარ-არაქსის კულტურის ტომებმა.


9. რა საერთო ნიშნები ჰქონდათ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში მცხოვრებ მოსახლეობას?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ადრე ბრინჯაოს ხანის ხელოსანი. წერილობით გადმოეცით თქვენი ცხოვრების ერთი დღე: რა იარაღით მუშაობდით, რომელი პროდუქტით ვაჭრობდით მეზობელ ტომებთან, როგორ ამუშავებდით მიწას, რა პრობლემებს აწყდებოდით და როგორ ახერხებდით მათ დაძლევას.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

11. შუა ბრინჯაოს ხანა – „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“



საიდან გაჩნდა სახელი – „თრიალეთის კულტურა“

ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს საქართველოში მცხოვრები ტომების ყოფაში დიდი ცვლილებები მოხდა. არქეოლოგიური მასალით ნათელია, რომ ადამიანის კულტურული და სოციალური პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეს მოვლენები ემთხვევა შუა ბრინჯაოს ხანას, რომელსაც, ძირითადად, ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილი მასალით ვსწავლობთ. ერთ-ერთი პირველი ყორღანი აღმოჩნდა თრიალეთში და ამიტომაც, ზოგადად, ამ პერიოდის კულტურას „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურად“ მოვიხსენიებთ.

აკლდამა, ანუ იგივე „დასაკრძალავი სახლი“. ბედენის დიდი ყორღანი. ის წარმოადგენდა მიწაში ამოჭრილ ქვაბულს. გადახურული იყო მორებით. ჰქონდა ხის იატაკი. სამარხში შემონახულ ნივთებთან ერთად, აკლდამაში იყო ოთხთვალა ურემი.



ლექსიკონი

ყორღანული სამარხი (ყორღანი) – მიწისქვეშა ან მიწისზედა უძველესი სამარხი, რომელსაც ზემოდან მიწისა და ქვის დიდი გორაკის სახე აქვს. ძირითადად განკუთვნილი იყო ტომის ბელადებისა და დიდებულების დასაკრძალავად.



ყორღანი და მისკენ მიმავალი სარიტუალო გზა. შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში რამდენიმე ოთხთვალა ურემია აღმოჩენილი, მასზე მიცვალებული იყო დასვენებული. თანამედროვე რეკონსტრუქცია



ქართველი არქეოლოგები ბედენის №10 ყორღანის გათხრისას. 1970 წელი



შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანში აღმოჩენილი ჭურჭელი. ეროვნული მუზეუმი

დიდი ყორღანების მშენებლობა

„თრიალეთის კულტურის“ მთავარი მახასიათებელია მასშტაბური ყორღანების მშენებლობა. ამ ეპოქის არქიტექტურაში, ძირითადად, ქვა გამოიყენება. ყორღანების შიგნით მოქცეული სამარხის კედლები ქვითაა ამოყვანილი. ზოგიერთი მათგანის „დასაკრძალავი დარბაზი“ საკმაოდ დიდია და 180 მ^2 აღწევს. გადახურული იყო ხის კონსტრუქციით.

კითხვა

1. რატომ შეიძლება ჩაითვალოს თრიალეთის დიდი ყორღანები არა მხოლოდ სამარხებად, არამედ იმდროინდელი საზოგადოების განვითარების მაჩვენებლად?
2. რომელი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლამ მისცა მეცნიერებს საფუძველი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში შუა ბრინჯაოს ხანა ცალკე ეტაპად გამოეყოთ?

მეცნიერის თვალსაზრისი

შუა ბრინჯაოს ხანა აღმოსავლეთ საქართველოში პირველად აკადემიკოსმა ბორის კუფტინმა გამოყო თრიალეთის მაღალმთიან ზოლში, წალკის პლატოზე ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილი მასალების საფუძველზე. მან ამ კულტურას თრიალეთის „დიდი ყორღანის ბრწყინვალე კულტურა“ უწოდა. ეს კულტურა მანამდე ამიერკავკასიაში და, საერთოდ, კავკასიაში, სრულიად უცნობი იყო. მართალია, ამ პერიოდში მიცვალებულებს ისევ ყორღანული ტიპის სამარხებში კრძალავდნენ, მაგრამ კულტურის ხასიათში უკვე საგრძნობი განსხვავებაა წინარე ხანასთან შედარებით. მნიშვნელოვნად დაწინაურდა მეთუნეობა და მეტალურგია, განსაკუთრებით კი ოქრომჭედლობა... ხელოსნობის მაღალი დონე ჩანს აგრეთვე კერამიკულ წარმოებაში, ადგილობრივ ტრადიციებზე შექმნილი ამ დროის თიხის ჭურჭელი გამოირჩევა თავისი დახვეწილი ფორმებით, შემკობის ორიგინალური წესით.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე



„ჩაბარუხის განძში“ აღმოჩენილი ბრინჯაოს ირმის ფიგურა ჯაჭვით. ეროვნული მუზეუმი



თრიალეთში აღმოჩენილი ოქროს სამკაული. ეროვნული მუზეუმი

შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოება

შუა ბრინჯაოს ხანაში მოსახლეობა უკვე იყოფოდა ფენებად. ტომს ან ტომთა გაერთიანებას ჰყავდა თავისი ბელადი, რომელიც არა მხოლოდ ქონებით გამოირჩეოდა, არამედ რეალურ ძალაუფლებასაც ფლობდა. შესაბამისად, ამ პერიოდში საქმე გვაქვს საზოგადოების წარჩინებული ფენის ჩამოყალიბებასთან. ამ ეპოქაში ჩვეულებრივი სამარხების გვერდით უკვე ვხვდებით მდიდრულ საფლავებს. ისინი მცირე პოლიტიკური გაერთიანებების „მეფეებს“ უნდა ეკუთვნოდეს. სწორედ მათ დასაკრძალავად იყო განკუთვნილი მდიდრული ყორღანები. ზოგიერთ მათგანთან დღემდე შემორჩენილია სარიტუალო გზა. ყორღანებში ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ნივთები და იარაღია შემონახული. თავად ასეთი სამარხების მშენებლობა დიდ ფინანსებს მოითხოვდა, რაც მხოლოდ მდიდარ ოჯახებს შეეძლოთ.



ბრილის სამარხში (რაჭა) აღმოჩენილი ბრინჯაოს ვერძის თავის ნაკეთობა. ეროვნული მუზეუმი



მეცნიერის თვალსაზრისი

შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები შედგება დიდი ქვაყრილისაგან (ზოგჯერ მიწაცაა შერეული) და გამოირჩევა მეტწილად დიდი ზომის ქვებით აგებული გრანდიოზული „დასაკრძალავი დარბაზებით“, ხის ეტლებზე დაკრძალვის რთული რიტუალითა და უაღრესად მდიდრული სამარხული ინვენტარით. ზოგიერთს აქვს რიყის ქვებით მოკირწყლული მისასვლელი გზები. გაოცებას იწვევს დასაკრძალავი დარბაზების გრანდიოზულობა... მისი ფართობი შეადგენდა 175 მ^2-ს. იატაკზე ეფინა ჭილოფი. გახრწნილ-დამპალი ხის ნაშთები მოწმობს, რომ ქვისკედლებიან დარბაზს ჰქონდა ხის გადახურვა, რომელიც ხისავე ბოძებს ეყრდნობოდა. იქვეა ნაპოვნი ფრაგმენტები ოქროს თხელი ფირფიტებისა, რომელნიც პროფილირებული ხის სამშენებლო ნაწილების მოსართავად თუ გასაკრავად ყოფილა გამოყენებული და თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ როგორ მდიდრულად ყოფილა მორთული ეს ვეებერთელა დარბაზი, რომელიც მხოლოდ ერთი ადამიანის დასაკრძალავად იყო განკუთვნილი.

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე

კითხვა

3. ოთარ ლორთქიფანიძის თვალსაზრისზე დაყრდნობით, აღწერეთ „დასაკრძალავი დარბაზი“, შიდა აგებულება და მორთულობა. იმსჯელეთ, რა აოცებთ მეცნიერებს ყველაზე მეტად შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში?

4. რა ცვლილებები მოხდა შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოებაში წინა პერიოდთან შედარებით? რომელი ახალი სოციალური ფენა გაჩნდა?

5. რას ნიშნავს ცნება „წარჩინებულთა ფენა“? რით გამოირჩეოდა ბელადი დანარჩენი მოსახლეობისგან?

6. რის საფუძველზე ფიქრობენ მეცნიერები, რომ მდიდრული ყორღანები მცირე პოლიტიკური გაერთიანებების მეფეებს ეკუთვნოდათ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.



თრიალეთის ოქროს თასი. ეროვნული მუზეუმი



თრიალეთის ვერცხლის თასი. ეროვნული მუზეუმი

ოქრომჭედლობის განვითარება და შუა ბრინჯაოს ხანის საგანძური

შუა ბრინჯაოს ხანაში ოქრომჭედლურმა ხელოვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ასეთი მდიდრული ინვენტარი არქეოლოგების მიერ მანამდე მიკვლეული არ ყოფილა. ამიტომაც მეცნიერები ფიქრობენ, რომ თრიალეთის კულტურის მოსახლეობა განვითარების მაღალ საფეხურზე იყო ასული. ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარს ეკუთვნის თრიალეთში ნაპოვნი ოქროს თასი, რომელიც ფურცლოვანი ოქროსაგანაა დამზადებული და ფერადი ქვებითაა მორთული. თრიალეთის ოქროს თასი მეტად ნატიფია და შექმნილია რთული ტექნიკით. შუა ბრინჯაოს ხანის ვერცხლის ნაკეთობათაგან გამოირჩევა თრიალეთის ვერცხლის თასი (ძვ. წ. II ათასწლეული). მასზე გამოსახულია საკულტო-სარიტუალო შინაარსის სცენა. ცენტრში ზის მთავარი ღვთაება ან მმართველი. მას ხელში სასმისი უჭირავს. ღვთაებისკენ მიემართება 22 ქურუმის პროცესია. მათაც ხელში სასმისები უჭირავთ. ფიგურებს მოკლე სამოსი აცვიათ, ფეხზე კი წვერაპრეხილი ფეხსაცმელი. მეცნიერთა აზრით, ასეთ ფეხსაცმელს ატარებდნენ იმ პერიოდში მახლობელ აღმოსავლეთში. სახეზე ჩამოფარებული ნიღბები კი მსვლელობის რელიგიურ დანიშნულებაზე მიუთითებს.



ლექსიკონი

მოკირწყლული – ქვით დაგებული გზა (იგივე ქვაფენილი).

ჭილოფი – ჭილობი, ჭილისგან (მცენარე) მოქსოვილი საფენი.

საკულტო – რაც რელიგიურ მსახურებას უკავშირდება. სიტყვა „კულტი“ ლათინურად ნიშნავს თაყვანისცემას.

რიტუალი – გარკვეული მოქმედებების ერთობლიობა, რაც რაიმე ღონისძიების აღსანიშნავად სრულდება, იგივე ცერემონია.

კითხვა

7. რა სახის რიტუალია გამოსახული თრიალეთის ვერცხლის თასზე? რა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა ამ თასს?

8. რა ადასტურებს შუა ბრინჯაოს ხანაში ოქრომჭედლობის განვითარებას?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ შუა ბრინჯაოს ხანაში ცხოვრობთ და ხედავთ, როგორ აშენებს უამრავი ადამიანი უზარმაზარ სამარხს (ყორღანს) მხოლოდ ერთი პიროვნებისთვის. დაწერეთ მოკლე ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: ვინ შეიძლება იყოს ეს პიროვნება და რატომ აშენებენ მისთვის ასეთ სამარხს? რას გვეუბნება ეს საზოგადოებაში ადამიანთა უთანასწორობაზე? შეადარეთ ეს ვითარება მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქას – რა შეიცვალა?

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

12. გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა

კითხვა

1. შეადარეთ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საომარი იარაღი: რა სახეობის იარაღი იყო გავრცელებული თითოეულ რეგიონში?

2. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენას ვაჭრობისთვის?

გვიანი ბრინჯაოს ეპოქა საქართველოში

ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან საქართველოში იწყება გვიანი ბრინჯაოს ხანა. ეს პერიოდი მეტად მნიშვნელოვანია ისტორიაში, ვინაიდან ამ დროს მომხდარმა ცვლილებებმა სრულიად ახალი ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობები წარმოშვა. საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანის ორი მძლავი კულტურული კერა არსებობდა: დასავლეთი (კოლხური) და აღმოსავლეთი საქართველოსი. გვიანი ბრინჯაოს ხანას ემთხვევა პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების გაჩენა.

გვიანი ბრინჯაოს ხანაში, კოლხეთში, საომარი იარაღიდან საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა ბრინჯაოს ცულები (მას „კოლხურ ცულებსაც“ უწოდებენ) და სატევრები. აღმოსავლეთ საქართველოში კი – გრძელი მახვილები და შუბები.

ამ პერიოდს უკავშირდება ხელოსნობის სხვადასხვა დარგის განვითარება. ცალკეული ხელობის ოსტატებად ჩამოყალიბდნენ მეთუნეები, ხისა და ლითონის ოსტატები, მშენებლები და სხვა. განვითარდა ვაჭრობაც, რამაც საფუძველი ჩაუყარა პირველი საქალაქო ტიპის დასახლებებს. ეს ქალაქები საერთაშორისო სავაჭრო გზებზე მდებარეობდა, იმავდროულად, ვაჭარ-ხელოსანთა დასახლებას წარმოადგენდა. თავდაპირველად ფულის ფუნქციას ბრინჯაოს რგოლები ასრულებდა, მოგვიანებით კი ბრუნვაში უცხოური მონეტებიც შემოვიდა.



კოლხური ცული. ცულისპირი დამაგრებულია ხის ტარზე. რეკონსტრუქცია



კოლხური ცულისპირები. იყენებდნენ რელიგიური რიტუალებისას. მასზე გამოსახულია სხვადასხვა ორნამენტი. მკაფიოდ ჩანს ის ადგილი, რომელზეც მაგრდებოდა ხის ტარი. ეროვნული მუზეუმი



საბრძოლო ეტლის მოდელი. აღმოჩენილია გოხების გორაზე დედოფლისწყაროს მახლობლად. ძვ. წ. IX საუკუნის ბრინჯაოს ნაკეთობა. სიღნაღის მუზეუმი

საბრძოლო ეტლები საქართველოში

ცხენის მოშინაურებამ დიდი გავლენა იქონია კაცობრიობის განვითარებაზე. საქართველოში დაცული არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულიდან შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მეცხენეობის ისტორიას. შუა ბრინჯაოს ხანაში ცხენი გამოიყენებოდა სამეურნეო თუ საბრძოლო საქმიანობაში, მაგრამ ამ ეპოქის ყოფის ამსახველი მასალა მცირეა.

გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ჩვენამდე შემონახულია მხედართა ფიგურები. ერთ-ერთი უძველესი ნიმუში აღმოჩენილია თრელის სამაროვანში (თბილისის მიდამოები). ამავე პერიოდის ცხენის აღკაზმულობის ნაწილები იპოვეს დასავლეთ საქართველოში. სამთავროში აღმოჩენილ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების მრავალფიგურიანი კომპოზიციით მორთულ ბრინჯაოს სარტყელზე კი უკვე გამოსახულია შუბის მტყორცნელი მხედარი.

ძვ. წ. II ათასწლეულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის მიჯნაზე საქართველოში უკვე იყენებდნენ საბრძოლო ეტლებს. მინიატიურული ორთვლიანი საბრძოლო ეტლი აღმოჩნდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. ეს არის ბრინჯაოს მოდელი. ამ ტიპის საბრძოლო ეტლები გავრცელებული იყო ძვ. წ. IX-VII საუკუნეებში. უფლისციხის არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეულია ორი ეტლის ფრაგმენტები. ერთ-ერთი მსუბუქი საბრძოლო ეტლია, რომელსაც მეცნიერები „სამეფო ეტლად“ მოიხსენიებენ.

? კითხვა

3. რა მნიშვნელობა ჰქონდა ცხენის მოშინაურებას კაცობრიობის განვითარების თვალსაზრისით? რომელ ძირითად სფეროებში გამოიყენებოდა ცხენი ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში?

4. რომელი არქეოლოგიური ძეგლები მოწმობს მეცხენეობის განვითარებას გვიანი ბრინჯაოს ხანის საქართველოში?

5. შეადარეთ თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი ეტლი და საბრძოლო ეტლის გამოსახულება. იმსჯელეთ, როგორ შეიძლება ერთი და იგივე ტექნოლოგიური გამოგონება გამოყენებულიყო სხვადასხვა საქმიანობისათვის. თანამედროვე ცხოვრებიდან მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები.

მეცნიერის თვალსაზრისი

ცხენმა დიდი როლი შეასრულა საზოგადოების შემდგომ განვითარებაში. უფრო გაცხოველდა ურთიერთობა შორეულ მხარეთა შორის, ფართო ასპარეზი წარმოიშვა კულტურულ მიღწევათა გაცვლა-გაზიარებისათვის, რამაც ხელი შეუწყო საერთო პროგრესსა და ტომთა გაერთიანებას. ცხენის მნიშვნელობა იმდროინდელი ვაჭრობის განვითარებაში უეჭველად თვალსაჩინო იყო, მაგრამ მას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მხედრობაში.

არქეოლოგი, პროფესორი გერმანე გობეჯიშვილი

კითხვა

6. გერმანე გობეჯიშვილის თვალსაზრისზე დაყრდნობით, რა როლი ეკისრებოდა ცხენს საზოგადოების განვითარებაში? როგორ გესმით გამოთქმა – „ცხენმა გააცხოველა ურთიერთობა შორეულ მხარეთა შორის“?

რკინის ეპოქის დასაწყისი

ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებიდან საქართველოში რკინის ათვისება იწყება. რკინის მეტალურგიის გაჩენამ გარდამტეხი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში. საქართველოში, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, უკვე გვხვდება რკინის ნივთები, რაც ადგილობრივი წარმოების ერთ-ერთი მაჩვენებელია. ბრინჯაოსთან შედარებით რკინა-ფოლადი გაცილებით მტკიცე და დრეკადია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამეურნეო თუ სამხედრო იარაღის წარმოებისას. რკინას თავისუფლად შეეძლო ბრინჯაოს იარაღის გაჭრა. რა თქმა უნდა, რკინის მადნები მანამდეც იყო ცნობილი, თუმცა ადამიანმა სწორედ გვიანი ბრინჯაოს ხანაში ისწავლა რკინის მადნის მაღალ ტემპერატურაზე და-



სოფელ მელაანში აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილები. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეები. ეროვნული მუზეუმი

ლექსიკონი

საჩეხ-საკვეთი მახვილები – იარაღის სახეობა, რომელიც განკუთვნილი იყო როგორც ძლიერი დარტყმისთვის (მძიმე მჭრელი პირით), ისე მტრის გასანადგურებლად (მჭრელი და მახვილი გვერდებით).



მუშავება და მისგან ფოლადის მიღება. ამ აღმოჩენას ძველი ბერძნები ხალიბების ტომს მიაწერდნენ. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ხალიბები შეიძლება ქართველური ტომი ყოფილიყო.

სპეციალურ ქურაში მაღალ ტემპერატურაზე ადნობდნენ მადანს, რომელიც რბილდებოდა და ცომისებრ მასად იქცეოდა. შემდეგ რკინის ზოდს იღებდნენ და ჭედდნენ, სხვადასხვა ფორმას აძლევდნენ.



მეცნიერის თვალსაზრისი

რკინა სულ უფრო და უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს ლითონის ინდუსტრიაში. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის შუახანებიდან რკინის ფართო ათვისების ხანა დგება. რკინის წარმოებაზე გადასვლამ საგრძნობლად იმოქმედა საზოგადოების განვითარების ტემპებზე, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკის, კულტურის და, საერთოდ, ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე

კითხვა

7. ოთარ ჯაფარიძის მოსაზრებაზე დაყრდნობით, იმსჯელეთ, რა გავლენა იქონია რკინის წარმოებაზე გადასვლამ საზოგადოების განვითარებაზე?

8. რატომ შეიძლებოდა რკინის დამუშავება კონკრეტული ტომის სახელთან დაკავშირებულიყო? რას მეტყველებს ეს მათი საქმიანობისა და მნიშვნელობის შესახებ?

9. ილუსტრაციაზე ნაჩვენები სამუშაოების მიხედვით იმსჯელეთ, რატომ მოითხოვდა რკინის წარმოება სხვადასხვა უნარის მქონე ადამიანების თანამშრომლობას. როგორ უწყობდა ხელს შრომის ასეთი ორგანიზება საზოგადოების განვითარებას?


დავალება

1. რატომ ითვლება რკინის ათვისება ცივილიზაციის განვითარების უფრო მაღალ საფეხურად?

2. წარმოიდგინეთ, რომ ხართ გვიანი ბრინჯაოს ხანის მჭედელი და ცხოვრობთ ნაყოფიერებისა და ომის ღვთაების ტაძრის მახლობლად. გადმოეცით, რა იარაღს ამზადებთ ტაძრისთვის და როგორ შეიცვალა თქვენი მუშაობა ბრინჯაოდან რკინაზე გადასვლის შემდეგ?

3. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

13. ციკლოპური ციხე-ქალაქები



უძველესი ადამიანის ნამოსახლარი. თანამედროვე რეკონსტრუქცია

ახალი სახის დასახლებების გაჩენა

მას შემდეგ, რაც პირველყოფილმა ადამიანმა გამოქვაბული დატოვა, საცხოვრებლად მდინარისპირა ბორცვები და ნაყოფიერი ადგილები შეარჩია. საქართველოში ასეთ უძველეს დასახლებებს თავდაპირველად თხრილს ავლებდნენ, მოგვიანებით კი ხის გალავნით ამაგრებდნენ. თუმცა, ამგვარი თავდაცვითი ნაგებობები ეფექტური არ აღმოჩნდა და მტერი მათ ადვილად იპყრობდა.

პირველი ქვის გამაგრებული ადგილები საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანაში ჩნდება, მაგრამ მათი მასშტაბები დიდი არ იყო. გვიანი ბრინჯაოს ხანაში ვაჭრობის განვითარებამ, ახალი პოლიტიკური ცენტრების გაჩენამ ციხე-ქალაქების მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი.



მეცნიერის თვალსაზრისი

აბულის ციხე-ქალაქი შედგება ციტადელისა და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დასახლებისაგან, რომლის ვიწრო, ფილაქვით მოგებულ ქუჩებში დღესაც კი შეიძლება გავლა. აღსანიშნავია, რომ ციტადელს დამატებით შემოუყვება მასიური გალავანი, რომელსაც გარეთა მხრიდან მიშენებული აქვს სათავსები, შიდა მხრიდან კი, ზოგ შემთხვევაში, სათავსები თავდაცვით კედელშია გამართული. ციხე-ქალაქი გაშენებულია სამ ჰექტარზე, აქედან ციტადელს უკავია 0.5 ჰექტარზე მეტი ფართობი. კედლის შემორჩენილი სიმაღლე შვიდი მეტრია, სიგანე საძირკველთან ხუთ მეტრს აღწევს, ზევით კი 2.5 მეტრია. ციტადელს ჰქონია სამი შესასვლელი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იყო ეზოში მოხვედრა.

არქეოლოგი დიმიტრი ნარიმანიშვილი

კითხვა

1. რას გვიჩვენებს აბულის ციხე-ქალაქის მასშტაბი და აგების სირთულე იმ ეპოქის საზოგადოების განვითარებასა და საჭიროებებზე?

აბულის ციხე-ქალაქი. ჯავახეთი. დიმიტრი ნარიმანიშვილის ფოტო



თანდათან დაიხვეწა სამშენებლო ტექნოლოგიები. შესაძლებელი გახდა მასიური ქვების დამუშავება. ამ ნაგებობებს მშრალი წყობით აშენებდნენ. მშენებლები დიდ თუ საშუალო ზომის ლოდებს ერთმანეთზე აწყობდნენ და კედელი ქვების სიმძიმით მაგრდებოდა. ასეთ ნაგებობას „მეგალითურს“ უწოდებდნენ. ბერძნულად „მეგა“ – დიდს, ხოლო „ლითო“ – ქვას ნიშნავს. ამ შენობებს მეორე ბერძნული სახელითაც იხსენიებენ – „ციკლოპური“. ძველ საბერძნეთში ფიქრობდნენ, რომ მასიური ქვებით ციხეებს მითოლოგიური ბუმბერაზები – ციკლოპები – აგებდნენ. ასეთივე წარმოდგენა ჰქონდათ ძველ ქართველებსაც, მათაც მიაჩნდათ, რომ ამ უზარმაზარი ლოდებისგან ციხეებს მითიური „გმირები“ ან ლეგენდარული ამირანი აშენებდა. მარტო სამხრეთ საქართველოში (სამცხე-ჯავახეთში) ასეთი 230-ამდე ნაგებობაა შემონახული. ციხეების გალავნის სისქე 2-7 მეტრამდე მერყეობდა.

? კითხვა

2. ძველი ბერძნების აზრით, რომელი მითოლოგიური არსებები აშენებდნენ ციხეებს? რომელი ლეგენდარული გმირი მიიჩნეოდა ასეთ მშენებლად ქართულ ხალხურ წარმოდგენებში?



აბულის ციხე-ქალაქი. ჯავახეთი. თანამედროვე რეკონსტრუქცია



მეგალითური ქალაქები

მეგალითური ნაგებობები სხვადასხვა დანიშნულების იყო. დიდი ციხესიმაგრეები „სამეფო ქალაქებს“ წარმოადგენდა. ისინი რამდენიმე ასეულ მეტრზე იყო გადაჭიმული. მეგალითურ ქალაქებში შემონახულია ძველი გზებისა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაკვალევი. შედარებით პატარა ზომის ციკლოპური სიმაგრეები ძველ სავაჭრო გზებს იცავდა. ციკლოპური წესით აშენებდნენ სამლოცველოებსა და რელიგიური დანიშნულების კომპლექსებსაც. ციკლოპური ქალაქები რეგიონის პოლიტიკურ ცენტრსაც წარმოადგენდა. მასიური კედლების შიგნით ცხოვრება დუღდა. მთავარი ქუჩის გასწვრივ გამართული იყო სხვადასხვა დანიშნულების სათავსები, რომელთა დიდი ნაწილი შეიძლება ყოფილიყო სავაჭრო შენობები. თავად ქუჩა ფილებით იყო მოკირწყლული. ციხე-ქალაქის მფლობელი ცხოვრობდა საგანგებოდ შემოსაზღვრულ ნაწილში, რომელიც „ციტადელს“, ანუ დედაციხეს წარმოადგენდა. მოსახლეობის საცხოვრებელი უბნები ქალაქის ქვედა ნაწილში მდებარეობდა. აქვე იყო ბაზარი, სავაჭრო და სახელოსნო უბნები. თავისი მასშტაბით საქართველოში რამდენიმე ციკლოპური ციხე-ქალაქი გამოირჩევა.

კითხვა

3. ჩამოთვალეთ მეგალითური ნაგებობების სამი ძირითადი დანიშნულება. რომელ მათგანს ერქვა „სამეფო ქალაქი“?

4. რას ნიშნავს „ციტადელი“, რა ფუნქცია ჰქონდა მას? სად ცხოვრობდა ქალაქის მფლობელი და სად – დანარჩენი მოსახლეობა?

5. რა ფუნქცია ჰქონდა მეგალითური ქალაქის მთავარ ქუჩას. რა დანიშნულების ნაგებობები იყო განლაგებული მის გასწვრივ?

ლექსიკონი

ციტადელი – დედაციხე, რომელიც ქალაქის შიგნით ყველაზე გამაგრებული ადგილია. ის ქალაქის ყველაზე ამაღლებულ ადგილზე შენდებოდა.



თრიალეთი. საბეჭდავის „ციკლოპური“ ნამოსახლარი (გიორგი ტატიშვილისა და გოდერძი ნარიმანიშვილის რეკონსტრუქციის მიხედვით შექმნილი თანამედროვე რეკონსტრუქცია)

მათ შორის აბულის ნაქალაქარი (თანამედროვე ახალქალაქის მუნიციპალიტეტი), რომელიც, სხვა ძეგლებთან შედარებით, კარგადაა შემონახული. ასე რომ, მეგალითურ ნაგებობებს, „ციკლოპურ“ ქალაქებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მოსახლეობა უფრო დაცული იყო, ხოლო თავად ციხე-ქალაქები პოლიტიკურ და ეკონომიკურ (ვაჭრობისა და ხელოსნობის) ცენტრებად გადაიქცა.



აფხაზეთში აღმოჩენილი დოლმენი. აგებულია ძვ. წ. II ათასწლეულში. დაცულია თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში

დუღაბის გამოგონება და მეგალითების ეპოქის დასასრული

ციკლოპურ ციხეთა დიდ ნაწილში ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში ცხოვრება შეწყდა. თუმცა ზოგი სიმაგრე ანტიკურ და შუა საუკუნეებშიც იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ ციკლოპური ნაქალაქარები და ციხეები მძლავრი გალავნით იყო შემოსაზღვრული, სამხედრო იარაღის დახვეწამ, ქვის სასროლი მანქანების გამოგონებამ მათი თავდაცვისუნარიანობა შეარყია. ქვის „არტილერია“, ანუ ქვის სასროლი მანქანები, ადვილად ანგრევდა მშრალი წყობით ნაგებ კედლებს. ამასთანავე, ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში საქართველოში აქტიურად დაიწყეს სამშენებლო ლოდების შემაერთებელი კირის დუღაბის გამოყენება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ძვ. წ. III საუკუნეში, საქართველოში, დუღაბით მშენებლობა დაუწყიათ, მაგრამ მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. ახალმა სამშენებლო ტექნოლოგიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ციხე-ქალაქების გალავნის სიმტკიცე. ამიტომაც ჩვენმა წინაპრებმა მშრალი წყობით ციხეების აგებაზე უარი თქვეს. ასეთი სახით საცხოვრებელი ციხე-სახლების მშენებლობა საქართველოს მთის რამდენიმე რეგიონს შემორჩა.

ეს საინტერესოა

დოლმენი მეგალითური (დიდი ქვის) ანუ ციკლოპური ნაგებობაა. იგი შედგება ოთხივე მხრიდან რამდენიმე ვერტიკალურად დადგმული დიდი ქვის ფილისგან. ზემოდან ასევე ქვის სახურავი აქვს დაფარებული. ძვ. წ. III ათასწლეულში, ადრე ბრინჯაოს ხანაში, შედარებით პატარა დოლმენები იგებოდა. მოგვიანებით მათი ზომები გაიზარდა. ძვ. წ. II-I ათასწლეულებში შენდებოდა საშუალო და დიდი ზომის დოლმენებიც.

საქართველოში მიკვლეული დოლმენების უმრავლესობა აფხაზეთის ტერიტორიაზეა გამოვლენილი. დოლმენებში აღმოჩენილია ყუამილიანი ცულები, შუბისა და მახვილის პირები, თიხის ჭურჭელი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

მეცნიერების აზრით, დოლმენებს რელიგიური დატვირთვა და სამარხის ფუნქცია ჰქონდათ.

კითხვა

6. რა მნიშვნელობა ჰქონდა კირის დუღაბის გამოგონებას? რომელ წყაროს ეყრდნობიან მეცნიერები, როცა ამბობენ, რომ ძვ. წ. III საუკუნეში დაიწყეს დუღაბით მშენებლობა საქართველოში?

დავალება

1. რატომ გახდა გიგანტური კედლები დაუცველი მას შემდეგ, რაც ადამიანმა ქვის მსროლელი მანქანები გამოიგონა?
2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

14. ქართველი ერის წარმოშობა, ანუ ეთნოგენეზი



მხედრის ფიგურა.
ლეჩხუმი. ცაგერის მუზეუმი

ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა და აინტერესებს თავისი წარმომავლობა – საიდან მოდის მისი გვარი, სად სახლობდნენ მისი წინაპრები. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. აქ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები.

საერთო ისტორიის, ენის, კულტურის, ტრადიციების, ეკონომიკის, ეროვნული შეგნების მქონე ადამიანები ქმნიან დიდ ერთობას, რომელსაც ერი ჰქვია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებნი ერთიანი ქართველი ერის წარმომადგენლები არიან. ისინი საუბრობენ ერთ ენაზე, აქვთ საერთო კულტურა და ტრადიციები. ათასწლეულების განმავლობაში მათ აერთიანებთ ერთი ისტორია, წარსული.

მეცნიერები ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესს ეთნოგენეზსაც უწოდებენ. ეს სახელი წარმოდგება ძველი ბერძნული სიტყვისგან: „ეთნოს“ – ხალხი და „გენესის“ – წარმომავლობა.

ქართველი ერის წარმოშობის ისტორია რთული პროცესია. მეცნიერები ცდილობენ გამოიკვლიონ, როდის ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიაში იმ ხალხთა ერთობა, რომლებიც საერთოქართულ ენაზე საუბრობდნენ და საერთო კულტურა ჰქონდათ.

კითხვა

1. რას ნიშნავს ცნება „ერი“. რა საერთო ნიშნები ახასიათებს ერს?
2. მოიძიეთ ინფორმაცია თქვენი გვარის წარმოშობის შესახებ, სად ცხოვრობდნენ თქვენი წინაპრები?

დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ეთნოგრაფიული ჯგუფები. ნინო ბრაილაშვილის ნამუშევარი





საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ეთნოგრაფიული ჯგუფები. ნინო ბრაილაშვილის ნამუშევარი

მათ პროტოქართველებად, ანუ წინარექართველებად იხსენიებენ. ისინი უკვე საუბრობდნენ იმ ენაზე, რომელმაც სათავე დაუდო ყველა ქართველურ ენას (ქართულს, მეგრულ-ჭანურს, სვანურს). ადრე ბრინჯაოს ხანაში, ანუ მტკვარ-არაქსის კულტურის დროს, ძვ. წ. IV ათასწლეულში, სამხრეთ კავკასიის ზეგანზე ჩამოყალიბდა საერთოქართული ენის მქონე დიდი ეთნიკური ერთობა. ამ ხალხს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ქართველთა წინაპრები.

? კითხვა

3 როგორ გესმით ცნება „წინარექართველები“ (პროტოქართველები)?

4. რომელ ეპოქასა და რომელ კულტურას უკავშირდება საერთოქართული ენის მქონე ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბება?

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ეთნოგრაფიული ჯგუფები. ნინო ბრაილაშვილის ნამუშევარი



კითხვა


5. რომელი ერთობა გამოეყო პირველად და შემდეგ საერთოქართულ ეთნოსს? სავარაუდოდ, რომელ ათასწლეულში? სად გადასახლდნენ ისინი?

6. რას გეუბნებათ ცხრილი ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ? თქვენი სიტყვებით აღწერეთ ეს პროცესი.

გარკვეული პერიოდის შემდეგ საერთოქართული ეთნიკური ერთობა დაიშალა. თავდაპირველად საერთოქართულ ერთობას გამოეყვნენ სვანები. ისინი ჩრდილო-დასავლეთისაკენ, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადასახლდნენ.

ეს პროცესი ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. მოგვიანებით ორ ნაწილად გაიყო ქართული და მეგრულ/ჭანური ერთობა. ეს მოვლენა ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისშია სავარაუდო.

პირველი ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისას, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, საერთოქართველთა ერთობა უკვე სამ მონათესავე ტომობრივ გაერთიანებად იყო დაყოფილი.





მეცნიერის თვალსაზრისი

უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე უმთავრესად ცხოვრობდნენ დღევანდელი ქართველების უშუალო წინაპრები, რომლებიც არც თვითონ მოსულან ოდესმე სხვა ტერიტორიიდან და არც არავინ განუდევნიათ. ისტორიული საქართველოს ტერიტორია არის ადგილი ქართველების დღევანდელი სახით ჩამოყალიბებისა.

ანთროპოლოგი, პროფესორი ლია ბითაძე



ლექსიკონი

ანთროპოლოგი – მეცნიერი, რომელიც სწავლობს ადამიანის წარმოშობას, განვითარებას, ფიზიკურ მახასიათებლებს

კითხვა

8. ლია ბითაძის თვალსაზრისის მიხედვით, სად და როგორ ჩამოყალიბდა ქართველი ერი დღევანდელი სახით?

კავკასიელ ხალხთა ნათესაობა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით

ძველ საქართველოში საკმაოდ პოპულარული იყო აზრი ქართველებისა და სხვა კავკასიელი ერების ნათესაობის შესახებ. XI საუკუნის ქართველმა მემატიანემ ლეონტი მროველმა ის ასე ჩამოაყალიბა: „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელად თარგამოსი“. ეს მოსაზრება იყო ერთ-ერთი პირველი გამოხატულება ერთიანი კავკასიის იდეისა. ქართველმა მემატიანემ ქართველთა და სხვა კავკასიელი ერების ეთნარქები (ხალხთა მეთაურები) დაუკავშირა ბიბლიურ ნოეს.

აფხაზები

საქართველოს ძირძველ კუთხეში, აფხაზეთში, საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები. ისინი ერთმანეთის კულტურასა და ადათ-წესებს იზიარებდნენ. საქართველოში დაახლოებით 94 ათასი აფხაზი ცხოვრობს. აფხაზების ნაწილი XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის იმპერიამ თურქეთში გადაასახლა.



აფხაზები. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო

ეს საინტერესოა

დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველები – მეგრელები და სვანები – ოდნავ განსხვავებულ ენაზე საუბრობენ. ეს არის ქართველურ ენათა ჯგუფში შემავალი მეგრული და სვანური ენა. ყურს რომ დაუგდებ, შეიძლება გეგონოს, რომ სხვა ენაა, მაგრამ, როდესაც სიტყვებს დაუკვირდები, მიხვდები, რომ ქართულს, მეგრულსა და სვანურს საერთო წარმომავლობა, საერთო ძირი აქვს. წინარექართულ ენაში არსებული სიტყვები საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, მაგრამ მათი ნათესაობა მაინც დარჩა.

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ხართ მკვლევარი და ამზადებთ პატარა მოხსენებას თემაზე: „რა აერთიანებს დღევანდელ ქართველებს ერთ ერად“. დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც გამოიყენებთ გაკვეთილში ჩამოთვლილ ერის ნიშნებს – ენას, ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს და თითოეულზე მოიყვანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

V. უძველესი ქართული სახელმწიფოები

მეხუთე თავში შეისწავლით საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ პირველ სახელმწიფოებს.

უძველესი ქართული გაერთიანებების წარმოქმნაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებმა. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი სხვადასხვა სახელმწიფოს. მოგვიანებით, ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე, ამ ქვეყნების გაერთიანებით შესაძლებელი გახდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა.

თქვენ გაეცნობით საქართველოში მოსახლე ხალხის ურთიერთობას ევროპისა და აზიის ტერიტორიაზე არსებულ ძველ ცივილიზაციებთან. ასევე, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილ კულტურასა და მიღწევებს სამშენებლო მასალისა და ლითონის დამუშავების დარგში. წაიკითხავთ ისტორიული წყაროების ამონარიდებსა და ცნობილი მეცნიერების მოსაზრებებს ზემოთ ხსენებული საკითხების შესახებ.



ძვ. წ. **XIII** საუკუნე – დიაოხის და კოლხას გამოჩენა ასურულ წყაროებში

ძვ. წ. **740**-იანი წლები – ურარტუს მეფე სარდურ **II**-ის ლაშქრობა კოლხას სამეფოს წინააღმდეგ

ძვ. წ. **1112** წელი – ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ **I**-ის ლაშქრობა ნაირის ქვეყნების წინააღმდეგ



ძვ. წ. **VI** საუკუნე – ფაზისის
დაარსება მილეტელი ზღვაოსნების მიერ

ძვ. წ. **VIII-VI** საუკუნეები –
ძველი ბერძნული კოლონიზაცია

ძვ. წ. **VI-IV** საუკუნეები –
აქემენიანთა ირანის ბატონობა

15. კოლხური კულტურა და კოლხას სამეფო



კოლხური ცული. ცულისპირი დამაგრებულია ხის ტარზე. რეკონსტრუქცია

კოლხური კულტურა

გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლეთ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა კოლხურ კულტურას. კოლხური კულტურა მოიცავდა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას, არამედ გავრცელებული იყო უფრო ფართოდ, აღმოსავლეთ საქართველოსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა მხარეებშიც. თავისი მასშტაბით ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი კულტურა, რომელიც კავკასიაში არსებობდა.

კოლხური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო კოლხური ცული. კოლხური ცულის გავრცელების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ კოლხური კულტურის საზღვრები. კოლხური ცული ბრინჯაოს იარაღი იყო. კოლხური კულტურის მოსახლეობა ცულს იყენებდა როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე ბრძოლაში.

კოლხური ცულის დახმარებით ისინი ჭრიდნენ ხეს, თლიდნენ სახლის აშენებისთვის საჭირო ბოძებს, ნავებსა და შრომის იარაღებს. კოლხური ცული გამოიყენებოდა ბრძოლის დროსაც, როგორც მეომრის საბრძოლო იარაღი. მას ჰქონდა ასევე რიტუალური მნიშვნელობაც. რელიგიური ცერემონიების შესრულების დროს ცული გამოიყენებოდა, როგორც საკულტო დანიშნულების იარაღი, რომელიც ნახატებით იყო შემკული. კოლხური კულტურის მქონე ხალხმა მოგვიანებით საფუძველი ჩაუყარა კოლხას სამეფოს.

კითხვა

1. რატომ შეიძლება ჩაითვალოს კოლხური ცული არა მხოლოდ იარაღად, არამედ კოლხური კულტურის გავრცელების მნიშვნელოვან ისტორიულ მტკიცებულებად?
2. კოლხური ცული აღმოჩენილია არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში და შავი ზღვის სხვა სანაპიროებზეც. რა გზებით შეიძლება მოხვედრილიყო კოლხების იარაღი მეზობელ ხალხებთან?



ცხინვალში აღმოჩენილი კოლხური ცულისპირები. ეროვნული მუზეუმი

მეცნიერის თვალსაზრისი


კოლხური ბრინჯაოს კულტურა უაღრესად თავისთავადი და უნიკალური სისტემაა, რომლის სახეს განსაზღვრავს ლითონის მრავალფეროვანი საომარი და, განსაკუთრებით, სამეურნეო იარაღი, უაღრესად სპეციფიკური კერამიკა და ჯარგვალური ტიპის არქიტექტურა. კოლხური კულტურის ცალკეული ელემენტები ჩნდება უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში, ხოლო ამ კულტურის ფორმირების საწყისი ხანა ძვ. წ. XVI-XV საუკუნეებიდან ივარაუდება.

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე

ლექსიკონი

ჯარგვალი – ხის მორებიანი სახლი. მეგრულად „ჯარ“ ხეა, ხოლო „რგვალ“ – მრგვალი. აფხაზურად ხის ძელებით აგებული სახლს „აჯარგვალ-ვნი“ ჰქვია.

ფაზისი – მდინარე რიონის სახელწოდება ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით. ამავე სახელით ბერძნები იხსენიებდნენ მდინარე რიონისა და შავი ზღვის შესართავთან მდებარე ქალაქს, ფაზისს (დღევანდელი ფოთი).



რუკა 8. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი

კითხვა

3. დაასახელეთ, კოლხური კულტურის გავრცელების ძირითადი ცენტრები.

4. რუკაზე დაკვირვებით, იმსჯელეთ დასავლეთ საქართველოს რომელი რეგიონი იყო უფრო განვითარებული.



ურარტული წარწერა. დაცულია პერგამონის მუზეუმში, ბერლინი

კოლხას სამეფო

ასურული წყაროებისა და ბერძნული მითების მიხედვით, ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში კოლხას სამეფო ჩამოყალიბდა. კოლხას სამეფო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტერიტორიას მოიცავდა. მისი გაფართოება ემთხვევა კოლხური ცულების გავრცელების არეალს. ასურული წყაროების მიხედვით, კოლხას სამეფო შავის ზღვის სანაპიროს ტომთა გაერთიანების ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა გახლდათ. ბერძნული მითოლოგიის ცნობით, კოლხთა სამეფოს დამაარსებელი ამავე პერიოდში ლეგენდარული მეფე აიეტი იყო.

კოლხას სამეფოს გაძლიერების შესახებ ცნობები დაცულია ურარტუს მეფეთა წარწერებში. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში კოლხამ თავისი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიები დაიპყრო, რის გამოც ვანის ტბის სანაპიროზე გაძლიერებული ურარტუს სამეფოს მეზობელი გახდა. ვრცელი საზღვარი ორი სამეფოს დაპირისპირების მიზეზად იქცა. კოლხასა და ურარტუს ომი სარდურ II-ის წარწერებშია გადმოცემული.

ურარტუს მეფე სარდურმა კოლხთა მეფე მეშას ჯარი დაამარცხა და დაიპყრო კოლხას სამეფო ქალაქი ილდამუშა. თავისი გამარჯვების აღსანიშნავად, სარდურმა ქალაქ ილდამუშაში რკინის ბეჭდის დამზადება და წარწერის გაკეთება ბრძანა.



წყარო

ურარტუს მეფე სარდურ II-ის ბრძანებით გაკეთებული წარწერა. დაწერილია ძვ. წ. 740-იან წლებში

„სარდური ამბობს: მე გავემართე სალაშქროდ კოლხას (კულხას) წინააღმდეგ, ეს ქვეყანა მე დავიკავე, ქალაქი ილდამუშა, გამაგრებული სამეფო ქალაქი კოლხთა ქვეყნის მეფე მეშასი, ბრძოლაში დავიპყარი. მისი მოსახლეობა დავწვი, მეფისნაცვალი კოლხას ქვეყნისა, რომელიც იქ იყო, მე მოვაკვლევინე. რკინის ბეჭედი გავაკეთებინე. ჩემი გამარჯვების აღსანიშნავი წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუშაში. ციხესიმაგრეები, ქალაქები დავწვი და დავანგრიე, ქვეყანა გავანადგურე, კაცები და ქალები ტყვედ წამოვიყვანე“.

კითხვა

5. სარდურ II-ის ცნობით, ქალაქ ილდამუშას „მეფისნაცვალი“ განაგებდა. რას გვიჩვენებს ეს ფაქტი კოლხას სამეფოს სახელმწიფო მოწყობისა და მმართველობის სისტემის შესახებ?

6. სარდურის წარწერა მის სამხედრო წარმატებებს აღწერს. რატომ უნდა მოვეპყროთ სიფრთხილით ამ ცნობას? წყაროს რომელი ნაწილი შეიძლება შეფასდეს კრიტიკულად და რატომ?

7. თქვენი აზრით, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მეფე სარდურმა გამარჯვების ნიშნად დაამზადებინა არა ოქროს ან ვერცხლის, არამედ რკინის ბეჭედი?

8. წარმოიდგინეთ, რომ იმავე ომის შესახებ წარწერა კოლხთა მეფე მეშას დაეწერა. რომელ მოვლენებზე ისაუბრებდა იგი ვრცლად და რომელ ფაქტებს მიაქცევდა ნაკლებ ყურადღებას? რა იქნებოდა მთავარი განსხვავება სარდურსა და მეშას წარწერებს შორის?

კოლხური მეტალურგია

რკინის ბეჭედი, რომელიც მეფე სარდურმა ქალაქ ილდამუშას აღების შემდეგ ადგილობრივ ხელოსნებს დაამზადებინა, კოლხას სამეფოში მეტალურგიის განვითარებაზე მეტყველებს. საქართველოში რკინის წარმოება კოლხას სამეფოს პერიოდში საკმაოდ განვითარებულია, რასაც არა მხოლოდ ურარტული წარწერა და ბერძნული მითოლოგია, არამედ არქეოლოგიური აღმოჩენებიც ადასტურებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ იქნა რკინის მადანი, რკინის სადნობი ქურები, რკინის იარაღები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ხელსაწყოები. კოლხას სამეფოში ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სპილენძის სიმრავლის შესახებ მოგვითხრობენ ძველი ბერძენი ავტორებიც.

ბერძნული წყაროები, ჰომეროსიდან მოყოლებული, წერენ კოლხთა ქვეყნის სიდიადის შესახებ. ქვეყანას მეფე აიეტი მართავდა, ხოლო დედაქალაქი იყო ქალაქი აია (დღევანდელი ქუთაისი), სადაც, ბერძენთა ცნობით, მეფე აიეტის სასახლე იდგა. კოლხას სამეფო ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სპილენძის საბადოებით მდიდარი ქვეყანა იყო, რასაც ძველი ბერძენი ისტორიკოსები ხშირად აღნიშნავენ.



ბრინჯაოსა და რკინის სატევრები (ძვ. წ. VIII-VII სს.)



რკინის ნამგალი (ძვ. წ. VIII-VII სს.). რკინის მასალა ჟანგისგან არის დაზიანებული.



წყარო

სტრაბონი (ძვ. წ. 64 წ. – ახ. წ. 24 წ.) ბერძნულ წყაროებში კოლხაზე დაცული ცნობების შესახებ

„როგორც ყველანი [ბერძენი მწერლები] ამბობენ, ჯერ კიდევ ჰომეროსის ნაწარმოებების დროიდან, ქალაქ აიას მდებარეობას მიუთითებენ [მდინარე] ფაზისთან, ხოლო აიეტი, სარწმუნოა, რომ კოლხიდაში მეფობდა... ისინი მოგვითხრობენ გრძნეული (ჯადოქარი) მედეას შესახებაც და იმ ქვეყნის სიმდიდრეზეც, რომელიც ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სპილენძისგან შედგება“.

კითხვა

9. სტრაბონის მიხედვით, კოლხეთის სიმდიდრე ოთხი ლითონს უკავშირდება. რომელი მათგანის ათვისება იყო იმდროინდელი საზოგადოების ტექნოლოგიური განვითარების მაჩვენებელი?

10. რატომ უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ბერძნულ სამყაროში კოლხეთის შესახებ ასეთი მითებისა და გადმოცემების გავრცელება?

11. რა დამატებითი წყაროების გამოყენება იქნებოდა საჭირო იმის დასადგენად, რამდენად ზუსტად აღწერს სტრაბონი ძველ კოლხეთს?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ისტორიკოსი და უნდა ახსნათ, როგორ ჩამოყალიბდა კოლხას სამეფო. დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც გამოყოფთ ამ პროცესის მთავარ ფაქტორებს – ბუნებრივ რესურსებს, მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარებას, სავაჭრო კავშირებს, გეოგრაფიულ მდებარეობას და მეზობლებთან ურთიერთობას.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

16. კოლხური სამყარო და არგონავტების მითი



ხარის ფიგურები. ცაიშის განძი (ძვ. წ. VIII-VII საუკუნეები). ეროვნული მუზეუმი



წყარო

აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III საუკუნე) მიწათმოქმედების შესახებ კოლხთა სამეფოში

„[აიეტი ამბობს] არესის ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი სპილენძისჩლიქებიანი ხარი, რომლებიც პირიდან ცეცხლს აფრქვევენ. მათ მე გუთანში ვაბამ და არესის ველზე ოთხ დღიურ მკაცრ, უნაყოფო მიწას სწრაფად ვხნავ... სპილენძისჩლიქებიან ხარებს მე დილით ადრე ვაბამ გუთანში, ხოლო საღამოს შეჭურვილ დევგმირთა მოცელვას ვამთავრებ“.

კითხვა

1. მითში დაცული ინფორმაციის საფუძველზე, რა შეგვიძლია გავიგოთ ძველი კოლხეთის მოსახლეობის ცხოვრების წესისა და საქმიანობის შესახებ?

2. რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიკოსისთვის მითოლოგიური წყაროების გამოყენებისას ფანტასტიკური და ისტორიული ელემენტების ერთმანეთისგან გარჩევა?

დასავლეთქართულ კოლხასა და ბერძნულ სამყაროს ურთიერთობის შესახებ ყველაზე კარგად მოგვითხრობს ძველი ბერძნული ლეგენდა, რომელსაც არგონავტების მითი ჰქვია. „არგონავტი“ ეწოდება გემის, „არგოს“, ეკიპაჟის წევრს, ხოლო „არგონავტების“ სახელით ამ ხომალდის მთელ შემადგენლობას მოიხსენიებენ. არგონავტების მითი გვიამბობს ბერძენთა ლაშქრობაზე მეფე აიეტის კოლხთა სამეფოში.

არგონავტების შესახებ მრავალი ძველი ბერძენი მწერალი თუ ისტორიკოსი წერს. ძველ დროში ამ მითის სინამდვილეში ბევრი დარწმუნებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თქმულება არგონავტების შესახებ ლეგენდად არის მიჩნეული, ხოლო მასში აღწერილი ამბების დიდი ნაწილი ფანტაზიის ნაყოფია, ამ მითის მნიშვნელობა მაინც დიდია. მითში მოთხრობილი არაერთი ამბავი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ სახელმწიფოდ წარმოედგინათ ბერძნებს კოლხთა სამეფო. არგონავტების მითში საინტერესოდ არის აღწერილი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების წესი და ეკონომიკური მდგომარეობა.

არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, რომ კოლხური კულტურის ხალხი მიწათმოქმედი იყო. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია დიდი რაოდენობით საყოფაცხოვრებო იარაღი. არგონავტების მითის მიხედვითაც, კოლხთა სამეფოში მიწის დამუშავება ყოფილა განვითარებული. ამ მიზნით კოლხები ხარებს იყენებდნენ. მითის ცნობით, მეფე აიეტი სპილენძისჩლიქებიანი და ცეცხლისმფრქვეველი ხარების საშუალებით ოთხი დღის სახნავ მიწას ერთ დღეში ამუშავებდა.


იაზონის მიერ მიწის დამუშავება ხარების საშუალებით. რეკონსტრუქცია



ჰომეროსი და აპოლონიოს როდოსელი არგონავტების შესახებ

არგონავტების მითი მრავალ ბერძენ ავტორს აქვს მოთხრობილი, მაგრამ მათ შორის ყველაზე ძველია ჰომეროსის თხზულება. ლეგენდარული ბერძენი პოეტი დაახლოებით ძვ. წ. VIII საუკუნეში ცხოვრობდა. ჰომეროსი, ძველი ბერძენი მწერლების ცნობით, ავტორია ორი დიდებული თხზულებისა, ესენია „ილიადა“ და „ოდისეა“. არგონავტთა ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს „ოდისეა“. მასში მოკლედაა აღწერილი მათი შორეული მოგზაურობა მეფე აიეტის ქვეყანაში. ძველი ბერძნების აზრით, არგონავტებმა ქალღმერთ ჰერას დახმარებით შეძლეს კოლხეთში ჩასვლა.

კოლხთა სამეფოში არგონავტების მოგზაურობა სხვა ძველი ბერძენი მწერლების ტექსტებშიცაა აღწერილი. მათ შორის ყველაზე ვრცელი და დეტალურია ძვ. წ. III საუკუნის ავტორის, აპოლონიოს როდოსელის, თხზულება „არგონავტიკა“. ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს არგონავტების კოლხთა სამეფოში ლაშქრობაზე, რაც მასზე უფრო ადრე მოღვაწე ავტორებს შედარებით მოკლედ აქვთ გადმოცემული.



ჰომეროსი. ძვ. წ. VIII საუკუნე



აპოლონიოს როდოსელი.
ძვ. წ. III საუკუნე

არგონავტთა მითი

ძველი ბერძნული მითების მიხედვით, არგონავტთა მეთაური ცნობილი მეომარი და მეფის ძე, იაზონი, ყოფილა. იაზონი გადაწყვეტს თავის მამას დაუბრუნოს ქალაქ იოლკოსის სამეფო ტახტი, რომელიც უკანონოდ ჰქონდა მიტაცებული ბიძამისს, მეფე პელიასს. მეფე პელიასი თანხმობას განაცხადებს სამეფო ტახტი დაუთმოს თავის ძმას, თუ იაზონი კოლხთა სამეფოში გაემგზავრება და ოქროს საწმისს ჩამოიტანს. იაზონი თანხმდება.

იაზონი შეკრებს არაერთ ბერძენ გმირს, ხომალდ „არგოზე“ აიყვანს და კოლხთა სამეფოში გაემგზავრება. მრავალი საფრთხით სავსე მოგზაურობისას იაზონი ეგეოსის ზღვიდან დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს გაივლის, შავ ზღვაში შევა. არგონავტები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე კოლხთა სამეფოს მიაღწევენ, რომელსაც მეფე აიეტი მართავდა.

კოლხთა მეფეს იაზონი ოქროს საწმისს მოსთხოვს. იგი თანხმობას მიიღებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იაზონი სპილენძისჩლიქებიანი და ცეცხლისმფრქვეველი ხარების მეშვეობით ოთხი დღის დასამუშავებელ მიწას ერთ დღეში მოხნავს, დრაკონის კბილებს დათესავს, იქიდან ამოსულ დევგმირებს კი დახოცავს. იაზონი დავალებას მეფე აიეტის გრძნეული ქალიშვილის, მედეას, დახმარებით შეასრულებს.

? კითხვა

3. ჰომეროსსა და აპოლონიოს როდოსელს რამდენი საუკუნე აშორებთ ერთმანეთისგან? რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიკოსისთვის წყაროს შექმნის დროის ცოდნა?

4. კოლხეთის ისტორიის მკვლევარი რომ ყოფილიყავით, როგორ გამოიყენებდით ჰომეროსისა და აპოლონიოს როდოსელის ცნობებს კოლხეთის შესახებ უფრო სრულყოფილი სურათის შესაქმნელად? რატომაა მნიშვნელოვანი კოლხეთის ისტორიის შესწავლისას ამ ცნობების ერთად განხილვა?



მედეა აძინებს გველეშაპს, ხოლო იაზონი იპარავს ოქროს საწმისს. აპულიური (იტალია) ჭურჭელზე შესრულებული მხატვრობა. ძვ. წ. IV საუკუნე

ბერძენი გმირი მალე მიხვდება, რომ მეფე აიეტი არ აპირებდა ოქროს საწმისის დათმობას. იაზონი ისევ მედეას დახმარებით მოიპარავს ოქროს საწმისს, მედეას წაიყვანს და თავისი ხომალდით სამშობლოში დაბრუნდება.

არგონავტების მითი კოლხებისა და ბერძნების რეალურ ურთიერთობებს ასახავს. მასში კარგად ჩანს, რა მარშრუტს იყენებდნენ ბერძნები შავი ზღვის სანაპიროს გავლით დასავლეთ საქართველოში მოსახვედრად. კოლხურ და ბერძნულ კულტურათა შორის არსებული მჭიდრო კავშირის გარდა, მითი გვიჩვენებს, თუ რა სიმდიდრესა და ბუნებრივ რესურსებს ეძებდნენ ბერძნები დასავლეთ საქართველოში.

1984 წელს ინგლისელმა მოგზაურმა ტიმ სევერინმა ააგო გემი „არგო“ და „ახალ არგონავტებთან“ ერთად სცადა საბერძნეთიდან იმავე გზის გავლა. ამით მან შეძლო დაემტკიცებინა, რომ მითში აღწერილი არგონავტების ლაშქრობა რეალურად შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

? კითხვა

5. რუკის გამოყენებით განსაზღვრეთ არგონავტების მოგზაურობის მარშრუტი და დაადგინეთ, რომელ ქალაქ-სახელმწიფოებს გაივლიდნენ?



მეცნიერის თვალსაზრისი

არგონავტების შესახებ ბერძნული თქმულება (მისი როგორც ადრინდელი, ასევე გვიანდელი ვერსიები) მეტად მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს, კერძოდ, მისი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს, კოლხეთისა [ანუ კოლხას სამეფოსა] და ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის ისტორიისათვის.

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე



რუკა 9. არგონავტების ლაშქრობა ძველ კოლხეთში

ოქროს მოპოვების წესი საქართველოში

ოქროს საწმისი, არგონავტების მითის მიხედვით, ფრთიანი ცხვრის ოქროს ტყავი იყო. ის სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლოდ მიიჩნეოდა. მართალია, ოქროს საწმისზე ამბები ლეგენდაა, მაგრამ ცხვრის ტყავის მეშვეობით ოქროს მოპოვების წესი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და დღემდეა შემორჩენილი საქართველოში.

სვანეთში, რომელიც კოლხური სამყაროს ნაწილი იყო, ცხვრის ტყავით მთის ოქროს საუკუნეების განმავლობაში მოიპოვებდნენ. თვითნაბადი ოქროს მოპოვების ტრადიციული მეთოდი კი ამგვარია: ხის ვარცლზე დააფენენ მამალი ცხვრის ტყავს (საწმისს), ისე, რომ ბეწვეული ზემოთ მოექცეს, შემდეგ მას მოათავსებენ მდინარის კალაპოტიდან ხელოვნურად გამოყვანილ გუბეში, სადაც წყალი ოქროს შემცველ ქვიშასა და ხრეშს მოიტანს. მთის ოქროს ნაფოტები და ქვიშა ცხვრის ტყავის სქელ ბეწვში ილექება. შემდეგ ცხვრის ტყავს წყლიდან ამოიღებენ, გააშრობენ, ტყავს ბერტყავენ და ასუფთავებენ, რათა ოქროს ნაწილაკები გამოარჩიონ.

ზუსტად ამგვარი მეთოდით მოიპოვებდნენ კოლხები მთის ოქროს, რომელიც გამორჩეული იყო თავისი თვისებებით და მაღალი ხარისხიც ჰქონდა. ოქროს მოპოვების ეს წესი ბერძენ ავტორებსაც აქვთ აღწერილი და ოქროს საწმისის ლეგენდაც ამას უკავშირდება.



ოქროს მოპოვების ტრადიციული მეთოდი ძველ სვანეთში. ხის ვარცლზე დაფენილია მამალი ცხვრის (ვერძის) ტყავი. რეკონსტრუქცია



წყარო

ოქროს მოპოვების წესის შესახებ საქართველოში

„ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს (მდინარიდან)... (კოლხები) აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარცლებითა (ხის ჭურჭელი) და ბეწვიანი ტყავებით; აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე (მამალ ცხვარზე)“.

სტრაბონი
(ძვ. წ. 64 წ. – ახ. წ. 24 წ.)

„კავკასიონიდან მრავალ მდინარეს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მოსახლეობა მდინარეში სქელმატყლიან ცხვრის ტყავებს დებს და აგროვებენ ქვიშას, რომელიც [ამ ტყავზე] რჩება, ალბათ, ამგვარი იყო აიეტის ოქროს საწმისიც“.

აპიანე (95-165 წწ.)

კითხვა

6. რატომაა მნიშვნელოვანი, რომ ერთი ფაქტის შესახებ რამდენიმე ისტორიული წყარო შევადაროთ?

7. როგორ გვეხმარება სტრაბონისა და აპიანეს ცნობების შედარება კოლხეთში ოქროს მოპოვების წესის უკეთ გაგებაში?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ისტორიკოსი. დაწერეთ 3-4 წინადადებისგან შემდგარი ტექსტი, რომელშიც ახსნი, რატომ იზიდავდა ბერძნებს კოლხეთი. ტექსტში გამოიყენეთ და ერთმანეთთან დააკავშირეთ სამი მთავარი ფაქტორი: კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობა, განვითარებული მიწათმოქმედება და მეტალურგია (ოქროსა და სპილენძის მოპოვება). ახსენით, როგორ შეიძლება ამ ფაქტორებს გავლენა მოეხდინა არგონავტების შესახებ მითის ჩამოყალიბებაზე.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

17. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები



ტიგლათფილესერ I-ის წარწერა. დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში

დიაოხი

დასავლეთ საქართველოში წარმოქმნილი კოლხური კულტურის გარდა, გვიან ბრინჯაოს ხანაში სახელმწიფოები ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოშიც. სამხრეთქართულ გაერთიანებათა შორის ერთ-ერთი უძველესია დიაოხის სამეფო, რომელიც ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე მდებარეობდა. ასურული წარწერების მიხედვით, ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში გაძლიერდა დაიაენი, რომელიც ურარტულ წყაროებში იხსენიება როგორც დიაოხის სამეფო. ამ ქვეყანას ძველი ბერძნები ტაოხის სახელწოდებით იცნობდნენ. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის მიხედვით, მისი სახელია ტაო.

ამგვარად, სხვადასხვა ხალხი ტაოს განსხვავებული სახელით მოიხსენიებდა, რაც იმით აიხსნება, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ და ამ ქვეყნის სახელსაც განსხვავებულად წარმოთქვამდნენ. ყველაზე ხშირად ამ სამეფოს სახელს ვხვდებით ურარტულ წარწერებში და სწორედ ამიტომ მეცნიერები მას დიაოხის სამეფოს უწოდებენ.

კითხვა

1. რატომ შეიძლება ჰქონოდა ერთსა და იმავე ქვეყანას სხვადასხვა ხალხში განსხვავებული სახელწოდება? რას გვიჩვენებს დიაოხის, ტაოხისა და დაიაენის მაგალითი ძველი სამყაროს ხალხებს შორის ურთიერთობების შესახებ?
2. რომელ თანამედროვე ქვეყანას იცნობთ, რომელსაც ქართულ ენაში ერთი სახელით მოვიხსენიებთ, ხოლო სხვა ენებში განსხვავებული სახელწოდება აქვს?



რუკა 10. საქართველო და გარე სამყარო ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე

ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I გვიამბობს თავისი ლაშქრობის შესახებ ნაირის რეგიონში ძვ. წ. 1112 წელს. 23 ქვეყანა გაერთიანდა ასურეთის სამეფოს წინააღმდეგ. ისინი, დიაოხის სამეფოს მეთაურობით, ასურეთის ძლევამოსილ მეფეს შეებრძოლნენ, მაგრამ დამარცხდნენ. დიაოხის მეფე სიენი, რომელიც ასურულ წარწერაში დაიაენის ქვეყნის მეფედ იხსენიება, ტყვედ ჩავარდა და იძულებული გახდა, ტიგლათფილესერს დამორჩილებოდა.



ლექსიკონი

ნაირის ქვეყნები – ასურეთის ჩრდილოეთით (სომხეთის მთიანეთში, ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში) მცხოვრები დანაწევრებული ტომებისა და პატარა სამეფოების დიდი გაერთიანება.



წყარო

მეფე ტიგლათფილესერ I-ის ასურული წარწერა ძვ. წ. 1112 წელს ნაირის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ:

„მე, ვინც სამყაროს ოთხივე მხარეზე სამართლიანად ვბატონობ, რომელსაც არა მყავს მძლეველი ომში და ტოლი ბრძოლაში, გავემართე შორეული ქვეყნებისკენ. დავამარცხე დაიაენის (დიაოხის) მეფე და ნაირის ქვეყნების 23 მეფე. ისინი შევიპყარი, შვილები მძევლებად გამოვართვი, 1200 ცხენი და 2000 სული მსხვილფეხა პირუტყვი ხარკად დავადე და თავიანთ ქვეყანაში გავუშვი. სიენი, მეფე დაიაენის ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, ჩემს ღმერთს, დატყვევებული და შებოჭილი, ჩემს ქალაქ ასურში წავიყვანე და იქ შევიწყალე და გავუშვი მორჩილების პირობით. ნაირის ყველა ქვეყანას დავეუფლე, ხოლო მათი ყველა მეფე ჩემ წინაშე დავამხე“.



მეცნიერის თვალსაზრისი

დაიაენის განსაკუთრებული მდგომარეობა ნაირის ქვეყნებში კარგად ჩანს ამ წარწერიდან: ასურეთის მეფე ნაირის მეფეთა შორის მხოლოდ დაიაენის მეფეს ასახელებს; მხოლოდ იგი მიჰყავს ასურეთში, მაშინ, როდესაც სხვა „მეფეებს“ ადგილზევე ათავისუფლებს და უშვებს თავ-თავიანთ ქვეყნებში. ამ განსაკუთრებული ყურადღების მიზეზი ალბათ ისაა, რომ დაიაენი (დიაოხი) ყველაზე ძლიერი იყო ნაირის მეფეთა შორის და მათ კოალიციას ედგა სათავეში.

აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი

კითხვა

3. ტიგლათფილესერ I-ის წარწერის მიხედვით, რა მოთხოვნები წაუყენა ასურეთის მეფემ დამარცხებულ ნაირის ქვეყნებს? რატომ მიჰყავდა დამარცხებული მეფეების შვილები მძევლებად და რა მიზანს ემსახურებოდა ეს?

4. რას გვეუბნება ტიგლათფილესერ I-ის შესახებ წყაროში მოყვანილი სიტყვები? რატომ წარმოაჩენდა მეფე საკუთარ თავს ასე ძლიერად?

5. წარწერაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამარცხებულ დიაოხის მეფეს. რას შეიძლება მიუთითებდეს ეს დიაოხის სამეფოს შესახებ?

6. რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიკოსისთვის დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ შექმნილი წყაროს სხვა წყაროებთან შედარება? რა საფრთხე შეიძლება შეიქმნას, თუ ისტორიულ მოვლენას მხოლოდ გამარჯვებულის პოზიციიდან შევისწავლით?

7. წარმოიდგინეთ, რომ დიაოხის მეფეს საკუთარი წარწერა დაეტოვებინა ამ ომის შესახებ. როგორ ფიქრობთ, რომელ მოვლენებსა და ფაქტებზე გაამახვილებდა ის ყურადღებას? რით შეიძლება განსხვავდებოდეს მისი მონათხრობი ასურეთის მეფის წარწერისგან?



ურარტული ბრინჯაოს კაპარჭი (ისრების ქარქაში). მხედრებისა და საბრძოლო ეტლების გამოსახულები. ერმიტაჟის მუზეუმი, სანქტ-პეტერბურგი



ლექსიკონი

ასური – ღვთაება, რომლის მიხედვით სახელი ეწოდა ასურეთის სამეფოსა და მის დედაქალაქს – ასურს.

ექსპანსია – გავლენის გაფართოება; შემოსევა.

ბალანსი – წონასწორობა.

ბიძერი – ქართული ტომის ბერძნული სახელი. ბიძერები ცხოვრობდნენ დღევანდელ აჭარასა და სამცხეში.

ივრის ზეგანი – მოიცავს კახეთის სამხრეთ ტერიტორიას. იქ მდებარეობს შიქარის ვაკე.

სპერი – ისტორიული კუთხე დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკაში. სპერის სახელიდან მომდინარეობს ქართლის ბერძნული სახელწოდება – „იბერია“.

ურარტუ და ქართული ქვეყნები

დიაოხის სამეფო იძულებული იყო, გარკვეული პერიოდი ხარკი გადაეხადა რეგიონში ყველაზე ძლიერი ასურეთის მეფის სასარგებლოდ. თუმცა, მას შემდეგ, რაც ასურეთის სამეფო დასუსტდა და ვერ ახერხებდა ჩრდილოეთით თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას, დიაოხი გათავისუფლდა. მოგვიანებით დიაოხის სამეფოს კიდევ ერთი საშიში სახელმწიფო, ურარტუს სამეფო, გაუმეზობლდა. ამგვარად, დიაოხი ორი დიდი ქვეყნის, ასურეთისა და ურარტუს, მეზობელი გახდა. დიაოხის მეფე ასია (ძვ. წ. IX საუკუნის შუა წლები) იძულებული იყო, ხელახლა გაძლიერებულ ასურეთის სამეფოს დამორჩილებოდა და მისი ბრძანებით ურარტუს წინააღმდეგ ებრძოლა.

ურარტუს სამეფო ვანის ტბის სანაპიროზე ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ის დიდ წინააღმდეგობას უწევდა ასურეთის მეფეთა ექსპანსიას. ასურეთის ჩრდილოეთით წინსვლის შეჩერება სწორედ ურარტუს მეფეთა დამსახურება იყო. მაგრამ ასეთ დროს, როდესაც რეგიონში ძალთა ბალანსი დაირღვა, აქტიური დაპყრობითი ომები ამჯერად ურარტუს სამეფომ დაიწყო. ურარტუს მეფეებმა დიაოხის სამეფო ქალაქები დაიპყრეს და დიაოხიც დაიმორჩილეს. ამგვარად, ასურეთისა და ურარტუს წინააღმდეგ ომებში დამარცხებული და დასუსტებული დიაოხი მალე განადგურდა. მისი ტერიტორია ურარტუმ, კოლხამ და სხვა ქვეყნებმა გაინაწილეს.

სამხრეთ საქართველოს მიწებზე, ურარტული წყაროების მიხედვით, არსებობდა სხვა ქვეყნებიც, რომელთა დაპყრობასაც ურარტუს სამეფო აქტიურად ცდილობდა. ურარტუს მეფეები ხშირად ლაშქრობდნენ ვანის ტბის ჩრდილოეთით, დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის მხარეში, სადაც ამარცხებდნენ ზაბახასა და ვიძერუხის სამეფოებს.

ურარტული სიტყვა „ზაბახა“ უკავშირდება ჯავახს და ჯავახეთს. ვიძერუხის სამეფოში კი იგულისხმება ბიძერების ქვეყანა, ცენტრით – ოძრხე. ეს მხარე დღევანდელი აჭარისა და სამცხის ტერიტორიაა. ძველი ქალაქი ოძრხე დღეს ცნობილია როგორც აბასთუმანი.

დიდნაურის ნაქალაქარი

სამხრეთ საქართველოს მსგავსად, სახელმწიფო ჩამოყალიბდა გვიანი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ საქართველოშიც. განსხვავებით სამხრეთქართული ქვეყნებისა, აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ დღემდე მოღწეული ასურული და ურარტული წყაროები არაფერს მოგვითხრობს. ამ პერიოდის ქართლისა და კახეთის ისტორიას არქეოლოგიური მასალის დახმარებით ვეცნობით.

2014 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს ივრის ზეგანზე (კახეთში) აღმოჩნდა უძველესი ნაქალაქარი, რომელსაც დიდნაური ეწოდა. დიდნაური გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ქალაქი იყო. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ქალაქის გალავნის სიგრძე კილომეტრ-ნახევარი ყოფილა, გალავნის სიმაღლე – 5 მეტრი, ხოლო სიგანე – 7 მეტრი. ქალაქის ცენტრში, ყველაზე ამაღლებულ ბორცვზე, 400 მეტრის სიგრძისა და 400 მეტრის სიგანის ციტადელი იყო აშენებული. ამგვარად, ქალაქის ცენტრის სრული ფართობი 16 ჰექტარი გამოდის. ქალაქს ჰქონდა თავდაცვითი თხრილიც.

შირაქის ვაკეზე კიდევ რამდენიმე დასახლება არის გამოვლენილი, რაც გვიჩვენებს, რომ კახეთის მხარის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი განვითარებული, მდიდარი და წყალუხვი ადგილი იყო. დიდნაურის ნაქალაქარი მიწისძვრამ დაანგრია, ხოლო შირაქის ვაკეზე კლიმატური ცვლილებებისა და მდინარეების დაშრობის გამო მოსახლეობის უმრავლესობა სხვაგან გადავიდა.

სასპერები

ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში, ურარტუს სამეფოს განადგურების შემდეგ, გაძლიერდა სასპერთა გაერთიანება. ჰეროდოტეს ცნობით, სპარსეთის ყურიდან შავ ზღვამდე ოთხი ხალხი ცხოვრობდა: სპარსელები, მიდიელები, სასპერები და კოლხები. სასპერთა გაერთიანება ვრცელ ტერიტორიას აკონტროლებდა. სამხრეთით, მდინარე ჭოროხის სათავეში წარმოქმნილი ეს ქვეყანა, ჭოროხის აუზის გარდა, ჩრდილოეთით მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს დიდი კავკასიონის წყალგამყოფ ქედამდე. სასპერთა გაერთიანების სახელი შემოგვინახა სპერის ისტორიულმა პროვინციამ, რომელიც დღეს ისპირის სახელითაა ცნობილი თურქეთში. ამავე საუკუნის ბოლოს სასპერთა გაერთიანება დაიპყრო აქემენიანთა ირანის იმპერიამ, რომელიც მაშინ მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანა იყო.



დიდნაურის ნაქალაქარი. გათხრებს ხელმძღვანელობდა არქეოლოგი კიაზო (კონსტანტინე) ფიცხელაური

? კითხვა

8. დიაოხისა და კოლხას შესახებ ასურული და ურარტული წერილობითი ცნობებია შემორჩენილი, დიდნაურის შესახებ კი მხოლოდ არქეოლოგიური მასალით ვმსჯელობთ. რით შეიძლება აიხსნას ეს განსხვავება? რას გვეუბნება ის თითოეული მათგანის ურთიერთობაზე მეზობელ სახელმწიფოებთან?

9. ჰეროდოტე სასპერთა გაერთიანებას სპარსეთისა და მიდიის, თავისი დროის უძლიერესი სახელმწიფოების გვერდით ასახელებს. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან სასპერთა პოლიტიკური ძლიერების შესახებ?

! დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ისტორიკოსი ხართ და უცხოელ კოლეგას უყვებით, როგორ გაჩნდა პირველი სახელმწიფოები ძველ საქართველოში. თქვენს მოთხრობაში უპასუხეთ ორ კითხვას: ა) რა დაეხმარა ძველ ქართულ გაერთიანებებს ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში? ბ) რით განსხვავდებოდა ეს გაერთიანებები ჩვეულებრივი ტომებისგან? მოიყვანეთ მაგალითები.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

18. აქემენიანთა ირანი, ძველი ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო



ლექსიკონი

ნავიგაცია – ნაოსნობა, ზღვაოსნობა, გემის მიმოსვლა.

კოლონია – დასახლება, ახალშენი. კოლონიზაცია კი ეწოდება ახალშენების დაარსების პროცესს.

მილეტი – ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო მცირე აზიაში.

ამფორა – დოქის ფორმის ვიწროყელიანი ორყურა ჭურჭელი, რომელსაც სხვადასხვა პროდუქტის გადასატანად იყენებდნენ.

ნელსაცხებელი – სხეულზე წასასმელი კოსმეტიკური საშუალება.

სელი – მცენარე სელისებრთა ოჯახიდან. მისგან ამზადებენ სელის ტილოს, ასევე ხდიან ზეთს.



კოლხური თეთრი (ვერცხლი). პირველი ქართული მონეტა. ეროვნული მუზეუმი



მილეტური მონეტა (ვერცხლი)

კოლხეთის სამეფო

ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოს საქართველოში დიდი ცვლილებები მიმდინარეობდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში კიმერიელთა ტომი შემოიჭრა. მათ უკავშირდება კოლხას სამეფოს განადგურება ძვ. წ. 720-იან წლებში. კიმერიელთა ლაშქრობას მალე მოჰყვა ჩრდილოეთის სტეპში მოსახლე მომთაბარე სკვითების შემოსევა. კიმერიელებმა და სკვითებმა დიდი დარტყმა მიაყენეს საქართველოს ბარში მცხოვრებ მიწათმოქმედ მოსახლეობას. მათ შეავიწროეს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის დიდი იმპერიებიც.

კოლხთა სამეფოს აღდგენა მხოლოდ ძვ. წ. VII საუკუნეში მოხერხდა, როდესაც მთის რეგიონებში მოსახლე ხალხმა მომთაბარეთა მიერ განადგურებული ბარი შეავსო და საფუძველი ჩაუყარა ეგრისის სამეფოს. ამ სახელმწიფოს ბერძნული სახელწოდების გავლენით კოლხეთს უწოდებენ.

კოლხეთი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს აერთიანებდა. თავიდან მისი ცენტრი აია (ქუთაისი) იყო, მოგვიანებით კი ციხეგოჯი (ნოქალაქევი) გახდა. კოლხეთს, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველოს მოსახლეობას, მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ბერძნული და ირანული სამყაროს ხალხებთან. ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებსა და აქემენიანთა ირანის იმპერიას თავისი განვითარებით იმდროინდელ მსოფლიოში მოწინავე ადგილი ეკავათ.

ძველი ბერძნული კოლონიზაცია საქართველოში

ბერძნული სამყაროს მოსახლეობა, რომელიც ეგეოსის ზღვის სანაპიროსა და კუნძულებზე ცხოვრობდა, კომუნიკაციისთვის, უმეტესად, საზღვაო მიმოსვლას იყენებდა.

ძვ. წ. VIII საუკუნეში, ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს, მილეტის, თაოსნობით, შავ ზღვაზე აქტიური ნავიგაცია დაიწყო. მილეტელი ზღვაოსნები მალე დამკვიდრდნენ ამავე ზღვის სანაპიროზე და იქ კოლონიების დაარსება დაიწყეს. პირველი ახალშენი იყო სინოპი, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს კონცხზე გაშენდა. მოგვიანებით კი საფუძველი ჩაეყარა ტრაპეზუნტს (დღევანდელი ტრაპიზონი).

მილეტელი ზღვაოსნები კოლხეთის სამეფოს სანაპირო ზოლში ადრევე გამოჩნდნენ. მათ იქ რამდენიმე ახალშენი შექმნეს, მათ შორისაა: დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე) და ფაზისი (ფოთი). ძველი ბერძნული ახალშენების, ანუ კოლონიების, დაარსების მიზანი ბერძნებსა და კოლხებს



რუკა 11. ბერძნული კოლონიზაცია შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VIII-VI საუკუნეები

შორის აქტიური სავაჭრო ურთიერთობის დამყარება იყო. კოლხეთის სამეფოც ხელს უწყობდა ბერძნების შემოსვლას თანამედროვე დასავლეთ საქართველოს სანაპირო ტერიტორიაზე.

ბერძენი ვაჭრების დახმარებით კოლხთა სამეფოში შემოჰქონდათ ბერძნული ჭურჭელი, მათ შორის, ამფორები, რომლებსაც დიდი რაოდენობით პროდუქტის (ღვინო, მარცვლეული, ზეთუნის ზეთი და ა. შ.) გადასატანად იყენებდნენ; შემოდიოდა სხვადასხვა სახის ნელსაცხებელი, სამკაულები და ღვინო. ბერძნული ნაწარმის პარალელურად, საბერძნეთშიც გადიოდა ადგილობრივი კოლხური პროდუქცია, მათ შორის, გემთმშენებლობისა და ავეჯის დამზადებისთვის საჭირო ხე-ტყე, რკინა, სელი და სხვა მცენარეული პროდუქტები. საბერძნეთში გაჰყავდათ კოლხი მონებიც, ისინი განსაკუთრებით ძვირად ფასობდნენ ძველ სამყაროში, სადაც მონობა გავრცელებული პრაქტიკა იყო. მონებს უმთავრესად მძიმე სამუშაოსთვის იყენებდნენ – ფიზიკური შრომა, საყოფაცხოვრებო საქმე, ხელოსნობა და ა. შ.

კოლხთა სამეფოსა და ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის აქტიური სავაჭრო და ეკონომიკური კავშირის დამადასტურებელია კოლხური თეთრი. ეს არის კოლხთა სამეფოში მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომელიც ბერძნული მონეტების გავლენით შეიქმნა.

კითხვა

1. რა საქონელი შემოჰქონდათ საბერძნეთიდან კოლხეთში და რა გაჰქონდათ კოლხეთიდან საბერძნეთში?
2. რატომ აარსებდნენ ბერძნები კოლონიებს მშობლიური ქვეყნიდან შავი ზღვის სანაპიროზე? რა სარგებელი ჰქონდათ ბერძნებთან ურთიერთობით კოლხებს?
3. რას გვეუბნება კოლხეთის სამეფოს განვითარებაზე კოლხური თეთრის არსებობა? რატომ გაჩნდა იგი სწორედ ბერძნებთან აქტიური ვაჭრობის ხანაში?

ლექსიკონი

აქემენიანთა დინასტია – ირანის (ანუ სპარსეთის) მმართველი დინასტია ძვ.წ. VI-IV საუკუნებში. მას მართავდა მეფე, სპარსულად – შაჰი.

წყარო

ჰეროდოტე (ძვ. წ. V საუკუნე) კოლხებისა და ირანის მეფის (შაჰის) ურთიერთობის შესახებ

„კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და, ასევე, მათმა მეზობლებმაც, ვიდრე კავკასის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსეთის, ანუ ირანის, მმართველობა). ამათ საჩუქრად [ადრეულ დროში] დაიწესეს და ეს გრძელდება ჩვენს დრომდე, რომ ყოველ მეხუთე წელს გადაიხადონ 100 ვაჟი და 100 გოგო... ესაა საჩუქრები, რომელსაც ღებულობს [ირანის] მეფე, ხარკს გარდა“.

აქემენიანთა ირანი და საქართველო

ძვ. წ. VI საუკუნეში მიდიის იმპერია აქემენიანთა ირანმა ჩაანაცვლა. კიროს დიდმა მსოფლიოში ყველაზე დიდ სახელმწიფოს – აქემენიანთა ირანს – ჩაუყარა საფუძველი. კიროსის მიზანი სამყაროში ირანის ბატონობა იყო. თუმცა, ძველი ახლო აღმოსავლეთის სხვა იმპერიებისგან განსხვავებით, აქემენიანთა ირანი დაპყრობილი ხალხების იძულებით გადასახლებას არ მიმართავდა. ირანელები დამორჩილებული ხალხის სარწმუნოებასა და კულტურას არ ეხებოდნენ.

აქემენიანთა ირანმა ქართული ტომებით დასახლებული მიწებიც დაიმორჩილა. რამდენიმე მათგანი ირანულ ადმინისტრაციულ ერთეულებში გაერთიანდა. ადმინისტრაციულ ერთეულს ეწოდებოდა სატრაპია, რომელსაც სატრაპი მართავდა. აქემენიანთა ირანი მრავალ სატრაპიად იყო დაყოფილი. ქართული ტომები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებულ სატრაპიებში გაერთიანდნენ.

სატრაპებმა ქართლისა და კახეთის ტერიტორია დაიმორჩილეს. არქეოლოგების მიერ ამის დამადასტურებელი ირანელ მოხელეთა სასახლეებია აღმოჩენილი. როგორც ჩანს, აქემენიანთა მმართველობის პერიოდში, სასახლეებისა და ტაძრების მშენებლობის პარალელურად, იქ აქტიურად გაჰყავდათ სარწყავი არხები, რაც ხელს უწყობდა მიწათმოქმედების განვითარებას. ასევე შენდებოდა თავდაცვითი ნაგებობები, რათა აქემენიანთა ირანის სამფლობელოს ჩრდილოეთი საზღვრები სკვითებისა და სხვა მომთაბარე ტომების შემოსევებისგან დაეცვათ.

ირანის შიშით, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანა იყო და მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა, კოლხთა სამეფო იძულებული გახდა, ხარკი გადაეხადა. ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ 100 გოგო და 100 ბიჭი იგზავნებოდა ირანში, როგორც „საჩუქარი“. ეს იძულებითი ქმედება იყო, რათა ქვეყანას აქემენიანთა მხრიდან მოსალოდნელი რისხვა აეცილებინა. იმავდროულად, მიწათმოქმედი ქართული ტომები მომთაბარე სკვითებს ებრძოდნენ. სკვითების მიზანი



თავსაბურავი. ვანი, კოლხეთი (ძვ. IV საუკუნის დასასრული). ეროვნული მუზეუმი

კითხვა

4. რატომ გახდა კოლხეთის სამეფო იძულებული აქემენიანთა ირანისთვის ხარკი გადაეხადა? რას გვიჩვენებს ეს კოლხეთისა და ირანის ძალთა თანაფარდობის შესახებ?

5. როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს ჰეროდოტე სიტყვა „საჩუქარს“ თავის თხრობაში? ვისი თვალთახედვიდან ჰყვება ჰეროდოტე ამბავს?

6. აქემენიანთა ირანის მაგალითზე ახსენი, როგორ მოქმედებდა დიდი იმპერია დაპყრობილ ხალხებზე. რა გზებით ამყარებდა ის ძალაუფლებას და როგორ ცდილობდა საკუთარი ინტერესების დაცვას?

იყო სახნავ-სათესი მიწების საძოვრებად გადაქცევა, რაც მიწათმოქმედ მოსახლეობას შიმშილის საფრთხეს უქმნიდა. სკვითებს, მათი დამორჩილების მიზნით, აქემენიანთა ირანიც ებრძოდა, განსაკუთრებით კი, შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში. ამით აქემენიანთა და კოლხთა ინტერესი ერთმანეთს დაემთხვა.

კოლხების მსგავსად, გაძლიერებული ირანელების შიშით, ირანის მეფეების სასარგებლოდ, ხარკის გადახდა იკისრეს იმ ქართულმა ტომებმაც, რომლებიც უშუალოდ აქემენიანთა იმპერიის სატრაპიებში არ შედიოდნენ. სატრაპიებში გაერთიანებული ხალხის გადასახადი უფრო მძიმე იყო.



სამაჯური. ვანი, კოლხეთი (ძვ. წ. III საუკუნე). ეროვნული მუზეუმი



ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ყელსაბამები. ვანი, კოლხეთი (ძვ. წ. III საუკუნე). ეროვნული მუზეუმი

! დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ისტორიკოსი ხართ და იკვლევთ საკითხს: რატომ იყო კოლხეთი ერთდროულად ბერძნების სავაჭრო პარტნიორიც და ირანის მოხარკეც? დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც ამ კითხვას უპასუხებთ. მსჯელობისას გაითვალისწინეთ კავკასიაში ირანის გავლენის გაძლიერება, კოლხეთის მდებარეობა და ბუნებრივი სიმდიდრე.
2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

აქემენიანთა ირანის მეომრები



19. მშენებლობა ძველ საქართველოში



ანტიკური ორსვეტიანი ტაძარი. სარკინე. აღდგენილია გ. ლეჟავას რეკონსტრუქციის მიხედვით

კითხვა

1. რატომ გაჩნდა ძველ საქართველოში ბევრი ქალაქი მდინარე მტკვრის სანაპიროზე?

ალიზი და ქვა

ძველ საქართველოში დასახლება, ძირითადად, გორაზე იყო შეფენილი. მოგვიანებით, როდესაც საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოებრიობას, გაჩნდა დიდი დასახლება, ანუ ქალაქი. ძველად ქალაქები, როგორც წესი, მდინარის ნაპირებზე შენდებოდა. მდინარისპირეთი ის ადგილი იყო, სადაც სატრანსპორტო გზები გადიოდა. მათი არსებობა კი აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ქალაქში აქტიური მიმოსვლის, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებისათვის. განსაკუთრებით ბევრი ქალაქი იყო მდინარე მტკვრის ნაპირებზე, მათ შორის: წუნდა, ურბნისი, უფლისციხე, სარკინე, მცხეთა და სხვა. მოგვიანებით საზღვაო ვაჭრობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო ახალი ქალაქების დაარსებას შავი ზღვის სანაპიროზეც.

ქალაქი ძველ დროში მჭიდროდ დასახლებული ადგილი იყო. საქართველოში გვხვდება როგორც კლდეში ნაკვეთი ქალაქები (მაგალითად, უფლისციხე), ასევე სხვა სახის ბუნებრივი რელიეფით დაცული დასახლებებიც. მშენებლობის პროცესში მოსახლეობა ადგილობრივ რესურსს იყენებდა.

საქართველოში ფართოდ გავრცელებული სამშენებლო მასალა იყო ალიზი. ხელით მოზელილ თიხას აგურის ფორმის მისაცემად სპეციალურ ყალიბებში ათავსებდნენ,



უფლისციხე. გორის მუნიციპალიტეტი. კლდეში ნაკვეთი უძველესი ციხე-ქალაქი. იქ დღესაც ნახავთ ანტიკურ თეატრს, აფთიაქებს, მზის ტაძარს, დედოფლის დარბაზს, წარმართულ სამსხვერპლოებს, საიდუმლო გვირაბებს, ანტიკური წყალმომარაგების სისტემასა და სხვა ღირსშესანიშნაობებს.

რის შემდეგაც გამოსაშრობად მზეზე ტოვებდნენ. სწორედ მზის სხივების ზემოქმედებით იღებდა თიხის აგური საჭირო სიმტკიცეს. ამგვარი მეთოდით დამზადებულ, მზეზე გამომშრალ თიხის აგურს ალიზი ეწოდება.

ალიზის გარდა, სამშენებლო მასალის სახით გამოიყენებოდა: ხე, მიწა, ქვა, ქვიშაქვა, კირქვა, ტუფი და ა.შ. რკინის მასალის ათვისების შემდეგ აქტიურად დაიწყო გათლილი ქვის გამოყენებაც. რკინის იარაღის დახმარებით მოიპოვებდნენ შედარებით რთულად დასამუშავებელ ქვას და მას სასურველ ფორმას აძლევდნენ. ბუნებრივი რესურსის მოპოვება ქვის, სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღითაც ხდებოდა.

ქვა ძველ საქართველოში მთავარი სამშენებლო მასალა იყო. საცხოვრებელი სახლები, მოკირწყლული გზები, ხიდები, სავაჭრო ადგილები, ციხესიმაგრეები, ტაძრები თუ სასახლეები, ძირითადად, ქვის მასალისგან იგებოდა. სამხრეთ საქართველოში მაღალი შენობები სიმტკიცისთვის დიდი ლოდებით აგებულ საძირკველზე იდგა. მძიმე ლოდებისგან აგებული კედლის შუაგული პატარა ნატეხი ქვებით იყო ამოვსებული. ამგვარად, შენობის ფუნდამენტი დიდი ქვის მასალით იყო დაცული, ხოლო ზედნაშენი შედარებით პატარა ქვებით იყო შევსებული. დასავლეთ საქართველოში ძალიან პოპულარული სამშენებლო მასალა იყო ხე. ხისგან ნაგები სახლები ნესტიანი ჰავის პირობებში ზამთარში სითბოს ინარჩუნებდა, ხოლო ზაფხულში – სიგრილეს.

კითხვა

2. რატომ ითვლება ქალაქების წარმოშობა სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ნიშნად?

3. რისგან და როგორ ამზადებდნენ ალიზს? რატომ იყო იგი ხელსაყრელი სამშენებლო მასალა ძველი დროის ადამიანისთვის?

4. რა შეცვალა მშენებლობაში რკინის იარაღის გამოყენებამ? რას ვერ შეძლებდნენ ადამიანები რკინის იარაღის გაჩენამდე?



შავციხის კედლის თანამედროვე მდგომარეობა. კედლის შუაში, გამაგრების მიზნით, ჩაყრილი პატარა ნატეხი ქვები დღემდე შესამჩნევია.



შავციხე, მდებარეობს ჩრდილის ტბასთან, საქართველოს სამხრეთ საზღვართან ახლოს. თურქეთის რესპუბლიკა. ციხის გეგმის მიხედვით გაკეთებული თანამედროვე რეკონსტრუქცია

კოლხური სახლი

ლექსიკონი

ფუნდამენტი – შენობის საფუძველი, საძირკველი, რომელსაც ეყრდნობა მთელი ნაგებობა.

იარუსი – შენობის სიმაღლეზე განლაგებული სართული.

ბარბაროსი – ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები ამ სიტყვით მოიხსენიებენ ყველა არარომაელსა და არაბერძენს.

დასავლეთ საქართველოში მაღალი ტენიანობის გამო მშენებლობის თავისებური წესი დამკვიდრდა. ცნობილი რომაელი მწერალი და არქიტექტორი ვიტრუვიუსი (ძვ. წ. I საუკუნე) აღწერს კოლხურ სახლს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა, ძირითადად, ხისგან აშენებდა. კოლხურ ხის სახლს საკმაოდ მარტივი და მოსახერხებელი აგებულება ჰქონდა. ის დღემდე მიიჩნევა არქიტექტურის უძველეს და საინტერესო ნიმუშად, რომლის მშენებლობა ტრადიციულად გაგრძელდა და მისი ისტორია ათასწლეულებს ითვლის. კოლხური სახლი პირდაპირკავშირშია დასავლეთ საქართველოს კლიმატთან, ბუნებრივ რესურსებსა და ყოფა-ცხოვრებასთან. ანტიკური წყაროები მიუთითებენ, რომ კოლხები ჯერ კიდევ უძველეს დროს ფლობდნენ ხის დამუშავებისა და გვირგვინოვანი გადახურვის ხელოვნებას.



კოლხური სახლი ვიტრუვიუსის მიხედვით.
თანამედროვე რეკონსტრუქცია

წყარო

რომაელი არქიტექტორი, ვიტრუვიუსი (ძვ. წ. 80-15 წწ.) კოლხური სახლის შესახებ

„კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს, ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით, მათ ზემოდან კი თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ სხვა ხის ძელებს, რომლებიც ამგვარად ზღუდავენ საცხოვრებლის შინაგან სივრცეს. შემდეგ, ოთხივე მხარეს, კუთხეებში, შეუღლებული ხეების თანდათანობითი წყობით ამოჰყავთ რა ძირითადი ძელების შვეულად ხის კედლები, აგებენ კოშკებს, და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის გამო, ამოავსებენ ფათხებითა (ფიცრებით) და თიხით. ასევე აგებენ სახურავებსაც: გასდებენ რა ნაპირიდან დაცილებით გასაყარებს, რომლებიც ზევითკენ თანდათანობით მოკლდება, ოთხივე მხრიდან შუისკენ ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც ფოთლებითა და თიხით დახურულნი წარმოადგენენ ბარბაროსებისათვის ჩვეულებრივს კუსმაგვარ კოშკურ სახურავს“.

ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი კოლხური სახლი, რომელიც ხის მასალით იყო აგებული, დასავლეთ საქართველოში დღემდე გავრცელებული ოდასახლების ანალოგიურია. ოდაც ხის მასალით შენდება და დღესაც პოპულარულია სამეგრელოში, იმერეთში, რაჭაში, გურიასა და აჭარაში.

კოლხური სახლი თავისი მარტივი აგებულებით ქართული დარბაზის ერთგვარი პროტოტიპი გახდა. დარბაზული ტიპის სახლი კი ძველი პერიოდის საქართველოს მთავარი და წამყვანი არქიტექტურული ნაგებობა იყო.

ბერძენი მეომრისა და მწერლის, ქსენოფონტის ცნობით, კოლხური წარმოშობის ხალხი ხის რამდენიმესართულიან კოშკს ან ციხესიმაგრეს მთის მაღალ ფერდობზე აგებდა. კლდეზე აშენებული ხის სიმაგრე მტრისთვის ფეხითაც კი ძნელად მისადგომი იყო, ამდენად, იქ საბრძოლო მანქანების ატანა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნებოდა.



მეცნიერის თვალსაზრისი

სამშენებლო მასალის შერჩევას განსაზღვრავდა მისი არსებობა მშენებლობის ადგილას, ვინაიდან მასალის ტრანსპორტირება წარმოადგენდა მშენებლობის ყველაზე შრომატევად ოპერაციას. მთიან საქართველოში ძირითადი სამშენებლო მასალა ქვა იყო. ქვეყნის სამხრეთ რაიონებში იხმარებოდა ვულკანური ქანები (ანდეზიტ-ბაზალტები). ფართოდ გამოიყენებოდა დასამუშავებლად ადვილი ქვიშაქვები და ტუფები. მაგრამ ფასობდა უფრო მტკიცე კირქვებიც.

არქიტექტორი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი

საქალაქო მშენებლობა

ძველ საქართველოში მშენებლობა განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა სავაჭრო გზების გადაკვეთის არეალში, სადაც დიდი ქალაქები გაშენდა. მტკვრისა და არაგვის, ასევე მტკვრისა და ქსნის შეერთების ადგილებში ყველაზე მნიშვნელოვანი დასახლებები გაჩნდა. ისინი სხვადასხვა ნიშნით ერთმანეთისგან გამოყოფილი ცალკე დასახლებები იყო. მათ შორის, სარკინე რკინის წარმოების ცენტრი გახლდათ, რაზეც მისი სახელწოდებაც მიუთითებს. ნასტაგისი, კიდევ ერთი ქალაქი, მდებარეობდა სარკინის დასავლეთით. ის დასახლებული იყო სარწყავი არხის მშენებლებით. იქვეა არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ექვსი კილომეტრი სიგრძის სარწყავი არხი. სხვა დასახლებებს განსხვავებული დატვირთვა ჰქონდათ. სწორედ ამ ტერიტორიაზე აღმოცენდა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქი – მცხეთა.

კითხვა

5. ვიტრუვიუსი კოლხურ სახლს „ბარბაროსებისთვის ჩვეულებრივ“ ნაგებობას უწოდებს. რამდენად შეიძლება ეს შეფასება იყოს დაკავშირებული არა მხოლოდ არქიტექტურასთან, არამედ რომაელთა შეხედულებებთან სხვა ხალხების შესახებ?

6. რატომ არის ვიტრუვიუსის ჩანაწერი კოლხური ხის სახლის შესახებ მნიშვნელოვანი წყარო დღევანდელი ისტორიკოსისთვის?

7. რას ვიგებთ ვიტრუვიუსის აღწერიდან კოლხების ცხოვრებისა და ხელოსნობის შესახებ?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ძველი დროის ოსტატი ხართ და საქართველოს რომელიმე მხარეში საცხოვრებელი სახლის აშენება დაგავალეს. აირჩიეთ მხარე და დაწერეთ მოკლე დასაბუთება: რომელ სამშენებლო მასალას აირჩევთ და რატომ არის იგი თქვენს მხარეში ყველაზე ხელსაყრელი; როგორ ააშენებთ სახლს ისე, რომ იგი მტკიცე და მოსახერხებელი იყოს. მსჯელობისას გამოიყენეთ პარაგრაფში აღწერილი სამშენებლო მასალები და წესები.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.


VI. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო

მეექვსე თავში შეისწავლით ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის ისტორიას ფარნავაზის ეპოქაში.

გაიგებთ იმ დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებების შესახებ, რომლებმაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა განაპირობა.

გაეცნობით, თუ როგორ განადგურდა აქემენიანთა ირანის იმპერია, ხოლო მის ნაცვლად ჩამოყალიბებული მაკედონიის იმპერიაში დაწყებულმა სამოქალაქო ბრძოლამ („დიადოხოსთა ომი“), როგორ მისცა საშუალება ქართველებს, ერთიანი და სტაბილური სახელმწიფო შეექმნათ. ქართული სამეფოს ჩამოყალიბება მხოლოდ ძლევამოსილი იმპერიების ურთიერთდაპირისპირებისა და ამ ბრძოლებში მათი განადგურების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ტრადიციულად, აქვე იხილავთ წყაროებიდან ამონარიდებსა და ცნობილი მეცნიერების მოსაზრებებს.



ძვ. წ. **336-323** წლები – ალექსანდრე მაკედონელის მეფობა

ძვ. წ. **323-281** წლები – „დიადოხოსთა ომი“ ანუ სამოქალაქო ომი მაკედონიის იმპერიაში

ძვ. წ. **330** წელი – დარიოს **III**-ის დაღუპვა და აქემენიანთა ირანის განადგურება

ძვ. წ. **281** წელი – ლისიმაქეს დაღუპვა სელევკიდებთან ბრძოლაში





ძვ. წ. III საუკუნე –
ფარნავაზის მეფობა ქართლში

ძვ. წ. 190 წელი – მაგნეზიის
ბრძოლაში რომი ამარცხებს
სელევკიდების სამეფოს

ძვ. წ. 223-187 წლები –
ანტიოქოს III დიდის მეფობა
სელევკიდების სამეფოში

ძვ. წ. II საუკუნის
პირველი ნახევარი – ფარნაჯომის
მეფობა ქართლში. ნეკრესის მშენებლობა



20. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა და დიადოხოსები



ალექსანდრე მაკედონელი.
მოზაიკის ფრაგმენტი



დარიოს III.
მოზაიკის ფრაგმენტი

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალება და დაპირისპირება მის სარდლებს შორის

მაკედონიის მეფემ, ალექსანდრემ, რომელიც ისტორიაში ალექსანდრე დიდი მაკედონელის სახელით შევიდა, ძვ. წ. 336-323 წლებში მსოფლიოში უდიდესი იმპერია შექმნა. სახელგანთქმულმა მხედართმთავარმა დაიპყრო სირია, პალესტინა, ეგვიპტე. დაამარცხა მთავარი მოწინააღმდეგე – აქემენიანთა სპარსეთის უკანასკნელი მეფე დარიოს III, რომელიც ბაქტრიის მმართველმა ბესამ შეიპყრო და მოკლა. დარიოსის გარდაცვალებით დასრულდა აქემენიანთა დინასტია.


ალექსანდრე მაკედონელის სამფლობელოში შედიოდა თვალუწვდენელი ტერიტორია ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე. მსოფლიო იმპერიის შემქმნელი მეფე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ბაბილონში ძვ. წ. 323 წელს. მისი სიკვდილის ნამდვილი მიზეზი უცნობია. ვარაუდობენ, რომ იგი მოწამლეს.

უძლეველი მხედართმთავრის აღსასრულის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ალექსანდრეს სარდლები, რომლებსაც იმპერიის გადანაწილება სურდათ. მათ „დიადოხოსების“ სახელით მოიხსენიებენ. „დიადოხოსების“ ბრძოლა ძვ. წ. 323-281 წლებში გრძელდებოდა და რამდენიმე ელინისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით დასრულდა. ძვ. წ. III საუკუნის 80-იან წლებში ალექსანდრე დიდის იმპერიის ადგილზე რამდენიმე სამეფო შეიქმნა.



ალექსანდრე მაკედონელისა და დარიოს III-ის ბრძოლის სცენა. პომპეის მოზაიკა

ეს საინტერესოა



პლუტარქე – ბერძენი ისტორიკოსი და ბიოგრაფი ცხოვრობდა 46-127 წლებში. ფილოსოფიასა და მათემატიკას სწავლობდა ათენის აკადემიაში. იგი ბევრს მოგზაურობდა. მისი თხზულებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „პარალელური ბიოგრაფიები“. ეს არის გამოჩენილი ბერძენი და რომაელი მოღვაწეების შედარებითი ბიოგრაფიები. თავის ნაშრომში მან გარკვეული ადგილი დაუთმო ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.



წყარო

პლუტარქე ალექსანდრე მაკედონელის უკანასკნელი დღეების შესახებ:

„...მეორე დღეს ხურვებამ კვლავ მძლავრად შეუტია. იგი დიდ აბაზანასთან გადაიყვანეს და იქ დააწვინეს. აქ იგი საუბრობდა მხედართმთავრებთან მეთაურთა თავისუფალი ადგილების თაობაზე და ამ ადგილებზე გამოცდილი ხალხის დანიშვნას მოითხოვდა. ოცდაოთხში ციებ-ცხელებამ კვლავ იმძლავრა. ალექსანდრე ხელში აიყვანეს და მსხვერპლი ისე შესწირა. დიდ-დიდ მხედართმთავრებს უბრძანა, სასახლეში დარჩენილიყვნენ, ხოლო ასისთავებსა და ხუთასისთავებს დაავალა ღამე ეზოში გაეტარებინათ. ოცდახუთში იგი სასახლის მეორე ნაწილში გადაიყვანეს, სადაც ცოტა დაიძინა, მაგრამ ხურვება არ გამონელებია. როცა მასთან სარდლები მივიდნენ, უკვე ხმას ვეღარ იღებდა“.

კითხვა

1. პლუტარქე ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებიდან დაახლოებით 400 წლის შემდეგ ცხოვრობდა. თქვენი ვარაუდით, რა წყაროებით სარგებლობდა ის ალექსანდრეს ცხოვრების აღწერისას. იმსჯელეთ, რატომ უნდა გავითვალისწინოთ წყაროს შექმნის დრო მისი სანდოობის შეფასებისას.

ელინისტური სახელმწიფოები

ერთ-ერთი ელინისტური სახელმწიფო იყო თრაკია, სადაც მაკედონიასა და საბერძნეთთან ერთად გაერთიანდა შავისზღვისპირა ტერიტორიები, ასევე, მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილი. თრაკიის მეფე იყო ლისიმაქე, ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი, ერთ დროს დიდი მხედართმთავრის პირადი მცველი, რომელმაც იმპერიის განაწილებისას სწორედ ეს ტერიტორია მიიღო და ძვ. წ. 306 წელს თრაკიის სამეფოს ჩაუდგა სათავეში. მალე იგი მაკედონიასაც დაეუფლა. მომდევნო წლებში ლისიმაქემ თავისი სამფლობელო აღმოსავლეთით გააფართოვა და მისი გავლენა, სავარაუდოდ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც გავრცელდა.

მეორე ელინისტური სახელმწიფო იყო სირიის სამეფო, სადაც შედიოდა მცირე აზიის დიდი ნაწილი, სირია, მესოპოტამია, ირანი.



ლისიმაქეს მარმარილოს ბიუსტი



ლექსიკონი

ელინისტური სახელმწიფო – ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სახელმწიფოები. ძვ. წ. IV-I საუკუნეები.



პტოლემე I-ის ბიუსტი

ამ სამეფოს დამაარსებელი გახლდათ სელევკოსი, ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი, რომელსაც ინდოეთში ლაშქრობისას განსაკუთრებით გამოუჩენია თავი. მისი სახელი ეწოდა სელევკიდების სამეფოს, რომელსაც შემდეგ სელევკოსის შთამომავლები მართავდნენ.

მესამე ელინისტური სახელმწიფო კი იყო პტოლემეების ეგვიპტე, რომლის დამაარსებლად ითვლება პტოლემე I, ალექსანდრე დიდის კიდევ ერთი სარდალი. ალექსანდრე მაკედონელის სარდლების მიერ ჩამოყალიბებულ სამეფოებს შორის დაპირისპირებას მწვავე ხასიათი ჰქონდა.

თრაკია-მაკედონიის მეფე ლისიმაქე ძვ. წ. 281 წელს დაამარცხა სირიის მეფემ, სელევკოს I-მა, რომელიც მცირე აზიას დაეუფლა და თავისი სამეფო აღმოსავლეთით კიდევ უფრო გააფართოვა. მას მაკედონიის დაპყრობის სურვილიც ჰქონდა, თუმცა ძვ. წ. 280 წელს იგი პტოლემე I-ის შვილმა მოკლა.



სირიის სამეფოს ტახტი დაიკავა სელევკოსის შვილმა, ანტიოქოს I სოტერმა, რომელიც თავისი გავლენის გავრცელებას საქართველოზეც ცდილობდა. თრაკია-სირიის სამეფოების დაპირისპირებისას, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში პონტოს სამეფო ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი მითრიდატე აქემენიანთა შთამომავალი იყო. პონტოს მეფემ დაიქვემდებარა ლისიმაქეს სამეფოს აღმოსავლეთი მხარეები, მისი გავლენის ქვეშ მოექცა კოლხეთი და ასევე აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილი. როგორც ირკვევა, შავიზღვისპირა ტერიტორიაზე, და მთლიანად კავკასიაში, გავლენის მოპოვებას ჯერ თრაკიის მეფე ლისიმაქე და სირიის მეფე სელევკოს I ცდილობდნენ, ხოლო შემდეგ პონტოს მეფე მითრიდატე I და სელევკოს I-ის მემკვიდრე ანტიოქოს I სოტერი. სწორედ ალექსანდრე მაკედონელის სარდლების დაპირისპირების ეპოქაში ჩამოყალიბდა ქართლის (იბერიის) სამეფო.



სელევკოს I-ის
ბრინჯაოს ქანდაკება



კითხვა

2. რუკის მიხედვით, რომელი ქვეყნები და მხარეები დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა? სად გადიოდა მისი იმპერიის საზღვრები?

3. რა სირთულეები შეექმნებოდა ალექსანდრეს ასეთი ვრცელი და მრავალფეროვანი იმპერიის მართვისას და რა გზით შეეძლო მას იმპერიის ერთიანობის შენარჩუნება?

4. რომელი სამი დიდი ელინისტური სახელმწიფო წარმოიქმნა ალექსანდრეს იმპერიის დაშლის შემდეგ და რა ჰქონდათ მათ საერთო?

5. რატომ ეწოდება ამ სახელმწიფოებს „ელინისტური“? იმსჯელეთ, რა როლი შეასრულა ალექსანდრეს დაპყრობებმა ბერძნული კულტურის გავრცელებაში.

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ფარნავაზის მრჩეველი ხართ. დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც მეფეს აუხსნით, რატომ შექმნა ალექსანდრეს იმპერიის დაშლამ ხელსაყრელი პირობები ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

რუკა 12.
ელინისტური სახელმწიფოები ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე

21. ფარნავაზი და აზო



ქართველი მეომარი



ირანელი (სპარსელი) მეომარი

ბრძოლა ქართლის დასაუფლებლად

ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა მცირე სახელმწიფოებრივი გაერთიანებები, რომლებიც პირველობისთვის იბრძოდნენ. ეს ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს, როცა ერთიანი აღმოსავლურქართული სამეფოს შექმნის მიზნით, ორი გაერთიანება დაუპირისპირდა ერთმანეთს.

აქედან ერთ-ერთი, არიან-ქართლი, მეცნიერთა ვარაუდით, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა და, თავის დროზე აქემენიდური ირანის შემადგენლობაში იყო. მისი სახელიც აქედან მოდიოდა. მართლაც, წყაროებიდან ჩანს, რომ სპარსეთის აქემენიანთა იმპერიაში, საქართველოს სამხრეთში მცხოვრები იბერიელი და კოლხი მოსახლეობის ნაწილი ერთიანდებოდა.

სპარსელებმა მთელი საქართველო ვერ დაიმორჩილეს. მათი იმპერია სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – სატრაპიებად იყო დაყოფილი. ისტორიის „მამად“ წოდებული ჰეროდოტეს ცნობით, სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიებში შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველები შედიოდნენ.

სწორედ ირანის გავლენის ქვეშ მყოფი გაერთიანება უნდა ყოფილიყო არიან-ქართლიც, რომელიც, მოგვიანებით, აღმოსავლეთ საქართველოს დასაუფლებლად იბრძოდა. მას ხელმძღვანელობდა აზო, ხოლო მეორე გაერთიანებას მცხეთის მმართველთა სახლის (ოჯახის) წარმომადგენელი ფარნავაზი ედგა სათავეში. არიან-ქართლის მეფის ძეს, აზოს, აღმოსავლეთ საქართველოში გავლენის მოსაპოვებლად პონტოს სამეფო ეხმარებოდა, ხოლო ფარნავაზს მხარს უჭერდა სირიის სელევკიდების სამეფო.



მეცნიერის თვალსაზრისი

ქართულ ისტორიოგრაფიაში ყველაზე უფრო აღიარებული თვალსაზრისით, არიან-ქართლი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, რომელიც ერთ დროს აქემენიანთა დაქვემდებარებაში შედიოდა. მას უფრო ჩრდილოეთით მოსახლე ქართველები არიან-ქართლს, ანუ ირანის ქართლს უწოდებდნენ: „არიან-ქართლში“ ჩვენ, ყველაზე ბუნებრივია, „სპარსეთის ქართლი“, ე.ი. სპარსეთის მფლობელობაში მყოფი ქართლი უნდა ვიგულისხმოთ.

აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი

რას გვიამბობენ ქართველი მემატიანეები?

ქართლის (იბერიის) სამეფოს დაარსების შესახებ ორი ქართული საისტორიო წყარო გვიამბობს. აქედან, ისტორიკოსების აზრით, გაცილებით ძველია „მოქცევაი ქართლისაი“, რომლის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის დაპყრობის შემდეგ მცხეთაში მმართველად არიან-ქართლის მეფის ძე აზო დასვა. ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია, გადმოცემაში მისი რომელიმე სარდლის ან სელევკიდების სამეფოსთან გამეზობლებული პონტოს სამეფოს წარმომადგენელთა ქართლში შემოსვლა უნდა იგულისხმებოდეს. აზომ არიან-ქართლიდან მცხეთაში გადმოიყვანა თავისი ნათესავები. გადმოიტანა მშობლიური კერპები – გაცი და გაიმი. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, აზო იყო ქართლის პირველი მეფე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლის მეფე გახდა ფარნავაზი.

მეორე გადმოცემა შემოგვინახა „ქართლის ცხოვრებამ“, რომელიც ამ ამბავს განსხვავებულად მოგვითხრობს.




ბერძენი მეომარი



მეცნიერის თვალსაზრისი

ქართულ წყაროებში ალექსანდრეს ლაშქრობა უნდა გავიგოთ სიმბოლურად. ალექსანდრეს შემოსვლაში იგულისხმება ისტორიული ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლისიმაქეს ძლიერების ხანაში. სავსებით დასაშვებია, რომ ლისიმაქეს ბრძანებით საქართველოში ელაშქრა პონტოს მეფეს, მითრიდატეს.

პროფესორი გრანი ქავთარია



„ქართლის ცხოვრება“. მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილი ნუსხა. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

კითხვა

1. რომელი ცნობა ადასტურებს, რომ სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ქართველები სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ?

2. აზოსა და ფარნავაზის ბრძოლაში უცხო სახელმწიფოებიც ჩაერთვნენ. ვინ უჭერდა მხარს თითოეულ მათგანს? რატომ იყვნენ დაინტერესებული დიდი სახელმწიფოები აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე დაპირისპირებით?

ვინ იყო ფარნავაზი?



„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ქართლი დაიპყრო, ქვეყნის მმართველად დატოვა ბერძენი აზონი, იარედოსის ძე (უფრო ძველი წყარო, „მოქცევაი ქართლისაი“, მას აზოს უწოდებს). აზონი ძალზე სასტიკად ეპყრობოდა ქართლის მცხოვრებლებს. მან მოაკვლევინა მცხეთის მამასახლისი (მმართველი) სამარა და მისი ძმა, რომელსაც მცირეწლოვანი მემკვიდრე, ფარნავაზი დარჩა.

ფარნავაზი რომ აზონისგან გადაერჩინა, დედამისმა შვილი კავკასიის მთიანეთში გადამალა. როდესაც ვაჟი გაიზარდა, მცხეთაში დაბრუნება მოისურვა. ფარნავაზი გონიერი, მამაცი ახალგაზრდა და შესანიშნავი მონადირე იყო, რამაც თვით აზონიც კი მოხიბლა. ფარნავაზს დედა ურჩევდა, გარიდებოდა ქართლის დამპყრობელ აზონს, რადგან ეშინოდა, რომ ფარნავაზს მამისა და ბიძის ბედი არ გაეზიარებინა. ერთხელაც ფარნავაზმა საოცარი სიზმარი ნახა: დახურულ სახლში, სადაც ის იმყოფებოდა, მზის სხივი შემოვიდა, წელზე შემოეხვია და ჭაბუკი სარკმლიდან ველზე გაიყვანა. ფარნავაზმა იხილა, რომ მზე მიწაზე იყო დაშვებული. ის მნათობს შეეხო და მისი ცვარი სახეზე იცხო. ფარნავაზმა ეს საკვირველი სიზმარი მომავალი გამარჯვების ნიშნად აღიქვა. გავიდა მცირე დრო. ერთ დღეს, როცა ფარნავაზი დიღმის ველზე ნადირობდა, ირემს გადაეყარა. მან მარჯვედ სტყორცნა ისარი. დაჭრილი ნადირი შორს ვერ წავიდა და იქვე, კლდის ძირში დაეცა. ფარნავაზს შემოაღამდა, თან ძლიერმა წვიმამ მოუსწრო და იძულებული გახდა, ღამე გამოქვაბულში გაეთენებინა, სწორედ აქ აღმოაჩინა მან განძი – ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი. დედასა და ორ დასთან ერთად ფარნავაზი რამდენიმე დღე ეზიდებოდა გამოქვაბულში ნაპოვნ სიმდიდრეს, რომელიც შემდეგ ქვეყნის გაერთიანებას მოახმარა.

ახალგორის განძი (ძვ. წ. IV საუკუნე): ა) ოქროს ბალთები; ბ) ოქროს სარტყელი; გ) ოქროს ორნამენტირებული ფირფიტა; დ) ოქროს სასაფეთქლეები; ე) ოქროს საკიდი; ვ) ვერცხლის საბეჭდავი ბეჭედი; ზ) ოქროს დისკო. ეს მასალა დაცულია ეროვნულ მუზეუმში.

კითხვა

3. რატომ შეიძლებოდა აზონს ფარნავაზი საფრთხედ აღექვა, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იგი მის მიმართ კეთილგანწყობილი იყო?

4. „ქართლის ცხოვრებაში“ ფარნავაზის სიზმარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თქვენი აზრით, რატომ იყენებდნენ ძველი ავტორები ასეთი სახის ეპიზოდებს მეფეების ცხოვრების აღწერისას?

5. თქვენი აზრით, ტექსტში აღწერილი რომელი ამბები ეფუძნება ისტორიულ რეალობას და რომელი ატარებს ლეგენდურ ხასიათს? რა ნიშნებით გამოარჩევთ მათ ერთმანეთისგან?



„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზი კარგი მონადირე იყო. თანამედროვე რეკონსტრუქცია

წყარო

„მოქცევაი ქართლისაი“ აზოს მიერ მცხეთაში არიან-ქართლიდან კერპების გადმოტანის შესახებ:

„ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვსისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძველ მცხეთას და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გაიმ“.

„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის შესახებ:

„მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ... და იყო იგი ძმისწული სამარისი, რომელი მოსვლასა მას ალექსანდრესა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო... ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“.

ლექსიკონი

მამამძუძე – აღმზრდელი მამაკაცი.
ჭაბუკი – ახალგაზრდა.

დავალება

1. წაიკითხეთ ორივე წყაროდან მოყვანილი ნაწყვეტი და შეადარეთ ისინი ერთმანეთს: რას გვეუბნება თითოეული წყარო ქართლის პირველი მეფის შესახებ და რით განსხვავდება მათი გადმოცემები? იმსჯელეთ, რატომ შეიძლება ერთი და იგივე ამბავი ორ ძველ წყაროში სხვადასხვანაირად იყოს მოთხრობილი.
2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

22. ქართლის სამეფოს შექმნა



ფარნავაზისა და ქუჯის შეხვედრა. თანამედროვე რეკონსტრუქცია



ლექსიკონი

ხუასტაგი – ქონება, სიმდიდრე.

წარიტანა – წაიღო, წაიყვანა.

რქუა – უთხრა.

უფლობა – ბატონობა, მეთაურობა.

ფარნავაზი და ქუჯი

ფარნავაზმა ქართლიდან აზოს განდევნა და დამპყრობლისგან ქვეყნის გათავისუფლება გადაწყვიტა. ამისთვის კი, მოკავშირეობა სთხოვა დასავლეთ საქართველოში იმ დროის წარჩინებულ ქუჯის, რომელიც ეგრისისა და სვანეთის მმართველი იყო, თუმცა, ისიც აზოს ემორჩილებოდა. ქუჯის შეეძლო, ჩრდილოეთ კავკასიიდან დამხმარე მებრძოლები გადმოეყვანა. ფარნავაზს ქუჯის დახმარების იმედი ჰქონდა და მასთან მოსალაპარაკებლად თავისი წარმომადგენელი გაგზავნა. ქუჯის მან ნაპოვნი განძის გამოყენება, ერთობლივი ძალით აზოს განდევნა და სამშობლოს ხსნა შესთავაზა. ქუჯი კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ გაერთიანებით იყო შესაძლებელი. მან თავის კეთილდღეობასა და ძალაუფლებაზე მაღლა სამშობლოს მომავალი დააყენა. იგი სიხარულით დათანხმდა შეთავაზებას და ფარნავაზი თავისთან მიიწვია. ფარნავაზი, აზოსაგან ფარულად, დედასა და დებთან ერთად დასავლეთ საქართველოში გაემართა. ქუჯის შეეძლო, აზოს და-



წყარო

„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზისადმი ქუჯის დახმარების შესახებ:

„მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა და დედაცა და დანი მისნი მის თანა. და მივიდა ქუჯის თანა და რქუა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი; და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“.

მარცხების შემთხვევაში, წინასწარ მოეთხოვა პირველობა, რადგან იცოდა, რომ მისი მხარდაჭერის გარეშე მტერს ვერ განდევნიდნენ და გეგმაც ჩაიშლებოდა, მაგრამ მან პირადი ინტერესები დაივიწყა და შეხვედრისას ასეთი სიტყვებით მიმართა ფარნავაზს: „შენ ქართლის მმართველების შთამომავალი ხარ და სწორედ შენ უნდა უხელმძღვანელო ქვეყანას. ნუ დაიშურებ ამ სიმდიდრეს, შევკრიბოთ დიდი ლაშქარი და, თუ მტერზე გავიმარჯვებთ, შენ იქნები ჩვენი ბატონი, მე კი დაგემორჩილები და შენს სამსახურში ჩავდგები“.

გადამწყვეტი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის

ფარნავაზი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიელთა ერთიანობას. მან დასახმარებლად აზოს მიერ დამორჩილებულ ჩრდილოეთკავკასიელებსაც მოუხმო. ფარნავაზის ლაშქარში იყვნენ ოვსები, რომლებიც ქართველებთან ერთად დამპყრობლების წინააღმდეგ დაირაზმნენ. მოკავშირეების მხარეს გადავიდა აზოს ლაშქარში მყოფი ათასი რჩეული მხედარი. როგორც ჩანს, აზოს სისასტიკით ისინიც უკმაყოფილონი იყვნენ.



ფარნავაზ მეფის ქანდაკება თბილისში.
მოქანდაკე – ელგუჯა ამაშუკელი



წყარო

„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზისა და ქუჯისადმი ჩრდილოეთ კავკასიელების დახმარების შესახებ:

„მაშინ შეიერთნეს და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა. ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნდა (არ სურდათ) ხარკისა მიცემა აზონისა და გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი და განიმრავლეს სპანი“.



ჰურის ციხე. არტაანის მხარე. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აზოსა და ფარნავაზს შორის მომხდარი გადამწყვეტი ბრძოლის ადგილი. სურათს დასმული აქვს ციხესიმაგრის გეგმის გრაფიკული რეკონსტრუქცია.

? **კითხვა**

1. გაიხსენეთ წყაროდან („ქართლის ცხოვრება“) ქუჯის სიტყვები. თქვენი აზრით, რა იყო ქუჯისთვის მთავარი – სამშობლოს გადარჩენა თუ პირადი ძალაუფლების მოპოვება? დაასახელეთ მაგალითი, ისტორიიდან ან დღევანდელი ცხოვრებიდან, როდესაც ადამიანმა საერთო საქმეს პირადი ინტერესი ამჯობინა.
2. თქვენი აზრით, რატომ შეუერთდნენ ფარნავაზს ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები და აზოს ლაშქარში მყოფი მეომრების ნაწილი?



ანტიოქოს I სოტერის ოქროს მონეტა. შუბლზე გამოსახულია მეფე ანტიოქოს სოტერი; ზურგზე – ღვთაება აპოლონი.

აზომ ფარნავაზის გაერთიანებული ლაშქრის შეტევას ვერ გაუძლო და ბრძოლის ველიდან გაიქცა. მან ქართლი დატოვა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადავიდა და კლარჯეთში გამაგრდა. გამარჯვებული ფარნავაზის გავლენის ქვეშ მოექცა მთელი ქვეყანა, კლარჯეთის გარდა, რომელიც აზოს მფლობელობაში იყო. ფარნავაზმა თავისი წარმომადგენელი გაგზავნა სირიაში, სელევკიდების სამეფოს მეფე ანტიოქოს I სოტერთან, რომელსაც გამარჯვების შესახებ ამცნო. ანტიოქოსმა მამაც ქართველს მეგობრობა დაუდასტურა და მხარდაჭერა აღუთქვა. მომდევნო წელს აზომ შურისძიება გადაწყვიტა. ფარნავაზმა მაშინვე თავის ერთგულ ქუჯის უხმო და დიდი ლაშქარი შეკრიბა.

სელევკიდების მეფის დავალებით, ქართველთა მეფეს ეხმარებოდნენ სომეხი დიდგვაროვნები, რომლებიც იმ დროს სირიის მბრძანებელს ემორჩილებოდნენ. ფარნავაზს კვლავ ამოუდგნენ მხარში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული მოკავშირე ოვსები. გადამწყვეტ ბრძოლაში აზო დამარცხდა. მისი ლაშქრის დიდი ნაწილი გაიფანტა და გაიქცა, ნაწილი კი განადგურდა ან ტყვედ ჩავარდა. თვით აზო ბრძოლაში მოკლეს. ფარნავაზმა ილაშქრა პონტოს სამეფოს საზღვრისკენ შავიზღვისპირა ტერიტორიებზე, შემოიერთა კლარჯეთი და მცხეთაში დიდი ზარ-ზეიმით დაბრუნდა. გამარჯვებულ ფარნავაზს სამეფო გვირგვინი დაადგეს. იგი ერთიანი ქართლის სამეფოს პირველი მეფე გახდა.

ქართველმა მეფემ თავისი ერთი და ცოლად გაატანა ერთგულ თანამებრძოლს, ქუჯის, რომელსაც ეგრისი და სვანეთი უბოძა; მეორე და კი მიათხოვა მოკავშირე ოვსთა მეფეს, რომელმაც ფარნავაზს უერთგულა და არაერთხელ



ფარნავაზისა და აზოს ჯარებს შორის მომხდარი ბრძოლის სცენა. თანამედროვე რეკონსტრუქცია



მცხეთა. გალავნის კედელი (ზღუდე) და ქალაქის შესასვლელი. თანამედროვე რეკონსტრუქცია გ. ლეჟავას მიხედვით

მიაშველა დამხმარე ლაშქარი. ფარნავაზი ასევე დაუნათესავდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ დურძუკებს, და როგორც მემატიანე წერს, „მოიყვანა ცოლი დურძუკელთა“.



წყარო

„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზ მეფის მიერ საქართველოს გაერთიანების შესახებ: „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი“.



ლექსიკონი

დურძუკები – ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ჩეჩნებისა და ინგუშების წინაპრები.

ქართლოსი – ქართველთა ლეგენდარული წინაპარი, ბიბლიური ნოეს ძის, იაფეტის, შთამომავალი.

დავალება

1. ფარნავაზი ქვეყნის გათავისუფლებასა და გაერთიანებას მარტო ვერ შეძლებდა – მას სხვადასხვა ძალა ეხმარებოდა. ტექსტზე დაყრდნობით, ვინ დაუჭირა მხარი ფარნავაზს, ქუჯის გარდა? რას გვეუბნება მოკავშირეების სიმრავლე ფარნავაზ მეფეზე, როგორც პოლიტიკოსზე?

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

კითხვა

3. გარდა პოლიტიკურისა, კიდევ რა კავშირები არსებობდა ქართლსა და სელევკიდების სახელმწიფოს შორის?

4. რომელ მხარეებს მართავდა ქუჯი და რა მნიშვნელობა ჰქონდა მის დახმარებას ფარნავაზისთვის?

5. რატომ იყენებდნენ ძველად მმართველები ქორწინებით კავშირებს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად? როგორ დაეხმარებოდა ეს ფარნავაზ მეფეს სახელმწიფოს განმტკიცებაში?

23. ფარნავაზის მიერ ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობა



ვანში აღმოჩენილი ოქროს დიადემა. ძვ. წ. IV საუკუნე. ეროვნული მუზეუმი

ერისთავები და სპასპეტი

27 წლის ფარნავაზმა აზოს დამარცხების შემდეგ თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. მან სათავე დაუდო ფარნავაზიანთა დინასტიას. ქართლის მეფემ ქვეყანა დაყო რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ, რომლებიც სამხედრო ერთეულები იყვნენ. საერისთავოს სათავეში ერისთავი იდგა. ერისთავები მეფის მოხელეები იყვნენ. მათ ექვემდებარებოდნენ სპასალარები და ათასისთავები. ისინი კრებდნენ სამეფო და საერისთავო გადასახადებს და მეფის ბრძანებისას ჯარიც უნდა გამოეყვანათ. ფარნავაზმა საერისთავოები შექმნა საქართველოს ისტორიული მხარეების მიხედვით, რომლებიც ემთხვეოდა ქვეყნის ბუნებრივ გეოგრაფიულ დაყოფას. ეს საერისთავოები იყო:



მარგვის (არგვეთის), კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთისა და ეგრისის.

ერისთავების გარდა, მეფემ დანიშნა სპასპეტი, რომელსაც დაუქვემდებარა შიდა ქართლი – ქვეყნის შუაგული, სადაც თავს იყრიდა დიდი მნიშვნელობის გზები და ყვაოდა საქალაქო ცენტრები (კასპი, უფლისციხე, მცხეთა). სპასპეტი მეფის შემდეგ მეორე პირი იყო. სწორედ სპასპეტს ექვემდებარებოდნენ სხვადასხვა მხარის ერისთავები.

ქვეყნის გაერთიანების შემდეგ ფარნავაზმა ქართლში აღმშენებლობითი საქმიანობა დაიწყო. მეფემ აღადგინა ბრძოლების დროს მტრის მიერ დანგრეული ციხეები და ქალაქები. ქართლის დედაქალაქს, მცხეთას, მან თავდასაცავი ზღუდე შემოავლო. ფარნავაზმა დასავლეთ საქართველოში ააგო შორაპნისა და დიმნას ციხესიმაგრეები, რომელთა მეშვეობითაც მნიშვნელოვან გზებს აკონტროლებდა.



მეომრების გამოსახულება ბრინჯაოს სასმისზე. აღმოჩენილია სოფელ გომში, რაჭა. ძვ. წ. IV-III საუკუნეები. ქუთაისის მუზეუმი





ლექსიკონი

სპასალარი – სარდალი, მხედართმთავარი.

ათასისთავი – სამხედრო და ადმინისტრაციული მოხელე ძველ საქართველოში. ემორჩილებოდა ერისთავს.

შორაპნის ციხე – მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვირილასა და ძირულას შესართავთან. დაბა შორაპანის ტერიტორიაზე.

დიმნას ციხე – მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზედა დიმში.

კითხვა

1. დააკვირდით რუკას: რამდენ საერისთავოდ დაყო ფარნავაზმა ქვეყანა? როგორ ფიქრობთ, რატომ გაუჭირდებოდა მეფეს ქვეყნის მართვა მარტოს, მხოლოდ მცხეთიდან? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.
2. რუკაზე მოძებნეთ ფარნავაზის სახელმწიფოში შემავალი სამი ისტორიული მხარე და დაასახელეთ ისინი. იმსჯელეთ, რით შეუმსუბუქებდნენ ერისთავები მეფეს ქვეყნის მართვას?
3. რუკაზე იპოვეთ ფარნავაზ მეფის დროს აგებული ციხეები. როგორ ფიქრობთ, რა დანიშნულება ჰქონდათ მათ და რატომ იყო მათი აგება მნიშვნელოვანი სახელმწიფოსთვის?

რუკა 13.
ქართლის სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფა მეფე ფარნავაზის დროს



ქართლის მთავარი ღვთაებები:
ცენტრში – არმაზის ღვთაება,
მარჯვნივ და მარცხნივ – გაცი და გაიმი

„არმაზი“ – ქართველების მთავარი ღვთაება

ქრისტიანობის მიღებამდე ჩვენი წინაპრები თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს. მთვარის ღვთაება ძველ საქართველოში მეომარი მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მის წმინდა ცხოველად ხარი ითვლებოდა. მთვარის ღვთაების ხეთური სახელი – „არმაზი“, მეცნიერთა აზრით, ქართლში მცირე აზიიდან წამოსულმა მესხურმა ტომებმა შემოიტანეს. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ფარნავაზის გამეფებამდე არიან-ქართლიდან მოსულმა აზომ თავისი წინაპრების ღვთაებების, გაცისა და გაიმის ვერცხლისა და ოქროს ქანდაკებები მცხეთაში დადგა. ფარნავაზს ამ კერპების თაყვანისცემა არ აუკრძალავს, თუმცა, გაერთიანებული ქვეყნის მთავარ ღვთაებად არმაზი დაადგინა და ქართლის მთის წვერზე მისი ქანდაკება აღმართა.



წყარო

„ქართლის ცხოვრება“ ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლის დროს, არმაზის კერპს ასე აღწერს: „დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ ოქროსი და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა და იქცეოდა ხელთა შინა“.

„მოქცევაი ქართლისაი“ ფარნავაზის მიერ არმაზის კერპის აღმართვის, ასევე მცხეთის გალავნისა და თავდასაცავი თხრილის აგების შესახებ: „და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხვირსა ზედა და დასდვა სახელი მისი არმაზი და მოქმნა ზღუდე კერძო და ჰრქვან არმაზ“.



მეცნიერის თვალსაზრისი

მთვარის ღვთაების ხეთურ-მცირეაზიური სახელი დაკავშირებულია მცირე აზიიდან ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომის, მუშქების (მესხების), ჩრდილო-აღმოსავლეთით გადმონაცვლებასთან და მათ მიერ სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ თემში დასახლებასთან.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე

ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ მთვარის ღვთაება ქართველების სათაყვანებელმა წმინდანმა – წმინდა გიორგიმ ჩაანაცვლა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მთვარის წარმართული დღეობები წმინდა გიორგის დღესასწაულებით შეიცვალა. „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ღვთაების ადგილი უკავია“.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

კითხვა

4. იმსჯელეთ, რატომ სჭირდებოდა ახლად შექმნილ სახელმწიფოს საერთო ღვთაება და რა კავშირი იყო ამ რეფორმასა და ქვეყნის გაერთიანებას შორის?

5. რატომ არ აკრძალა ფარნავაზ მეფემ აზოს მიერ მოტანილი გაცისა და გაიმის თაყვანისცემა? განა მან სხვა კერპი არ შემოიღო მთავარ ღვთაებად?

ფარნავაზი და „მწიგნობრობა ქართული“

ერთიანი სამეფოს შექმნისათვის, ტერიტორიის გაერთიანებასთან ერთად, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადებას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა ფარნავაზის დროინდელ საქართველოს და გააძლიერებდა ქართველთა ერთობას. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, იმ დროის ქართლში, მშობლიურის გარდა, სხვა ენებსაც (მაგალითად, სომხურს, ასურულს, ებრაულს და ა. შ.) იყენებდნენ. ქართველთა სახელმწიფოს დამაარსებელმა მეფემ ქართული სავალდებულო ენად აქცია ქვეყნის ყველა კუთხის მცხოვრებლებისთვის. ამავე გადმოცემით, ფარნავაზმა შექმნა „მწიგნობრობა ქართული“. სხვა ენების გამოყენება ფარნავაზს არ აუკრძალავს, თუმცა, მისი ბრძანებით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მთავარი სასაუბრო ენა ქართული გახდა.



ქართული ანბანი. ქართული ასოები ასომთავრულად, ნუსხურად, მხედრულად და მათი რიცხვითი მნიშვნელობა



წყარო

„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის მიერ ქართულის სახელმწიფოდ ენად გამოცხადების შესახებ:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენაი ქართული და არღარა იზრახებოდა სხუაი ენაი ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობაი ქართული“.



ლექსიკონი

ზრახვა – საუბარი.
თვინიერ – გარდა.

დავალება

1. ფარნავაზის რეფორმებიდან (საერისთაოების სისტემა, არმაზის კულტის დამკვიდრება, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ქართული მწოგნობრობის შექმნა) აირჩიეთ ის, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ქართველი ხალხის შემდგომი ისტორიისთვის. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ მინიმუმ ორი არგუმენტით.
2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

24. რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ



ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტის ქართული მინაბაძი. ეროვნული მუზეუმი



ლისიმაქეს ოქროს მონეტის ქართული მინაბაძი. ეროვნული მუზეუმი




ლექსიკონი

ალბანეთი – უძველესი სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია.

ქართლის სამეფოს დედაქალაქი მცხეთა – მნიშვნელოვანი გზების თავშესაყარი

ფარნავაზ მეფის მიერ შექმნილი ქართლის სამეფოს დედაქალაქს, მცხეთას, ძალზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. აქ თავს იყრიდა სხვადასხვა მხრიდან მომავალი მნიშვნელოვანი გზები. მცხეთა სწორედ ამან დააწინაურა. ერთი გზა დასავლეთ საქართველოდან მოემართებოდა, მეორე ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოდიოდა არაგვის ხეობით, მესამე – ალბანეთიდან (ხოლო მეოთხე – არმენიიდან (სომხეთიდან), მდ. მტკვრის გასწვრივ. ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის, ცნობით, მცხეთისკენ მომავალ გზებს ორი დიდი ციხესიმაგრე – არმაზციხე (მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე) და ზადენციხე (მდ. არაგვის მარცხენა სანაპიროზე) – აკონტროლებდა. მცხეთაზე გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც „აბრეშუმის დიდი გზის“ სახელით იყო ცნობილი. ამ გზით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ვაჭრებს ინდური საქონელი შუა აზიის გავლით მიჰქონდათ კასპიის ზღვამდე, შემდეგ კი ალბანეთიდან – ქართლში. აქედან მტკვრის ხეობით გადადიოდნენ დასავლეთ საქართველოში და მდ. რიონით აღწევდნენ შავ ზღვამდე. იქ, სადაც მდ. რიონი შავ ზღვას უერთდებოდა, ქალაქი ფაზისი იყო. ეს გზა ქართლის სამეფოს განსაკუთრებულ



„დიდი მცხეთა“ – დედაქალაქი მცხეთა თავისი უბნებით. გრაფიკული რეკონსტრუქცია

მნიშვნელობას სძენდა და დიდ შემოსავალსაც იძლეოდა. ამან კი ხელი შეუწყო ქვეყნის განვითარებასა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას. ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების დროს მცხეთაში დიდი აღმშენებლობა იყო. თანდათან მცხეთა კავკასიაში ერთ-ერთ დიდ ქალაქად ჩამოყალიბდა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობდნენ. ეს რეალობა ქალაქის უბნების დასახელებაზეც აისახა. საისტორიო ტრადიციით, ებრაელების მცხეთაში დამკვიდრება ძვ. წ. VI საუკუნეში უნდა მომხდარიყო. მათ დასახლებას „ებრაელების უბანი“ შეერქვა. ირანთან ურთიერთობის ამსახველია მცხეთაში „მოგვთა უბნის“ არსებობა, სადაც, სავარუდოდ, ცეცხლთაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ.



წყარო

„ქართლის ცხოვრება“ ქართლში ებრაელთა დასახლების შესახებ: „გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა (ააოხრა) იერუსალემი და მუნით ოტებულნი (გამოქცეული) ურიანი (ებრაელთა ბიბლიური სახელწოდება) მოვიდეს ქართლსა“.

? **კითხვა**

1. რა განაპირობებდა მცხეთის დაწინაურებას? ტექსტზე დაყრდნობით დაასახელეთ მინიმუმ ორი ფაქტორი და ახსენით თითოეულის მნიშვნელობა.
2. დააკვირდით სურათს „დიდი მცხეთა“ და აღწერეთ, როგორ იყო ქალაქი განლაგებული. როგორ ეხმარებოდა მდებარეობა და სიმაგრეები ქალაქის დაცვას? თქვენი პასუხი სურათის კონკრეტული დეტალებით დაასაბუთეთ.



ცხოვრება ანტიკურ მცხეთაში. თანამედროვე რეკონსტრუქცია

ქართლის ქალაქები და სავაჭრო ურთიერთობები

ქართლის სამეფოში სხვა ქალაქებიც არსებობდა, ისინი ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრებად იქცნენ. ასეთი ქალაქები იყო: უფლისციხე, ურბნისი, წუნდა, ოძრხე და სხვა. ქართლის საქალაქო ცენტრებში აქტიური სავაჭრო საქმიანობა მიმდინარეობდა. ამაში დიდ როლს ასრულებდა მნიშვნელოვანი გზები. როგორც ჩანს, ქართლში ბევრი უცხოელი ვაჭარიც ჩამოდიოდა. ადგილზე დამზადებული ალექსანდრე მაკედონელისა თუ თრაკია-მაკედონიის მეფის, ლისიმაქეს, მონეტების მინაბაძები საერთაშორისო ფულად მიმოქცევაში იყო. ვაჭრობაში მონაწილეობდნენ ებრაელები, რომელთა დასახლებები არსებობდა მცხეთაში, ურბნისში და სხვაგან.



ტახტიძირის სამაროვანში (ქარელის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი სასმისები. ძვ. წ. IV-III საუკუნეები. ეროვნული მუზეუმი



ცხოვრება ქართლის ქალაქში. თანამედროვე რეკონსტრუქცია

როგორ გამოიყურებოდა მაშინდელი დასახლებები

ჩვენს წინაპრებს ქართლის ქალაქებისა და დაბების მოხდენილი ნაგებობებით დამშვენებაზეც უზრუნიათ. გაჰყავდათ გზები და აგებდნენ შენობებს. ქართლის სამეფოში ყოფილა ქალაქები და დაბები, სადაც კრამიტით გადახურული ლამაზი სახლები იდგა. აი, როგორ აღწერს ამ ყველაფერს ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი: „მართლაც, იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაცა და დაბებითაც, იქ არის კრამიტიანი სახურავები, არქიტექტურულადაა მოწყობილი სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი“.



ლექსიკონი

მონარქია – სახელმწიფო მმართველობის ფორმა (ბერძ. „მონოს“ – ერთი, ერთადერთი, „არქოს“ – მმართველი, ლიდერი).



ეს საინტერესოა

ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი **სტრაბონი** ძვ. წ. 63/64 წელს ამასიაში (დღევ. თურქეთი) დაიბადა. მისი წინაპარი დედის მხრიდან იყო პონტოს მეფის, მითრიდატე ევპატორის (დაიბ. ძვ.წ. 132 წ. გარდ. ძვ.წ. 63 წ.), სარდალი, სტრაბონის დედის ბიძა – იმავე ძლევამოსილი მეფის დიდი მოხელე. სტრაბონს ბევრი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი და ვარაუდობენ, რომ ნამყოფი იყო კოლხეთშიც. შემორჩენილია მისი ორი ნაშრომი: „ისტორიის მატიანე“ და „გეოგრაფია“. მან იბერიისა და კოლხეთის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა.

ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობა და საზოგადოება

ფარნავაზ მეფის მიერ დაარსებული და მისი მემკვიდრეების დროინდელი ქართლის სამეფო მონარქიული სახელმწიფო იყო. სტრაბონის ცნობით, ქვეყნის სათავეში მეფე იდგა. უმაღლესი თანამდებობები მეფისაგან ბოძებული ჰქონდათ სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს – სეფეწულებს, რომლებიც მოსამართლეები და მხედართმთავრები იყვნენ. ზოგჯერ კი ერისთავებიც ხდებოდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში. სამეფო საგვარეულო ფლობდა დიდ ტერიტორიას, სადაც მათზე დაქვემდებარებული მეთემეებიც ცხოვრობდნენ. ისინი სამეფო გვარს ემსახურებოდნენ და სტრაბონი მათ „სამეფო მონებს“ („ლაოებს“) უწოდებს. თავდაპირველად, მეფობა გვარში ასაკით უფროსზე გადადიოდა, ხოლო მოგვიანებით მამიდან – უფროს შვილზე. ქართლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ თავისუფალი და ნახევრად თავისუფალი მეთემეები. როცა ქვეყანაში მშვიდობა იყო, ისინი მიწის დამუშავებითა და ხვნა-თესვით იყვნენ დაკავებულები, ხოლო როცა მტერი შემოდიოდა, სახალხო ლაშქარში სამშობლოს დასაცავად თავიანთი შეიარაღებითა და საგზლით გამოდიოდნენ. მოსახლეობის ამ ნაწილს „ერი“ ერქვა. ქართლის სამეფოში შედარებით მცირე რაოდენობით იყვნენ მონებიც. მათ იყენებდნენ ციხეებისა და სასახლეების მშენებლობებზე, გზებისა და არხების გაყვანის სამუშაოებზე, მენიჩბეებად გემებზე და სხვ. ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ქურუმებს. მათ ეკუთვნოდათ წარმართული სალოცავების მამულები და, ასევე, სალოცავებისთვის სამეფო გვარის წარმომადგენლებისგან, თუ სხვა წარჩინებულებისაგან გადაცემული (ნაჩუქარი) სიმდიდრე.

წყარო

ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი ქართლის სამეფოს შესახებ: „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი გვარია და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხდვით უხუცესს, ხოლო მეორე ამ გვარიდან მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე გვარი არის მეომართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე გვარი არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი, ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა“.



სტრაბონის პორტრეტი
(დაბეჭდილია 1584 წელს)



ქართლის (იბერიის) ოთხი გვარი (სოციალური ფენა) სტრაბონის ცნობების მიხედვით

კითხვა

3. რატომ არის სტრაბონის ცნობა მნიშვნელოვანი წყარო ქართლის სამეფოს ისტორიის შესასწავლად? დაასახელეთ ორი არგუმენტი.

4. შეადარეთ ერთმანეთს „თავისუფალი მეთემეებისა“ (ერის) და „სამეფო მონების“ (ლაოების) მდგომარეობა: რას საქმიანობდნენ ისინი და რა უფლებები ჰქონდათ? დაასახელეთ ორი განსხვავება.

5. საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენლები არ არიან მოხსენიებული სტრაბონის მიერ აღწერილ ოთხ გვარში. თქვენი აზრით, რატომ არ ახსენებს მათ ავტორი?

დავალება

1. გაკვეთილის სათაურია „რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ“. უპასუხეთ ამ კითხვას თქვენი სიტყვებით – ჩამოაყალიბეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

25. ქართლის სამეფო ფარნავაზ მეფის მემკვიდრეების დროს



ლექსიკონი

კოლა – ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, აქედან იღებს სათავეს მდ. მტკვარი. კოლა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზეა. მისი სახელწოდება მომდინარეობს კოლხას ტომის სახელიდან.


არტაანი – ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში. იგი მტკვრის დინების ორივე მხარესაა. ამიტომ არსებობდა „ზენა არტაანი“ და „ქვენა არტაანი“. არტაანი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზეა.

კლარჯეთი – ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისტორიული მესხეთის ნაწილი. კლარჯეთი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზეა.

რომელ ტერიტორიას მოიცავდა ქართლის სამეფო?

ფარნავაზის მიერ შექმნილი ქართლის სამეფო ფართოდ იყო გადაჭიმული. როგორც უკვე ვიცით, მეფე ფარნავაზმა ქვეყანა საერისთავოებად დაყო და თითოეული მხარე თავის ერთგულ ერისთავებს ჩააბარა. ერთიან ქართულ სახელმწიფოში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მხარეები: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და კახეთი. სამხრეთ საქართველოდან ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი. ფარნავაზიანი მეფეები დასავლეთ საქართველოდან ფლობდნენ არგვეთს, ეგრისს, სვანეთსა და აჭარას. ფარნავაზის სამეფოს შემადგენლობაში ასევე მოექცა სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს – ალბანეთის – დასავლეთი ნაწილი, ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ტერიტორიები – ისტორიული მხარეები: ჰერეთი და კამბეჩოვანი (დღევ. ქიზიყი). ქართლის სამეფოში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი. მეფე ფარნავაზისა და მისი მომდევნო მეფეების, განსაკუთრებით კი საურმაგისა და მირიან I-ის, მმართველობის პერიოდში ქართლის (იბერიის) სამეფო ძალიან გაძლიერდა და კავკასიაში გავლენიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

რუკა 14. ქალაქები და გზები ელინისტური ხანის საქართველოში





სასახლე დედოფლის გორაზე, სოფელი არადეთი. ქარელის მუნიციპალიტეტი. აგებულია ძვ. წ. II-I საუკუნეებში ქალაქ ურბნისთან ახლოს. თანამედროვე რეკონსტრუქცია

ქართლის მეფეები და სელევკიდების სამეფო

ძვ. წ. III საუკუნეში ქართლის სამეფოს დამაარსებელს, მეფე ფარნავაზსა და მის მემკვიდრეებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ სელევკიდების სამეფოსთან. ამ სამეფოს ფუძემდებელი, ანტიოქოს I, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზ მეფეს თავის დიდ მოკავშირედ თვლიდა. ასეთი ურთიერთობა გრძელდებოდა ფარნავაზის მომდევნო მეფეების დროსაც. ძვ.წ. III საუკუნის შუახანებში სელევკიდების სამეფო თანდათან დასუსტდა. მას შუა აზიაში ჯერ ბაქტრია გამოეყო, შემდეგ კი პართია, რომელიც ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს, წინა აზიის ძლევამოსილ სახელმწიფოდ იქცა. დასუსტებულ სელევკიდების სამეფოს დასავლეთიდან რომის იმპერია დაუპირისპირდა. შეტაკებები გაჩაღდა ჯერ საბერძნეთის ტერიტორიაზე, შემდეგ კი – მცირე აზიაში. რომაელები თავიანთი ტერიტორიების აღმოსავლეთით გაფართოებას ცდილობდნენ. ძვ. წ. 190 წელს მაგნეზიასთან მომხდარ ბრძოლაში რომაელებმა დაამარცხეს სელევკიდების მეფის ანტიოქოს III-ის (ძვ. წ. 223-187 წწ.) ლაშქარი. ოდნავ მოგვიანებით, ძვ. წ. 188 წელს, სელევკიდების სამეფომ ზავი დადო რომაელებთან და მათ ვრცელი ტერიტორიები დაუთმო. ქართლის სამეფოსა და სელევკიდებს შორის ურთიერთობა თანდათან შეწყდა.



ლექსიკონი

მაგნეზია – ნაქალაქარი დღევანდელ თურქეთში, ქალაქ მანისასთან ახლოს.





ანტიოქოს III-ის ოქროს მონეტა. შუბლზე გამოსახულია ანტიოქოსი; ზურგზე – ღვთაება აპოლონი



არტაქსია (არტაშეს I), დიდი არმენიის (სომხეთის) მეფე და მეფის მონეტა. თანამედროვე მხატვრობა.

ქართლის სამეფო და სომხური სახელმწიფოები

მას შემდეგ, რაც სირიის სელევკიდების სამეფო დასუსტდა, ამით ისარგებლეს ჩრდილოეთის მხარეების მმართველებმა, არტაქსიამ და ზარიადრემ, და ორი სახელმწიფო, დიდი და მცირე არმენია, შექმნეს. სტრაბონის ცნობით, სომხურმა სამეფოებმა ქართლის სამეფოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაისაკუთრეს, მათ შორის, ქვემო ქართლისა და მესხეთის ნაწილი, ასევე, პარხლის მთიანეთი. სომხეთის შემადგენლობაში მოექცა ისტორიული ჰერეთის სამხრეთი მხარეც, თუმცა ფარნავაზის მემკვიდრეებს, როგორც ქართული საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ჰერეთის დიდი ნაწილი შეინარჩუნეს. ამას ადასტურებს ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის მეფის, ფარნაჯომის, მიერ კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ქალაქ ნეკრესის მშენებლობის დაწყება, რომელიც ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის მეფე არშაკმა დაასრულა.

კითხვა

1. ქართლი პატარა სახელმწიფო იყო, რომელსაც დიდი იმპერიები ესაზღვრებოდა. ახსენით, რა სტრატეგიას მიმართავდნენ ფარნავაზიანი მეფეები ამ იმპერიებთან ურთიერთობისას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.



ნეკრესი (ყვარლის მუნიციპალიტეტი). წარმართული ტაძრის ნაშთები



დარიალის ხეობა

ქართლის სამეფო და ჩრდილოეთ კავკასია

ფარნავაზისა და მისი მომდევნო მეფეების დროს ქართლის სამეფოს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვრცელდებოდა. როგორც ითქვა, აზოს განდევნაში, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ფარნავაზს დახმარება გაუწიეს ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებმა ოვსებმა და ლეკებმა. ფარნავაზის მემკვიდრეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიონის ქედს იქით მცხოვრებ ხალხთან ურთიერთობას. ჩრდილოკავკასიელები მტრის შემოსევისას ან სამეფო კართან დაპირისპირებული წარჩინებულების დასამარცხებლად ქართლის მეფეებს ხშირად ეხმარებოდნენ. ფარნავაზის მემკვიდრემ, მეფე საურმაგმა, ოსებისა და დურძუკების ჯარის მოშველიებით შეძლო ქართლის განდგომილი დიდგვაროვნების დამორჩილება. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართველ მეფეებს ჩრდილოეთ კავკასიის დალაშქვრაც უხდებოდათ იმისათვის, რომ ზოგიერთი მოთარეშე ტომი დაესაჯათ და ქართლზე მათი თავდასხმები აღეკვეთათ. ჩვენს მეფეებს გამაგრებული ჰქონდათ კავკასიონის გადმოსასვლელები, მათ შორის, დარიალის ხეობა, რომელიც დიდი ციხესიმაგრით იყო ჩაკეტილი.

წყარო

„ქართლის ცხოვრება“ საურმაგის შესახებ:

„და დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ. და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისა და ქართლისათა და მან შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და აღმართნა გზასა ზედა მცხეთისას“.

„ქართლის ცხოვრება“ ფარნაჯომის მეფობის შესახებ:

„ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება და ამან აღაშენა ციხე ზადენი და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა ზადენს და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“.

კითხვა

2. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, რა რეფორმები გაატარეს ფარნავაზის მემკვიდრეებმა?

3. ტექსტზე დაყრდნობით ახსენით, რას ეფუძნებოდა ქართლის სამეფოს თანამშრომლობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ფარნავაზი სიცოცხლის ბოლოს თავის მემკვიდრეს წერილს უტოვებს. დაწერეთ ეს წერილი ფარნავაზის სახელით: ურჩიეთ მემკვიდრეს, როგორ შეინარჩუნოს ქართლის სამეფოს უსაფრთხოება და გავლენა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას. წერილში ჩამოაყალიბეთ სამი რჩევა და თითოეული დაასაბუთეთ.

2. მოსწავლის რვეულში შეასრულეთ პარაგრაფის შესაბამისი დავალებები.

დანართი 1.


საქართველოს ფიზიკური რუკა
პირობითი აღნიშვნები
სახელმწიფო საზღვარი
დედაქალაქი
ქალაქი
მთა/მწვერვალი
უღელტეხილი
შავი ზღვა
თბილისი
რუსეთის ფედერაცია
თურქეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი

დანართი 2.


საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები
პირობითი აღნიშვნები
საქართველოს თანამედროვე საზღვარი
საზღვარი საქართველოს მხარეებს შორის
მეზობელი ქვეყნების საზღვარი
დედაქალაქი
მხარის ცენტრი
დასახლებული პუნქტი
შავი ზღვა
აფხაზეთი
სამეგრელო (ოდიში)
ზემო სვანეთი
ქვემო სვანეთი
რაჭა
ლეჩხუმი
სამცხე
ჯავახეთი
არტანი
ქართლი
კახეთი
თრიალეთი
თბილისი
ტაშირი
ბორჯომი
ახალციხე
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ახალგორი
გორი
ქარელი
ხაშური
ზესტაფონი
ბაღდათი
თერჯოლა
სამტრედია
ქუთაისი
ტყიბული
ონი
ამბროლაური
ცაგერი
ლენტეხი
მესტია
ოჩამჩირე
გალი
ფოთი
ქობულეთი
ბათუმი
ქედა
ხელვაჩაური
ოზურგეთი
ჩოხატაური
ლანჩხუთი
ხობი
მარტვილი
წალენჯიხა
ზუგდიდი
გაგრა
გუდაუთა
სოხუმი
გულრიფში
რუსეთის ფედერაცია
თურქეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
მტკვარი
ალაზანი
იორი
არაგვი
ლიახვი
ფსოუ
ბზიფი
ჩხალთა
ენგური
ცხენისწყალი
რიონი
ყვირილა
ხრამი
დებედა
მინგაჩევირის წს
სევანის ტბა

დანართი 3.

ქართული ორიგინალის ადაპტირებული ტექსტები

ორიგინალი:

- **მოქცევაჲ ქართლისაჲ,** გამოსცა ილია აბულაძემ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტომი I, რედ. ილ. აბულაძე, თბ., 1963;
- **ქართლის ცხოვრება**, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955.

ადაპტირებული:

- **მოქცევაი ქართლისაი,** ძველი ქართული ტექსტი გამოსცა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტომი I, რედ. ლევან აბაშიძე, თბ., 2008.
- **ქართლის ცხოვრება,** ტომი I, ტექსტი გამოსცა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა, თბ., 2011.

გვ. 107 – **„მოქცევაი ქართლისაი“ აზოს მიერ მცხეთაში არიან-ქართლიდან კერპების გადმოტანის შესახებ:**

„ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვსისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძველ მცხეთას და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გაიმ“.

ადაპტირებული ტექსტი:

„ხოლო ეს აზონი წავიდა არიან-ქართლში, თავის მამასთან, და წამოიყვანა რვა სახლი (ოჯახი) და ათი სახლი მამამძუძეებისა, და დასახლდა ძველ მცხეთაში, და თან ჰყავდა ღმერთებად კერპები – გაცი და გაიმი“.

ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლში, მამამისთან და წამოიყვანა რვა სახლი (ოჯახი) და მამამძუძეთა (აღმზრდელებისა) – ათი სახლი (ოჯახი). დაჯდა იგი ძველ მცხეთაში და ჰყავდა კერპები ღმერთად – გაცი და გა.

გვ. 107 – **„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის შესახებ:**

„მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ... და იყო იგი ძმისწული სამარისი, რომელი მოსვლასა მას ალექსანდრესა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო... ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“.

ადაპტირებული ტექსტი:

„იმ დროს იყო ერთი ჭაბუკი მცხეთა ქალაქში, რომელსაც ერქვა ფარნავაზი... და იგი იყო ძმისწული სამარისა, რომელიც ალექსანდრეს მოსვლისას მცხეთელი მამასახლისი ყოფილიყო... ეს ფარნავაზი იყო კაცი გონიერი, მხედარი და მამაცი და დახელოვნებული მონადირე.“

გვ. 108 – **„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზისადმი ქუჯის დახმარების შესახებ:**

„მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა და დედაცა და დანი მისნი მის თანა. და მივიდა ქუჯის თანა და რქუა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი; და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“.

ადაპტირებული ტექსტი:

„მაშინ ფარნავაზი ფარულად წავიდა სიხარულით და რაც შესაძლებელი იყო იმ განძიდან, თან წაიღო, და დედაცა და თავისი დებიც თან [წაიყვანა]. და მივიდა ქუჯისთან და უთხრა მას ქუჯიმ: „შენ ხარ შვილი ქართლის მეთაურებისა და შენ გმართებს ჩემი ბატონობა. ახლა ნუ დაიშურებ შენს ქონებას, რომ გავამრავლოთ სპა [ლაშქარი] და თუკი მოგვეცემა გამარჯვება, შენ ხარ ჩვენი ბატონი და მე ვარ შენი მონა“.

გვ. 109 – **„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზისა და ქუჯისადმი ჩრდილოეთ კავასიელების დახმარების შესახებ:**

„მაშინ შეიერთნეს და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა. ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნდა (არ სურდათ) ხარკისა მიცემა აზონისა და გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი და განიმრავლეს სპანი“.

ადაპტირებული ტექსტი:

„მაშინ შეერთდნენ და მოეთათბირნენ ოსებსა და ლეკებს. ხოლო მათ გაიხარეს, რადგან არ ეწადათ ხარკის მიცემა აზონისთვის. და გამოჰყვნენ ოსები და ლეკები, და გაიმრავლეს სპა [ლაშქარი]“.

გვ. 111 – **„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის მიერ საქართველოს გაერთიანების შესახებ:**

„მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი“.

ადაპტირებული ტექსტი:

მაშინ ფარნავაზი უშიშარი შეიქნა თავისი ყველა მტრის მიმართ და გამეფდა მთელ ქართლსა და ეგურზე [ეგრისზე] და გაამრავლა ყველა ქართლოსიანი მხედარი.

გვ. 111 – **„ქართლის ცხოვრება“ ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლის დროს, არმაზის კერპს ასე აღწერს:**

„დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ ოქროსი და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა და იქცეოდა ხელთა შინა“.

ადაპტირებული ტექსტი:

იდგა ერთი სპილენძის კაცი და მის ტანზე ეცვა ოქროს ჯაჭვი და [ეხურა] ოქროს ჩაფხუტი, სამხრე თვლები ესხა ზურმუხტი და ბივრიტი და ხელში ჰქონდა ხმალი ბრწყინვალე, როგორც ელვა და ტრიალებდა [მის] ხელში.

გვ. 114 – **„მოქცევაი ქართლისაი“ ფარნავაზის მიერ არმაზის კერპის აღმართვის, ასევე მცხეთის გალავნისა და თავდასაცავი თხრილის აგების შესახებ:**

„და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხვირსა ზედა და დასდვა სახელი მისი არმაზი და მოქმნა ზღუდე კერძო და ჰრქვან არმაზ“.

ადაპტირებული ტექსტი:

„ამის შემდეგ დადგა (ტახტზე ავიდა) ფარნავაზი. მან აღმართა დიდი კერპი კლდის ქიმზე და უწოდა მას სახელად არმაზი. შემოავლო ზღუდე წყლის მხრიდან და იმ ადგილს არმაზი ეწოდება“.

გვ. 115 – **„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის მიერ ქართულის სახელმწიფოდ ენად გამოცხადების შესახებ:**

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენაი ქართული და არღარა იზრახებოდა სხუაი ენაი ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობაი ქართული“.

ადაპტირებული ტექსტი:

და ეს ფარნავაზი იყო პირველი მეფე ქართლში ქართლოსის ჩამომავალთაგანი. ამან გაავრცელა ქართული ენა და აღარ ილაპარაკებოდა სხვა ენა ქართლში, გარდა ქართულისა. და ამან შექმნა ქართული მწიგნობრობა.

გვ. 118 – **„ქართლის ცხოვრება“ ქართლში ებრაელთა დასახლების შესახებ:**

„გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა (ააოხრა) იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლსა“.

ადაპტირებული ტექსტი:

„და გავიდა ამასობაში ბევრი დრო მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემ მოაოხრა იერუსალიმი და იქიდან გამოქცეული ურიები მოვიდნენ ქართლში“.

გვ. 123 – **„ქართლის ცხოვრება“ საურმაგის შესახებ:**

„და დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ. და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისა და ქართლისათა და მან შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და აღმართნა გზასა ზედა მცხეთისას“.

ადაპტირებული ტექსტი:

„და დაჯდა საურმაგი მცხეთაში მეფედ და უმატა მცხეთისა და ქართლის ყველა სიმაგრეს. და მან შექმნა ორი კერპი: აინინა და დანანა და აღმართა მცხეთის გზაზე“.

გვ. 123 – **„ქართლის ცხოვრება“ ფარნაჯომის მეფობის შესახებ:**

„ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება და ამან აღაშენა ციხე ზადენი და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა ზადენს და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“.

ადაპტირებული ტექსტი:

„ამ ფარნაჯომ მეფემ უმატა ყველა ციხე-ქალაქის შენებას და ამან ააშენა ციხე ზადენი და შექმნა კერპი სახელად ზადენი და აღმართა ზადენზე და დაიწყო კახეთში ქალაქ ნელქარის შენება, რომელიც არის ნეკრესი“.

წიგნში გამოყენებული მასალა:

„წყაროს“ რუბრიკაში მითითებულ გვერდებზე მოცემული ისტორიული ტექსტების თარგმანები თუ გამოცემები, ადაპტირებული სახით, აღებულია შემდეგი ავტორების ნაშრომებიდან: გვ. 35 – გივი გაფრინდაშვილის; გვ. 53 – პროფ. თეიმურაზ მიქელაძის; გვ. 80, 87 – აკად. გიორგი მელიქიშვილის; გვ. 81, 85, 119 – აკად. თინათინ ყაუხჩიშვილის; გვ. 82, 103 – პროფ. აკაკი ურუშაძის; გვ. 96 – პროფ. ლონგინოზ სუმბაძის (გურამ ყიფიანისა და ნოდარ ამაშუკელის მიხედვით). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორიგინალი ტექსტების ამონარიდები აღებულია პროფ. ილია აბულაძის გამოცემიდან, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ – აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემიდან.

წიგნში გამოყენებული სურათების ნაწილი, გარკვეული მოდიფიკაციით, აღებულია: გვ. 81 – ბრინჯაო და რკინის სატევრები და რკინის ნამგალი, წგნ-ში: ნ. ხახუტაშვილი et al., კოლხეთი: რკინის მეტალურგიის უძველესი ცენტრი (ისტორიულ-ინტერდისციპლინური კვლევა), ბათუმი, 2024; გვ. 83 – ჰომეროსის მარმარილოს ბიუსტი. ბერძნული ორიგინალის ძვ. წ. II საუკუნეში შესრულებული რომაული ასლი. დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, ლონდონი. Photo: Mike Peel. Wikimedia Commons; გვ. 83 – აპოლონიოსის პორტრეტი (ზოგის აზრით, აპოლონიოს როდოსელი) წიგნში, George Crabb, The Universal Historical Dictionary (1825). Wikimedia Commons; გვ. 84 – მედეას, იაზონისა და ოქროს საწმისის გამოსახულება აპულიურ ჭურჭელზე (ძვ. წ. IV საუკუნე). ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი, ნეაპოლი; გვ. 86 – ტიგლათფილესერ I-ის წარწერა. ბრიტანეთის მუზეუმი (No. 91033) [BM1]. © The Trustees of the British Museum; გვ. 88 – Photo: EvgenyGenkin. CC BY 2.5. Wikimedia Commons; გვ. 100 – ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი, ნეაპოლი. Photo: Berthold Werner. Wikimedia Commons; გვ. 101 – ფილოსოფოსის პორტრეტი (სავარაუდოდ პლუტარქე). დელფოსის არქეოლოგიური მუზეუმი. Photo: Zde. CC BY-SA 4.0. Wikimedia Commons; გვ. 101 – ლისიმაქეს ბიუსტი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი, ნეაპოლი (Inv. 6141). Photo: Sailko. CC BY 3.0. Wikimedia Commons; გვ. 102 – პტოლემეს ბიუსტი. ლუვრის მუზეუმი, პარიზი. Wikimedia Commons; გვ. 103 – სელევკოს I ნიკატორი. ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი, ნეაპოლი. Photo: Allan Gluck. CC BY 4.0. Wikimedia Commons; გვ. 110 – ანტიოქოს I სოტერის მონეტა. Photo: Rani nurmai. CoinIndia. CC BY-SA 3.0. Wikimedia Commons; გვ. 119 – სტრაბონის გრავიურა. ავტორი: ანდრე ტევე (1584 წ.). Dibner Library. Wikimedia Commons; გვ. 121 – ანტიოქოს III-ის ოქროს მონეტა. Photo: Antiksikkeler. CC BY-SA 4.0. Wikimedia Commons; გვ. 122 – არტაშეს I-ის (არტაქსია I-ის) პორტრეტი. ავტორი: Berc Fenerci (1897-1920). Wikimedia Commons. Public Domain; გვ. 122 – არტაშეს I-ის (არტაქსია I-ის) მონეტა. Photo: EpeBah / Leu Numismatik. CC BY-SA 4.0. Wikimedia Commons; გვ. 122 – ნეკრესის წარმართული ტაძარი. Photo: Jonathan Cardy. CC BY-SA 3.0. Wikimedia Commons.

საქართველოს ძალიან მდიდარი და ხანგრძლივი წარსული აქვს. ჩვენი სამშობლოს კულტურული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია ათასწლეულებს ითვლის. ადრეულ ხანაში, ძვ. წ. III-I ათასწლეულებში, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქელოგიური მონაპოვარი ამისი საუკეთესო დასტურია.

კახეთში, ალაზნის ველზე, წნორის სიახლოვეს, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს ყორღანულ სამარხში ოქროს ლომის ფიგურა აღმოჩნდა. ოქრომჭედლობის უაღრესად დახვეწილი ტექნოლოგიით შესრულებული ხელოვნების ეს ნიმუში სპეციალისტების მიერ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღდა. აღნიშნული ძეგლი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში მცხოვრები ხალხისა და მათი მემკვიდრეების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების ნათელი დადასტურებაა. შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს თასი კი ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარშია დამზადებული. იგი საიუველირო ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია და საქართველოში ოქრომჭედლობის კიდევ უფრო მაღალი საფეხურის მაჩვენებელია. მომდევნო ათასწლეულშიც კულტურული აღმავლობის ეს უწყვეტი ტრადიცია გრძელდებოდა.

არქეოლოგიური აღმოჩენები თვალნათლივ მიუთითებს, რომ ჩვენი სამშობლო, უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, კულტურული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული ქვეყანაა მთელ მსოფლიოში.

9 789941 889288

26.10.7.1.1